ალმანახი

მწერლობაზ

სრულიად საქართველოს მწერალთა **ცაკ**-ის
ყოველთვიური ჟურნალი.

წელიწადი მესამე.

F902
ალმ

რედაქტორი
ნიკოლოზ მიწიშვილი.



იანვარი
ტფილისი — 1928

შ ი ნ ა ა რ ს ი

პროზა

გრიგოლ რობაქიძე — **ფალესტრა** (რომანი) . 9
არისტო ჯუმბაძე — **ფულიანი ბარათი** 43
პოლ მორან — **ღამე ოსმალეთში** (თარგ. ნინა მესხის) 66

პოეზია

სანდრო შანშიაშვილი — **გავლილი შარა** . . 35
ნიკოლოზ მიწიშვილი — **პაოლო იაშვილს** . . 33
ვალერიან გაფრინდაშვილი — **ლირიკა** . . 41
პაოლო იაშვილი — **ერთი კვირა** 62
ტიციან ტაბიძე — **მაშ, გამარჯვება!** 63
ვარლამ რუხაძე — **მუშის სიმღერა** 64
გრიგოლ ცეცხლაძე — **გრიგოლ ცეცხლაძეს** . 83
პეტრე ქუთათელაძე — **წარსულიდან** 85
კალე გოგოხიძე — **ორი ლექსი** 88
სიმონ ჩიქოვანი — **მოსკოვი** 89
ილა მოსაშვილი — **ღამე გომბორზე** 90

წერილები

ნიკოლოზ მიწიშვილი — **აქტუალური საკითხები** 91
ვასილ ბარნოვი — **„გველის მჭამელი“** . . . 98
არჩ. ჯაჯანაშვილი — **ხელოვნებისთვის** . . . 109

დოკუმენტები

ხოშტარია — **ცხოვრების მოედანი** (გაგრძელება). 116

ბიბლიოგრაფია

არიფი — **ი. აბულაძის ლექსიკონი** 134

მხატვრული ლიტერატურა

გრიგოლ რობაქიძე

ფ ა ლ ე ს ტ რ ა

(უცხო თვალი ევროპაში)

რ ო მ ა ნ ი

როგორც ბარათი ევროპის მწერლებს

სტეფან ცვაიგს

პოეტს და ადამიანს

„მე ვარ ის, რაც არის, რაც იყო და რაც იქნება, და არც ერთ მოკვდავს და არც ერთ უკვდავს არ აუხდია ჩემი საბურველი“.

წარწერა საისის ქალის ქანდაკის საფეხურზე, რომელსაც ეგვიპტურად ერქვა სახელი „ნეიფ“.

კამარა პირველი

კარგია, როცა გაზაფხულის პირი ვაჟკაცის სხეულში ჯერ კიდევ მწიფობას აგრძელებს. ასე ფიქრობს ადოლფ უნგარ. უფრო კარგია, როცა მწიფობის ხანა ნადირის ჯანმრთელობით მიდის. ადოლფ უნგარს სირაქლემას კუჭი აქვს და არაბული ცხენის გული. რა უნდა მასთან მოდუნებას ან მელანქოლიას? ტანი მისი დაქნილია და მაგარი. მას შეუძლია სამ მილზე გასცუროს მდინარე. კუნთები მისი დახვეწილია და ძარღვები დათასმული. აი ახლაც, როცა იგი ავტოს მიაქანებს, ამ მწვანე მუდოს ლითონისას, რომელიც მას ერთმა განთქმულმა ფირმამ უთავაზა, ახლაც დაძაბულია იგი სიმარჯით. ტყვილად არ უთხრა მას ერთმა ლამაზმა: ინგლისელი ლორდი შოფერის რელიეფით. მაგრამ ადოლფ უნგარ შოფერი არაა: იგი კინორეჟისორია.

ადოლფ უნგარ თვითონ მართავს მანქანას. მას უყვარს დიდი ქალაქის გახურებული რიტმები. ქუჩები: თითქო გაფისული სარკეები, საცა ლეგა ნისლები ისახებიან. პარალელები და პერპენდიკულიარები. კუბები და კვადრატები. ხიდები და ვიადუკები — თითქო რკინაბეტონის ცისარტყელები. მეტროს ხვრელები, საცა ლითონის მხეცები ისე შიშინობენ, თითქო წინაგრძნობენ უცაბედ ეპილეპსიას. ომნიბუსები — როგორც გახელებული პოლიპები. ტაკსები — ტაკსები უთვალავი: გაქანებული წერტილები ლითონის ჭიანჭველების. ყველაფერი ეს უყვარს ადოლფ უნგარს. ერთმა პოეტმა ქალაქის რიტმებში „მექანიკის მალიარია“ იხილა. მაგრამ ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტში სათანადო ინსტრუმენტით მალიარიას რომ დაინახავ, უფრო ყვავილოვანს და უფრო ფანტასტურს სხვას ვერას წარმოიდგენ. ეს იცის ადოლფ უნგარმაც. ხედავს

იგი მრავალსართულიან სახლებს და ეკლესიების მაღლა აზიდულ გუმბათებს — და ჰგონია: თითქო უზარმაზარი ხომალდები დაყუდებულან ოკეანეში. ქალაქს ნისლი დასწოლია — და ელექტროს ღვარებში გალეშილი — იგი მართლაც ოკეანეს წააგავს განათებულს (თუ ატეხილ ლეგიათანს?).

ადოლფ უნგარ ქალაქში ავტოს მიაქანებს. მას უყვარს ეს უწყვეტი დენა მასსების. ბევრისათვის ეს მასსები ანგრეული ბუდეებია ჭიანჭველების. მაგრამ ადოლფ უნგარმა იცის, რომ ხანდახან კარგია ჭიანჭველობაც და არ უცხოობს იგი ამ ბუდეებში გადასვლას. იგი სიამესაც გრძნობს, როცა ერთვის მასსების დენას. თითქო მოსცილდა საკუთარ „მეს“, არა, „მოსცილდა“ კი არა, „დაშორდა“ მხოლოდ, და ჭიანჭველის ინსტინქტით იკვლევს გზას. ეს ინსტინქტი კი უტყუარია. ადოლფ უნგარ, ჭიანჭველად ქცეული, სომნამბულას ემსგავსება, რომელიც უფსკრულის პირას უშიშრად გაივლის. გაღვიძება მას კიდეც ავნებს. ეს სიმარჯე, როცა „მოქნეული“ არ სცილდება „მოზომილს“, კიდევ უფრო იზრდება, როცა რომელიმე მატერიულ სხეულს ხარ შეხორცებული, რომელსაც თვითონ ამოძრავებ. ასეთი სხეული ავტოა, რომელიც შოფერს კი არა, შენ მიგყავს. ეს საიდუმლო დინამიზმისა კარგად იცის ადოლფ უნგარმა. აი ეხლაც, როცა იგი შოფერობს თვითონ, ფიზიკური ძალის ტკბობით არის აყვანილი. ადოლფ უნგარ ავტოს ეხორცება. მისი „მე“ კი სადღაც შორს რჩება და ამ სიშორიდან ფიქრების დენას მზერს.

კინორეჟისორი განზე იხედება. სააფიშე სვეტზე მოსჩანს დიდი პლაკატი: ცხენს მიაჭენებს თმაგაშლილი ქალი. პლაკატს აწერია დიდი ასოებით — „ფალესტრა“ (მეტი არაფერი). ადოლფ უნგარ ფილმს ამზადებს ამორძალთა ცხოვრებიდან. „ფალესტრა“ ამორძალთა დედოფალია. იგი ომისათვის ემზადება ალექსანდრე მაკედონელის წინააღმდეგ მცირე აზიაში. მზადაა ყველაფერი. ტანკვრივი ქალები ილესებიან. კიდევ უფრო მათი ხმლები. მაგრამ დედოფალი იმღვრევა: გუნება თუ ეცვლება. მზიურ ახლოვდება სახელი მაკედონელის. ფილიპეს ძე, ბუცე-

ფალზე მჯდარი, უძლეველი მხედარი და ყველა კიდურის გადამლახავი, ფალესტრას წინ ისახება როგორც მზის შვილი ნამდვილი. მზიურ ახლოვდება ლანდი მაკედონელის და დედოფალის გული ჰფეთქს უჩვევი გზნებით და უცრო ნდომით. მზის შვილს შეუძლია მზიურ მოხიბლოს ქალი. ამას გრძნობს ფალესტრა და ამორძალის თქმებში ქალი იღვიძებს. იგი უთვლის ალექსანდრე დიდს: მსურს ვიქმნე შენგან ორსული. ამორძლები ამხედრდებიან, მაგრამ უდრეკია ნება დედოფალის. მაკედონელი იღიმება: თანხმდება და მიეშურება დედოფალის მიმართ... ადოლფ უნგარ ამ შეხვედრის გარშემო ავლებს ფიქრებს. ფილმში მთავარი ეს უნდა იყოს. შვიდასი ქალი შვიდასი ცხენით მზადაა უკვე. შვიდასი ქალი — ყველა რასის და ყველა სტილის. ყველა მოხდენილი და ლამაზი. მაგრამ ამორძალთა დედოფალი რეჟისორს ვერ ჰპოვნია. ქალი, რომელშიაც სხეულყოფილია თითქო მთელი სქესი ქალთა და რომელიც ეომება ამავე დროს კაცების კლანებს, ქალი, რომელსაც ვერ ძლევს სიყვარულით ვერა რომელი ვაჟი. ასეთი ქალია ფალესტრა, რომელიც მხოლოდ ერთხელ ულატებს ამორძალთა ადათს, რომ ქალწულური მკერდი უომრათ გადაუხნას ფიპპის ძეს. ასეთი ქალი ადოლფ უნგარს ვერ მოუნახავს.

უკვე შელამდა მაგრად. უნგარ უზარმაზარ ბულვარზე ავტოს მიაქანებს. შორიდან მოსჩანს კაფე როგორც ჟლალყვითელა თვალი იზიდასი. უნგარმა მიაყენა კაფესთან ავტო. გადმოხტა. შევიდა კაფეში. კაფე აქათქათებულია თეთრ რბილი ელექტროს სინათლით. მთავარი ფერი კაფესი ორანჟია. აქ იკრიბებიან: არტისტები და რეჟისორები კინოსი და თეატრის, პოეტები, მხატვრები, მუსიკოსები, მოქანდაკენი, სტუდენტები, მონდენები ბოჰემის მოყვარულნი. დემიმონდენები, ემიგრანტები, ჟურნალისტები. ადოლფ უნგარ მიდის მაგიდების რიგებში. აქა-იქ გაისმის ჩურჩული: „ადოლფ უნგარ", „ადოლფ უნგარ". უნგარს თითქო არ ესმის ეს ჩურჩული, მაგრამ არ შეიძლება არ შეამჩნიოთ მის შუბლს სიამე. ქალები მას „ქალურ" უცქერენ. უნგარ გრძნობს „ამ" ცქერას და ტანში იწურება.

მიიხედ-მოიხედა: თითქო ვილაცას ეძებს. „ჰაააა“ — და ერთ მაგიდას მიაშურა კუთხეში.

„გაიცანით: მოსიე პელეტიე!..“

„ჰერრ უნგარ!..“

ამბობს დამხდური. იგი ოცდაათი წლის თუ იქნება. ბალკანის ტიპს წააგავს. გრძელი თმა შავი საშინლად აბურდული. სახე—ნაოჭებათ ქცეული (საკვირველია პირს როგორ იპარსავს). თვალები ჟღალი, საცა იშვიათად ელვარი კიაფობს.

„ჰერრ პეტერეც!.. მაპატიეთ... (კოტა დამაგვიანდა“... ეუბნება უნგარ და მაგიდას უსხდება.

„არაფერი... თქვენს მოსვლამდე მე და ჩემი მეგობარი „ფალესტრაზე“ ვბაასობდით... სწორეთ იმ საკითხზე, თქვენ რომ გაინტერესებთ“...

პელეტიე, ჩასხმული და ოდნავ ჩასუქებული, მუსიკოსი და ხორეოგრაფი არის. თაფლისფერ თვალებს (კოტა მოდუნება ეტყობათ. პელეტიე ძვირად ლაპარაკობს.

მაგიდასთან უძრავად დგას გარსონი როგორც ნაცადი დიპლომატი და უცდის დაკვეთას. ფრაკი ოდნავ „შელანძღულია“.

„მაგარი ყავა და მარტელი“...

უკვეთს უნგარ. გარსონი მიდის.

პეტერეცს რალაცას თქმა უნდა, მაგრამ ამ დროს ორკესტრიდან „ჩარლსტონ“ გაისმის. მაგიდები იშმუშნებიან: თითქო რალაც ხელუხლები და თანვე მატერიული, მწვავე და ტკბილი, გადაეშვა უეცრად მათში. ქალები და ვაჟები ერთიმეორეს ეკვრიან და ცეკვავენ გახელებით. დირიჟორი, კაცი პატარა, სემიტის ტიპის, შარვალჩაფუშული ოდნავ, უკრავს ვიოლინს, და, თითქო მოხეთქილ რიტმებს ველარ უძლებს, ირხევა და იკრუნჩხება შეკავებული ცეკვით. ზალის შუაგულში ქალები და ვაჟები ცხოველურ ნეტარებით ერთიმეორეს ეტმასნებიან. ფეხები კი განაგრძობენ ატრიალებულ ძაგძაგს. მოსჩანან ფეხები, მარტო ფეხები, ქალების ფეხები. კაბები მოკლეა და მუხლებამდი არ წვდებათ. ფეხები თეთრ ნაკვერჩხალისფერ ქსოვილშია და ტიტვლად მოსჩანან.

„ტიტველი კანჭები... ტიტველი მუხლები... ეს დროის ნიშანია“...

იძახის პეტერეც.

„როგორ?..“

ეკითხება უნგარ.

„ქალთა სიტიტვლე ეპოქის სტილს სახავს... არა, მოსიე პელეტიე?.. ეს თქვენ ჩემზე კარგად უნდა იცოდეთ“...

პელეტიე არას ამბობს. პეტერეც აგრძელებს:

„ეპოქის სტილი სენსუალობაშია და სენსუალობა სიტიტვლეში... მაგრამ არა სრულ სიტიტვლეში... ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ ქალები სავსებით გატიტვლდენ... მაშინ ვინღა მიეკარება მათ?.. არა, ჰერრ უნგარ?.. ჰა, ჰა, ჰა“...

იცინის პეტერეც და აჩენს ჩაყვითლულ და ჩამძვრალ-ჩატეხილ კბილებს. ჟლალ თვალებში ხშირია ეხლა ელვარი. პეტერეც პათოსით ლაპარაკობს. მის პათოსს თითქო მისი თმებიც იზიარებენ, ერთ ალაგს რომ არ დგებიან. პეტერეც ისწორებს ურჩ თმებს წამისწამ გაფშეკილ ხელით, რომლის გრძელ თითებზე მოსჩანან გრძელი ფრჩხილები, თითქო ძალლის ქაცვები. პეტერეც იცინის. უნგარ და პელეტიე იღიმებიან.

„არა... ქალებმა ჩვენზე უკეთ იციან „ეს“ და მხოლოდ დონეზე ტიტვლდებიან... ტოლსტოი ხელოვნების ჯადოსნობას „ოდენზე“ ამყარებს... ქალები თავის ჯადოქრობას „ოდენი“ სიტიტვლით ჰქმნიან... გარჩევა მხოლოდ მაშია, რომ ამ „ოდენის“ მოზომვაში ხელოვანთ ქალები სჯობნიან... არა, მოსიე პელეტიე...“

პელეტიე წითლდება და იღიმება. უნგარს ჰსურს რაღაც დაურთოს, მაგრამ პეტერეც ვის აცლის ლაპარაკს.

„უწინ ქალების სიტიტვლე ყელიდან იწყებოდა, ეხლა ფეხებიდან იწყებაა... სტილთა სხვაობა აქაა მოქცეული... ყელიდან დაწყებული სიტიტვლე რომანტიზმის ხაზი იყო, რომელიც სენსუალობაში გადადიოდა უმჩნევად... დღეს სიტიტვლე ფეხებიდან იწყება და ღმერთმა იცის რაში გადადის... დღეს ეპოქის ნიშანი ეს ტიტველი კანჭებია და ტიტველი მუხლები. აფიშებზე — ტიტველი კანჭები, ჟურნალებში — ტიტველი კანჭები. ყველგან ქალის

ფეხები: პაპიროსის კოლოფზე, წიგნის ყდაზე, საცვლების რეკლამაზე... არ არის ეს დროის ნიშანი?.. ეს ღირს სოციოლოგიურ კვლევად“...

განაგრძობენ „ჩარლსტონს“. ქალები და ვაჟები ეკვრიან ერთმანეთს და გახელებით ცეკვავენ. პეტერეც მათ უყურებს, და უეცრად, თითქო თემის ახალ მუხლს მიაგნო, აგრძელებს სიტყვას:

„მარტო სიტიტვლე ბევრს არას ნიშნავს... ხოლო სიტიტვლე ცეკვასთან — ეს კი ყველაფერია... არა, მოსიე პელეტიე?.. შეხედეთ ამ ფეხებს, როგორ ხტიან... აქაა ჩვენი დროის საიდუმლო მოცემული... ესე ხტიან ეს ტიტველი ფეხები, თითქო ბზიკებმა დაჰკბინეს... ხტიან ხალისით, ხტიან ვნებით... ხტიან ცხოველურ, მაგრამ ვნებაში ალარ არის უშრეტობა... თითქო დაშრეტას ელიან სხეულები და მისთვის ხტიან ასეთი გამძაფრებით... ელექტროს ლამპა დაჰჭრობის წინ საშინლად განათლდება ერთი... ამ ცეკვაში ვნების დაშრეტის წინასწარი გზნებაა უთუოდ... მისთვის ხტიან ეს ფეხები ასეთი გამწარებით... ეს უტყუარი ნიშანია „ბოლოსი“... „ბოლოს“ გზნება ტკივილია და სიტკბო ერთსადაიმავე დროს: თითქო ელექტროს ხაზმა გადასერა სხეული... დიახ, აქ არის რალაცას „ბოლო“... რად უნდოდა შპენგლერს ამხელა წიგნის დაწერა... საკმაო იყო ეს ცეკვა და ეს ფეხები აეწერა... არა, მოსიე პელიტიე?..“

პელიტიე არას ამბობს. მხოლოდ იღიმება. პეტერეცს შეკითხვა პაუზისათვის სჭირდება. იგი მონოლოგისტია დაბადებით და თვრება მონოლოგით.

„ტყუილია, ვითომ ადამიანი წარმოიშვა მაიმუნისაგან“...

იწყებს პეტერეც, თითქო სხვა თემაზე გადახტა. უნგარ და პელეტიე მონოლოგისტს ოდნავი გაკვირვებით აჩერდებიან. პეტერეც იღიმება და აგრძელებს.

„უფრო მართალია ჰიპოთეზი, რომ თვითონ ადამიანი გადაგვარდა მაიმუნად... დიახ, მაიმუნი დეკადენტია... ჰა, ჰა, ჰა“...

ადოლფ უნგარ სარგებლობს პეტერეცის სიცილით და ეკითხება გაოცებით:

„ეს რა შუაშია?..“

„რა შუაშია?.. ეს ანალოგიაა მხოლოდ... სიცრუვეა. ვითომ ზანგი, რომელმაც ეს რიტმები მოიტანა ევროპაში, ველური იყოს... იგი კულტურა-გავლილი დეკადენტია... ყოფილა დიდი კულტურული ხალხი და ზანგებში გადაგვარებულა... ზანგი-დეკადენტი... ეს რომ ბოდლერმა გაიგოს, საფლავში გადაბრუნდება... მაგრამ არა... დაიცადეთ“...

პეტერეც თითქოს სიტყვას ეძებს. არა: მიაგნო რაღაცას და უეცრად ისვრის ალმოჩენილ აზრს:

„ზანგი-დეკადენტი... ბოდლერს კიდეც გაუხარდება იქ სოფელს ეს ამბავი... იგი ხომ სატანისტურ უმღეროდა შავკანიან მადონნას... თუ არ ვცდები, კიდეც უყვარდა ასეთი... არა: ბოდლერს ჰქონდა აპოკალიპსური ინტუიცია... მან წინიგრძნო ჩვენი ხანის სურნელი... „ავ ყვავილებში“ ეს ყვავილიცაა უთუოდ: სენსუალობა შავკანიანის ავხოროცობით... არა, მოსიე პელეტიე?..“

პელეტიე იღიმება. პეტერეც პაპიროზს იღებს. უნგარ სარგებლობს ამ შემთხვევით:

„საინტერესო ჰიპოტეზია, მაგრამ ძაფს ვერ ვხედავ“...

ამბობს უნგარ, თითქო თავისთვის.

„აი ძაფიც... (პეტერეცმა პაპიროზს ცეცხლი უკვე მოუკიდა)... ზანგი დეკადენტია... ზანგი იპყრობს ევროპას თავის რიტმებით... ბოლო ხანს მხატვრობაში და ლიტერატურაშიაც შემოიჭრა იგი... ევროპა იღებს ზანგს... ევროპა თვრება ზანგურით... პატარა ბიჭები ტრამვაის ბაქანზეც ვერ იმაგრებენ ფეხებს: სტვენენ ზანგის მოტივებსა და ცეკვას უვლიან... აგრეთვე პატარა გოგოებიც — სადმე განაპირა ქუჩაზე... ევროპა ეწაფება ზანგურს... და თუ ზანგი დეკადანსია ძველი კულტურის, მაშასადამე“.....

„მაშასადამე?..“

ეკითხება პელეტიე.

მაგრამ ამ წამს მეტრდოტელი პეტერეცს უახლოვდება და გადასცემს, რომ მას ტელეფონთან იხმობენ. პეტერეც წამოხტა და გავარდა. ჰაერში შერჩა „ჩაყლაპული“ ფრაზა.

„მაშასადამე?.. ეს შემდეგ იყოს... რომანისტებს უყვართ გაგრძელება“...

დუმილი, რომელიც პელეტიესათვის უფრო აუტანელია. ამას გრძნობს უნგარიც და არღვევს სიჩუმეს.

„ახირებული კაცია ეს ჩვენი პეტრეც“...

„დიახ: დიდი პარადოქსალისტია“...

„საიდან სად რას წვდება!..“

„სწორედ უცნაური ასოციაციებია მისი დამახასიათებელი... აი მაგალითად... თქვენს მოსვლამდე წელან იმ თემაზე ვბაასობდით, რომელიც თქვენ ასე ძლიერ გაინტერესებთ“...

„ამორძალებზე, არა?..“

„სწორედ... მართლაც საოცარია ამორძალთა საიდუმლო... ვიცით ფაქტი: ამორძლები ცალკე კლანებათ ცხოვრობდენ, დროგამოშვებით თავს ესხმოდენ ვაჟთა კლანებს, მიჰყავდათ უკანასკნელნი ტყვეებად თავისთან, ემზადებოდენ „ვარდის დღესასწაულისათვის“, ამ დღეს განცხრომას მიეცემოდენ ტყვე ვაჟებთან ერთად, შემდეგ ტყვეებს ჰკლავდენ... ჩვენ ვიცით: ეს ფაქტია“...

„დიახ: ფაქტია“...

„მაგრამ არ ვიცით ერთირამ: თუ კი ასე სწყურდათ ამორძლებს ვაჟთა სიყვარული, რად ჰკვეთდენ მათ თავებს“...

„სწორედ ეგ არის საიდუმლო“...

„და იცით, როგორ ხსნის ამას პეტრეც?..“

„როგორ ხსნის?..“

მაგრამ პეტრეც უკვე მოვარდა და დიალოგი შეწყდა.

„მისტერ ლეიკ და მისი ჟანნეტ გვიხმობენ... მე და თქვენ, მოსიე პელეტიე... მე გადავეცი. ჰერრ უნგარ აქ არის თქო... ვერ წარმოიდგენთ, რა გაუხარდა... მისტერ ლეიკ შეხტა სიხარულით (ხმაზე შევიტყე)... მადამ ჟანნეტ ხომ ერთიანად ახალისდა... გთხოვენ თქვენც წამოხვიდეთ, ჰერრ უნგარ“...

„წამოვალ, მხოლოდ ეხლა ვერ... აქ ველე ერთს ნაცნობს“...

„მაშ როდის?...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ერთი საათის შემდეგ“...
„უთუოდ?..“
„უთუოდ“...
„მაშ არ გემშვიდობებით“...
პეტერეც და პელეტიე წავიდნენ.

ადოლფ უნგარ მარტო უზის მაგიდას. მისი თვალი ეხლა თავისუფალია. თავისუფლად ისუნთქავს (პეტერეცი აღარაა) და მაგიდებს ათვალიერებს. უეცრად ერთ მაგიდაზე ვიღაცას თვალი მოჰკრა და წამსვე გაშტერდა. თითქო ცქერას რაღაც მატერიული მოხვდა და თავი განზე გადაქანდა. რატომ აქამდე ვერ დაინახა? ხედავს: გრძელი ფეხები ქალის, დაშვეტილი და მოქნილი: ფეხები — თითქო ორი მწიფე ხილი. ფეხებზე ტუფლები შავი აბრეშუმის და ტუფლებზე თხილის კაკლის ოდენა ბრილიანტი თვითეულზე. ადოლფ უნგარ თეძოებს ხედავს ქალისას. „ჰაა, ამორძალი, ნამდვილი ამორძალი“. უნგარ ერთიანად შეირხა: თითქო მის სხეულს ახალი რასსა მოხვდა ფიზიკურად. ქალმა მოიხედა. უნგარმა თავი დახარა. რა ემართება? ქალმა თავი ასწია. განზე იყურება. თმები შემორგვილი. მზის ფერი, ზღვაში ჩამავალის. პროფილი: მარჯვედ კვეთილი, ოდენი სიკუშტით. თვალები თითქო სხვაგან არიან — ისე იხედებიან: ორ შავ ტალღის ფოთოლზე სრიალობს ზურმუხტის კიაფი. „ჰაა, ამორძალი, ნამდვილი ამორძალი“. უნგარის ტვინში ცეცხლია და გახარება. ჩამოწვა მძიმე ინტერვალი, როცა ორის ბედს ვიღაც მესამე სწყვეტს. ვაჟი ხედავს ამორძალს და ამორძალში ხედავს ქალს: ყოველი ასო ქალის, ხელი თუ ფეხი, ოვალი თუ ყური, ცხვირი თუ შუბლი, ყელი თუ მკერდი, თეძო თუ თმა, ყოველი ნაწილი ქალის თითქო თვითონ არის „ქალი“, რხევით და ძრაობით. ვაჟი ქალს თვალს ვერ აცილებს. მწვანე აბრეშუმის კაბაში ქალის ტანი თითქო მოქნილი ქვის ნაკვეთია ბადეში გაკვალთული. ხედავს ვაჟი ქალს და გრძნობს: ალტაცება ქალით ცხელ ლითონად ეშვება მის სხეულში. ვაჟი სხვასაც გრძნობს: ლითონი გადნა ტანში და მთელი ტანი მოიცო. შემდეგ. გალხობილი ლითონი ისევ იკუმშება და იკვრივება, იბო-

ჭება იმ ალაგას, საიდანაც სხეულში გადაეშვა. მაგრამ ლითონი გამოსავალს ველარ ნახულობს — და იხრჩვება ვაჟი. არაოდეს უნგარს ასეთი რამ არ უგზვნია. უნახავს ათასი ქალი, შესაძლოა უფრო ლამაზი, ვიდრე ეს ქალი. ჰყვარებია მრავალი ქალი, შესაძლოა უფრო მოხდენილი, ვიდრე ეს ქალი. მაგრამ ასეთი რამ ქალის პირველ ხილვის წამს მას არ განუცდია. როცა უნგარ ლამაზ ქალს ხვდება ხოლმე, ღელვას იწყებს, მაგრამ იმავე დროს გრძნობს ღვივებულ ძალას ვაჟისას. ამ ქალის წინაშე კი: მართალია, ღელავს უნგარ, მაგრამ სად გაჰქრა ძალა ვაჟის? უცნობი ლამაზის წინაშე ადოლფ უნგარ „წახდა“. რალაცამ იგრძნო მის არსში, რომ ქალმა სძლია მას: დაანარცხა, დაამცირა, გაანადგურა. ისევ ინტერვალი, როცა ორის ბედს ვილაც მესამე სწყვეტს.

ადოლფ უნგარ თვალს ვერ აცილებს ქალს. ვინ უნდა იყოს? ინგლისელი თუ ფრანგი, იტალიელი თუ რუსი, ჰოლანდიელი თუ ამერიკელი? არა: ეს სხვა რასაა, ჯერ კიდევ უხილავი. ქალი პაპიროზს სწევს. მარცხენა ხელის უსახელო თითზე დიდი ზურმუხტის ბეჭედი. პაპიროსის მჭრალი ბოლი თითქო შარავანდს ავლებს ნათელ პროფილს. ვინ უზის გვერდით? ხმელი კაცი, რომლის სპლინი ნირვანაში აპირებს გადასვლას, მაგრამ მონოკლი აჩერებს. ელაპარაკება ინგლისურად. ამერიკელი უნდა იყოს, დაახლოვებით 50 წლის. ვინც ხელის გამოცნობა იცის, დაინახავს, რომ ამერიკელის მჭნარი მაგრამ მაინც ფუნჩულა ხელი ნაჩვევია ბაჯალოთ ოქროების გადალაგებას. ამერიკელი ლაპარაკობს. ქალი არას ამბობს, განზე იყურება, თითქო არც კი უსმენს. უნგარს ჰსურს ქალის ხმა გაიგონოს: უკანასკნელ თროზისათვის საჭიროა ეს თასიც შესვას. მაგრამ ქალი სდუმს. ვინ არის იგი ამერიკელისათვის? ცოლი? მაგრამ ცოლს ასეთი მოკრძალებით არ ებაასებიან. ქალიშვილი? მაგრამ შვილს აგრე არ ექცევიან. ვისა? და უნგარის ტვინს რალაც კბენს. ვაჟკაცს მხოლოდ ის ანუგეშებს, რომ ქალი ამერიკელის თანაყოფას არა გრძნობს. მაგრამ ქალი არც ვისსამე თანაყოფას ამჩნევს სხვისას: არც თვითონ უნგარის იქყოფას. უნგარ იმღვრევა.

ქალის წინ მაგიდაზე ჟურნალებია. ქალი იღებს ერთ ჟურნალს და შლის. ჰაა, კინოჟურნალი. რომელი ნომერი? სწორედ ის, საცა უნგარის სურათია მოქცეული. უნგარს უხარია და ღელავს. თვალს ადევნებს ქალის ხელს და იწურება. შინა ხილვით კი თავის თავს უცქერს. იგი მოხდენილი ვაჟკაცია. ტანად—საშვალოზე მალალი, ჩასკვნილი და დაქნილი. ბრგე. ცხვირი: ოდნავ გალუნული, მაგრამ „ხასიათის". ნიკაპი: ფართო და მაგარი. შუბლი — მალალი. თვალები — ფოლად-რუხი. მეზღვაურებს რომ აქვთ. თავი გადახოტრილი და „ტატუირით" გადარუჯული. მარცხენა მაჯაზე რკინის სხვილრგოლიანი სამაჯური: თითქო ძალის ნიშანი. საერთოდ: მიწაში ნახული ძველი რომაელის მედალიონი, ოდნავ გახრილი და დაჟანგული. მაგრამ მაინც მაგარი და მეტყველი. უნგარ ქალის თითებს უცქერს. ჟურნალს რომ ფურცლავენ. რომელ გვერდზეა მისი სურათი? მეხუთმეტეზე. უნგარ ითვლის ფერცლებს. რად აგვიანებს ნეტავ? ქალი კითხულობს რაღაცას. უნგარს უთმენობა ეზრდება. ეს რომელი გვერდია? მეცამეტე უნდა იყოს. და ქალი უეცრად, მეთოთხმეტეს არც კი ხედავს. პირდაპირ მეხუთმეტეზე გადადის. უნგარს ეგონა მანამდე, თავისუფლად ამოისუნთქავდა. მაგრამ სუნთქვა ეხლა უფრო შეეკრა. უნგარ ეხლა წამებს ითვლის (თუ რამდენ ხანს შეაჩერებს ქალი სურათზე თავის ცქერას) და იჭერს ქალის სახის მეტყველებას. რად გადაფურცლა ასე მალე? არ მიიზიდა? ნეტავ თუ მოხედავს ვაჟს? უნგარ იწურება. ქალმა მართლაც მოხედა ერთი, სულ მოკლე წამით. მიხვდა თუ არა ქალი, რომ ის სურათი ამ ვაჟისაა? ან თუ მოეწონა ქალს? (ამის ალლო ვაჟს უნდა ჰქონდეს. ეს მაქსიმაა უნგარის). უნგარ უმზერს ქალს. მაგრამ ქალის სახეზე ვერაფერს ჰკითხულობს: ვერც „ჰოს" და ვერც „არას". უნგარ ოდნავ განრისხდა. ქვაცურ მოკუმული ბაგე კიდევ უფრო მოეკუმა.

რა იქნება. რომ ადგეს და მივიდეს მაგიდასთან? ბოდიშს მოიხდის. გადასცემს. რომ დაეძებს ამორძალთა დედოფალს. სთხოვს „ფალესტრად" გამოვიდეს. საძრახი აქ არაფერია. უნგარ მართლაც აპირებს ადგომას. უნდა —

მივიდეს. მაგრამ ქალმა მოიხედა — და უნგარ ისევ სკამზე დაეშვა მოცელილი. რა ემართება? ნუ თუ მართლაც ასე „წახდა"? ისევ ქალის მიმართ იცქირება. ხედავს: ამერიკელი საპირფარეშოსაკენ გაემართა. უნგარ იღებს სადარბაზო ბარათს და ზედ რალაცას სწერს ფანქრით. სწერს ნერვიულად. შემდეგ გადასწყვეტს, ჩუმად გადასცეს ქალს ბარათი. მაგრამ გადაწყვეტას ვერ ასრულებს. რა ემართება? ბრუნდება ამერიკელი. „კავა. დროა წავიდეთ". ეუბნება ქალს. ჰაა. სახელი მაინც გაიგო ვაჟმა: „კავა". ეხლა თვითონაც ემზადება წასასვლელად. ანგარიშს ასწორებს და ამერიკელსა და ქალს შეპარვით უყურებს. ისინიც დგებიან. ჰოო. რა მალალი ქალი ყოფილა! თითქმის უნგარზე უფრო მალალია. ეხლა უნგარ კიდევ უფრო მოეშვა და კიდევ უფრო „წახდა". (ვაჟი თუ ქალზე ოდნავ მაინც ამალალი არაა. ძნელია მაშინ უკანასკნელის მორევა — ესეც მაქსიმაა უნგარის). ამერიკელი და ქალი წინ მიდიან. უნგარ მათ უკან მიჰყვება. შემოსასვლელ ტროიალა კარში გადასცემს ბარათს, — ამას ფიქრობს უნგარ. ქალი ხელთათმანს იბნევს. აი მოხდენილი წამიც. რამდენჯერ გადაუცია უნგარს უცხო ქალისათვის ასეთს ადგილს პაწია ბარათი! ქალს უცბად გამოურთმევია და ხელთათმანში ჩაუბნევია. მაგრამ რა ემართება მას? ქალი სარკეში იყურება. უნგარ აგვიანებს სვლას და უკანიდან სარკეში იმზირება. უეცრად ქალის ღიმილი გადმოხტა სარკიდან. დაცინვის იყო ღიმილი თუ წაქეზების? ვერ ცნობს უნგარ: დაეკარგა ალლო. ამერიკელი უკვე გავიდა გარეთ. ეხლა ქალი მიდის. უნგარ მისდევს. უნდას გადასცეს. „დასწყევლოს ღმერთმა" — ხელი უკანკალებს: ვერც ეხლა გადასცა. ამერიკელი და ქალი ავტოში სხდებიან. უნგარიც იმარჯვებს ავტოს. მიჰყვება წინ-გაქანებულ ავტოს. განვლეს ერთი ქუჩა. მეორე. შე სახვევი, შემდეგ ხიდი, შემდეგ ისევ ქუჩა, ისევ შესახვევი. უნგარ არ აცილებს თვალს წინ მიმავალ ავტოს. მაგრამ ხალხის მასსა მატულობს თანდათან. მატულობს ტაკსების „ჯოგიც". ბულვარია წინ და უნდა გადასერონ. ამერიკელის ავტო უკვე შევიდა რკალში. უნგარსაც უნდა გა-

ჰყვეს. მაგრამ სწორედ ამ დროს შუცბანმა დირიჟორის პოზით ხელი ამართა — და მიმავალთა მასსა დაგუბდა. უნგარ ბედს სწყევლის. მაინც იმ ავტოს უცქერს. უეცრად ქალმა მოიხედა უკან, ვაჟის მიმართ. უნგარ იჭერს ქალის ხედვას. რას გაარჩევს ღამით, თუ გინდ ელექტროთი აშადრევანებულით? უნგარ თითქო ავტოს დააკვდა. ავტო ბურდღუნობს. უნგარის თვალებში ის „გამოხედვაა“ გარჩენილი. რა ამოშლის მის თვალებში ამ გამოხედვას? ადოლფ უნგარ გრძნობს: ბედისწერამ გაურბინა გვერდით და მხრები აუწვა.

კამარამეორე

მისტერ ლეიკ მაგიდას უზის საშუალო კაბინეტში. კაბინეტი ისეა მორთული და მოწყობილი, რომ ქალაქის ხმაური მასში არ შედის. იგი ხომალდის კაბინაა უფრო, საცა ოკეანეს ხმაური, ამ შემთხვევაში ქალაქის, ძლივს მოისმის შორიდან. მაგიდა დაბალია და გრძელი, შავი ხისაგან ნამზადი. მაგიდაზე სატელოფონო იარალია. გვერდით — რადიოსამართიც. საქმის ქალალდების მოშორებით ორი კოლოფია უზარმაზარი: ერთი პაპიროსებით არის სავსე და მეორე სიგარებით. მისტერ ლეიკ იღებს ტელეფონის ტარს — (სტუმარის წინაშე ბოდიშს იხდის). ნელი მაგრამ მბრძანებელი კილოთი იხმობს სადგურს. სტუმარი მოკრძალებით უცქერს მასპინძელს. მისტერ ლეიკ ტელეფონით ლაპარაკობს: „მისტერ მაკ კოლახ... არ არის?.. როდის დაბრუნდება?.. კარგი... გმადლობთ“... მისტერ ლეიკ დაშვიდებით დებს ტელეფონის ტარს. შემდეგ იღებს სათუთუნე კოლოფს და აწვდის სტუმარს: „მიირთვი“. სტუმარი მოწიწებით იღებს პაპიროზს და ცეცხლს უკიდებს. მისტერ ლეიკ ლაპარაკობს. სტუმარი პელეტიეა. იგი ზის მაგიდის გვერდით დაბალსა და რბილ სავარძელში. მისტერ ლეიკის სავარძელი კი უფრო მაღალია და მაგარი. განზრახ ხომ არ არის მოწყობილი? პელეტიემ იცის, რომ დაბალი და რბილი სავარძელი ოცნებას აღვიძებს, მაგრამ ნებას ადუ-

ხებს. ლაპარაკობს მისტერ ლეიკ. ფრაზა მოკლე და მაგარი. კილო აუჩქარებელია და დამაჯერებელი. ჰელეტიე უმზერს მისტერ ლეიკის პროფილს და ფიქრობს: „პირწავარდნილი იანკი".

მაგრამ ლეიკ იანკი არაა. იგი დაიბადა ოდესაში, არნაუტის ქუჩაზე. მამა მისი ვილნოდან გადმოსახლდა, საცა ლეიკის პაპა დიდი ბაალშემის სახელს ადიდებდა. გიმნაზიის მეექვსე კლასში ყოფნის დროს ერთხელ ვილაცამ ლეიკს უთხრა: თქვენ ინგლისელს უფრო ჰგავხართ. ამ დღიდგან ახალგაზდა ლეიკ ანგლომანად გადაიქცა. თავის რასით იგი რომანტიკოსი იყო და ყოველდღე ინგლისელობაზე ფიქრობდა. ფიქრებში ხანდახან ნამდვილ ინგლისელად გრძნობდა თავს. ინგლისელობისათვის ენა იყო საჭირო. ლეიკმა იწყო ინგლისურის სწავლა. ბევრი იბრძოლა სწორი გამოთქმისათვის და სამი წლის განმავლობაში მიზანს მიაღწია. უნივერსიტეტში რომ გადავიდა, მაშინ მას უკვე „ინგლისელს" უძახოდენ მეტსახელად. ინგლისელობისათვის „ხასიათიც" იყო საჭირო და ხასიათში „ნება". ლეიკ ყოველდღე ვარჯიშობდა ხასიათის დაქნისათვის და ნების გაჭედვისათვის. ხშირად ასეთ საშვალებასაც მიმართავდა: ბარათს რომ მიიღებდა და კონვერტზე საყვარელის ..ხელს" დაინახავდა, აღელვებას აკავებდა და ბარათს მეორე დღეს ხსნიდა. მას აწუხებდა მხოლოდ ორი ასო თავის გვარში „ლეიკეს" უკანასკნელი ორი ასო. თავის ფიქრებში კიდეც შეკვეცა ეს გვარი: „ლეიკეს" იქცა „ლეიკ". მაგრამ ოდესაში ამას არ ამხელდა. დიდი ომის დროს სპარსეთის ფრონტზე მოხვდა იგი როგორც სამხედრო მოხელე „ქალაქთა კავშირში". აქ შეისწავლა სპარსული. გახდა კავშირის სამნეო ნაწილის გამგე. „გამორჩენას" დიდებულად ახერხებდა. აგროვებდა სპარსულ „თუმნებს" და სპარსულ ხალიჩებს. ხშირად დადიოდა ყაზვინსა და ტფილისს შუა. ენზელში არ ჩხრეკდენ (ჰქონდა სათანადო ქალალდი). ტფილისიდან ქინა შეჰქონდა სპარსეთში, სპარსელიან ჰაშიში გამოჰქონდა. სიმდიდრე თანდათან ჰმატულობდა. მაგრამ ოქტომბრის რევოლუციამ სპარსეთის ფრონტიც მოშალა. ლეიკმა დაჰკარგა სწორი ალ-

ლო. გონით მას სწადდა ჰამადანისკენ წასულიყო. იქ შეუერთდებოდა გენერალ ბარათოვის რაზმს და ინდოეთისაკენ ან ბაგდადისაკენ გაემართებოდა. ამ გზით გადაარჩენდა სპარსულ „თუმნებსაც“ და სპარსულ ხალიჩებსაც. მაგრამ მისი „გული“ უფრო მგრძნობიარე აღმოჩნდა ვიდრე მისი „გონი“. მას ერთი სათნოების დაჰ უყვარდა, ქერა რუსი, და მასთან ერთად ჩრდილოეთის მიმართ გაემგზავრა. ხალიჩები ყაზვინში დასტოვა. გზაში, სამოქალაქო ომის ატმოსფეროში, სათნოების დაჰც დაჰკარგა და სპარსული „თუმნებიც“. როგორც იქნა, მიაღწია მოსკოვს. იქ გაიცნო მესპირტე კონტრაბანდისტები. როცა მოსკოვსა და კავკასის შუა გზა გაიხსნა, ლეიკ ამ მესპირტეთა ერთერთ ხელმძღვანელად იქცა. ქართველები მას „ჩვენს ლეკს“ ეძახდენ. მაგრამ ლეიკს წინაგზნობა ყოველთვის მახვილი ჰქონდა. იგი გრძნობდა, რომ „ჩეკას“ სიზმარშიაც ვერ დაემალები. ისე კი, სოციალისტურ ქვეყანაში მას მუშაობა არ შეეძლო. ერთი თვე იავადმყოფა. წვერი მოუშვა. შემდეგ გადაიცვა ძონძები და „მათხოვრად“ გამოვიდა ტვერის ქუჩაზე. „ივერიის ღვთისმშობელთან“ ხშირად გამვლელი მის გალობის ნატეხს გაიგონებდა: „პრეჩიისტე სჰაასე“. ბოლოს მოსკოვიც მიატოვა. გაემართა სიბირისაკენ. გაუძვრა ხელიდან „წითლებს“. გაუძვრა „თეთრებსაც“. გადავიდა მონღოლიაში. გადავიდა ჩინეთში. გზაში ნახა: ძველი თემები, ძველი მხეცები, ძველი ღმერთები. ჩინეთიდან გადავიდა იაპონიაში. და ერთ დღეს ამერიკაში ამოყო თავი. აქ დასწერა თავის თავგადასავალი. ამერიკელი ჟურნალისტები თავს ეხვევდენ. იშოვა ფული და იწყო ისევ „ინგლისელობა“. მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ „ინგლისელობისათვის“, გარდა „სამართებლისა“, „ენისა“ და „ნებისა“, საჭირო კიდევ ათასწლოვანი ტრადიცია. მაშინ მის ფიქრებში „იანკმა“ იელვა, რომელსაც „ტრადიცია“ არ აქვს და არც სჭირდება. და ერთ დღეს (უთუოდ „მშვენიერს“) მისტერ ლეიკ იანკად იქცა. მაგრამ ლეიკ ვერც ამერიკას შეეგუა. მან ვერ ამოფხვრა თავის რასისდან რომანტიულობა. მიატოვა ნიუიორკი და ევროპისაკენ გამოეშურა. ამ დროს

გერმანიაში „ინფლაციის“ ხანა იყო. იწყო სპეკულაცია და ერთ თვეში გამდიდრდა საოცრად. ხოლო ლეიკს მისი სენსუალობა კარგს არას უმზადებდა. ბერლინში გაიცნო ემიგრანტი ქალი. თავად ობოლენსკის ასული იორინა. მოეწონა და შეუყვარდა. იორინა „იღებდა“ ამ მოწონებას და შეყვერებას. მაგრამ გულში ნამდვილ ინგლისელზე უფრო ოცნებობდა. მალე ასეთიც ნახა — და მისტერ ლეიკ დარჩა ხელცალიერი: თავადის ასულს თითქმის მთელი თავის ქონება დაახარჯა. მიატოვა ბერლინი და გაეშურა მსოფლიო ჭალაქისაკენ, რომლის ნერვი ლატინთა გენია არის თვითონ. აქ ისევ ჰაშიშს დაუბრუნდა: სპარსეთიდან გადმოჰქონდა ანგორაში, ანგორიდან საფრანგეთში. იშოვა დიდძალი ფული. მაგრამ ერთ დღეს გაზეთის ხრონიკაში ამოიკითხა. რომ მისი თანაზიარი დაჭერილია. მისტერ ლეიკ შიშმა შეიპყრო. მთელი ქონება მამხელ საბუთების გასაქრობად დახარჯა. გადარჩა, მაგრამ ძვირად დაუჯდა გადარჩენა. შემდეგ ისევ გერმანიას მოაშურა. ეხლა ბეწვზე ჰკიდია მისტერ ლეიკ. მაგრამ იგი იმედს არ ჰკარგავს. მას აქვს ნაცნობობა და კავშირი. იგი ყველაფერს გამოიყენებს. მას იდეაც აქვს: თანდართულ ევროპის მაჯისცემა სენსუალობაა. მაგრამ ამ სენსუალობას ესთეტიურ ხაზებში უნდა მისცე სავალი. მისტერ ლეიკის გეგმაა — შეჰქმნას იდეალური კაფე-თეატრი, საცა მოხდენილად იქნება შეზავებული სამი რამ: ქალის სიტიტვლე, ზანგების რიტმები და პოეტური ფანტაზია. მისტერ ლეიკს კაპიტალსაც ჰპირდებიან ამ საქმისათვის. ეგებ მისტერ მაკკოლახ ჰპირდება. მისტერ ლეიკ პელეტიეს სწორედ ამაზე ელაპარაკება ამ წამს.

„თქვენ ჰერრ პეტერეც ყველაფერს გადმოგცემდათ. ჩვენ გვჭირდება მუსიკა. ძველი მუსიკა ნერვებს ალარ ხვდება. თქვენ იცით, იმარჯვებს ზანგების რიტმი. მაგრამ ეს რიტმი მარტივია, მოკლე. სინკოპის ალმოჩენა მთელი ეპოქაა. მაგრამ ჩვენ გვინდა მეტი სირთულე. ამ სირთულისათვის ძველი მუსიკის ტეხნიური მეტოდები უნდა გამოვიყენოთ. საკსოფონი დიდებულია. მაგრამ საჭიროა კიდევ სხვა ხმაური და სხვა ინსტრუმენტი. რას იტყოდით

თქვენ, მოსიე პელეტიე, მდინარის ხმაურის გამოყენება-ზე? აჰ, რას იტყოდით?“

„წყალის ხმაურზე ბევრი მიფიქრია. მე მგონია, ამ ხმა-ურს მართლაც გამოვიყენებთ“.

„ისე, თითქო ეს ნელი შიშინი ფონია ათამაშებულ რიტმების. თითქო ეს შრიალი თუ შიშინი ქაოსის სუნთ-ქვაა, საიდანაც იბადებიან პირველყოფილი ტალღები და ნელი-ნელ რიტმიულ დენებში იშლებიან“.

„ნამდვილი თქმაა. თქვენ გაქვთ გზნება მუსიკის“.

„მგონია, კარგი რამ უნდა გამოვიდეს“.

„უთუოდ. არ მეეჭვება. შემდეგ: ოკესტრალური მოგ-ვარება პირვანდელი რიტმების. დიდებული სახე მოგინა-ხავთ: ქაოსი. დიახ, ქაოსი. ორკესტრი ქაოსის ხახა უნდა იყოს, საიდანაც ცხელი რიტმები მოგორავენ. მაგრამ ეს, ასე ვსთქვათ, თავში, დაწყებისას. შემდეგ ეს „ხახა“ მხო-ლოდ ხანდახან უნდა შეიჭრას უკვე დაურვებულ და დაო-კებულ რიტმიულ დენაში“.

„ნამდვილი სიტყვაა. კარგია, როცა აზვავებულ ორ-კესტრს რალაც მწველი ტალღა გაურბენს ტანში. გაუვლის და გადასერავს“.

„სწორედ: მაგ არის თავიდათავი. ეს მსერავი ტალღა უნდა იყოს რადიოქცეული სენსუალური ხაზი“.

„ნამდვილია. სენსუალური ხაზი: რადიოქცეული. სა-შინლად წელილი, თითქმის ამატერიულობამდე დასული. მაგრამ მწველი, ტკბილი. დიდებული ნათქვამია. მოსიე პელეტიე, თქვენ გულთმხილავი ყოფილხართ: თქვენ ჩემს უთქმელ ფიქრებს ამჟღავნებთ. საკვირველია“.

პელეტიე იღიმება. მისტერ ლეიკს პაპიროზს ცეცხლს უკიდებს. იგი გახარებულია და ამ გახარებას მძიმე პაუ-ზით ამაგრებს.

პელეტიეს რალაცას თქმა უნდა. მაგრამ ამ დროს კარი გაიღო, შემოვიდა ჟანნეტ ახითხითებული. შემოჰყვა ლი-მილნაკრავი პეტერეც.

„ჰა, ჰა, ჰა... ახირებულია ეს ჩვენი კიკო... (კიკო პეტე-რეცის სახელია)... რას არ მოჰყვება ხოლმე... ჰა, ჰა, ჰა...“

„ალბად ანეკდოტი მოგიყვა ახალი“...

ეუბნება მისტერ ლეიკ ჟანეტს.

„ანეკდოტი და მერე როგორი!..“

ხითხითებს ჟანნეტ. პელეტიეც იღიმება ახლა.

ჟანნეტ ჩვეული ტიპია დიდი ქალაქების. მას ხშირად ნახავ: კინოატელიებ'ძი, თეატრალურ სტუდიებ'ში, მონმარტრის კაფეებ'ში, მაღალი წრის კოკოტებ'ში და ტანშხვართა მოდელებ'ში. ჟანნეტ ბოჰემის ხალისია და კისკასი. იცის მეგობრობა პოეტების და მხატვრების. ჟანნეტ პეტერეცის განდობილი მეგობარია. დროებით მოდელობა მიატოვა და ეხლა მისტერ ლეიკთან ცხოვრობს. მისტერ ლეიკ მას არას აკლებს.

ჟანნეტ ხითხითს ათავებს. მისტერ ლეიკ საათს უყურებს.

„რად იგვიანებს, ნეტავ, უნგარ?“

კითხულობს ჟანნეტ ოდნავ ფერცვლილი.

„უკვე პირველი სრულდება“...

ამბობს ნელი ხმით ლეიკ, და ჟანნეტს მიმართავს:

„სუფრა მზადაა?..“

„მზადაა... მაგრამ უნგარ?..“

უნგარის ხსენებაზე პეტერეც ხალისს ველარ იკავებს.

„ნაძლევს ვდებ: უნგარ უთუოდ იმ ქალს აედევნა, ჩვენს გვერდით რომ იჯდა ამერიკელთან ერთად... არა, ძოსიე პელეტიე?... უნგარ ამორძალთა დედოფალს დაეძებს“...

„მოხდენილი ქალი კი იყო, ღმერთ წინაშე“...

ჩურჩულობს პელეტიე თითქო თავისთვის.

„მოხდენილი და მერე როგორი ლამაზი!!!

აგრძელებს პეტერეც.

პაუზა, რომელიც ალბად ჟანნეტმა გამოიწვია. ნეტავ, თვითონ თუ გრძნობს. პაუზას არღვევს თვითონ ჟანნეტ:

„წავიდეთ... დვსხდეთ“...

პეტერეც ისევ კაფეში ნახულ ქალს უბრუნდება:

„მერე როგორ შემოვიდა ის წყეული კაფეში: თითქო დედალი ნადირი დახვეწილი, ნელი ბიჯით რომ გაივლის“.

„რა უცნაურს იტყვი ხოლმე, კიკო“!..

ეუბნება ალეწილი ჟანნეტ.

„ჰაა: შურვილმა თუ გაგირბინა, ჟანნეტ... არა, ჩემო კარგო... ის ქალი ლამაზია, მაგრამ თქვენ ორში მხატვარი მოდელად მაინც შენ აგირჩევს... არა, მოსიე პელეტიე?..“

პელეტიე იღიმება და წითლდება. ჟანნეტ მიდის ყელმოლერებით: თითქო მიაქვს აშხვართული ტანი. ტანით გრძნობს, რომ ქალია იგი ნამდვილი. კედელზე სარკეს ხედავს. სარკეში თავის თავს. ისწორებს შეკვეცილ თმებს მეწამული ფერისას. მოსწონს ეს ტანი ქალის. მოხდენილია. ლამაზია. მხოლოდ, ეს ოხერი ჭორფლი რომ არ ჰქონდეს სახეზე — და ჟანნეტის მალალ შუბლზე თითქო ნემსის წვეტით ტკივილმა გაირბინა.

უსხდებიან მაგიდას. ისმის ზარი. შემოდის უნგარ: თითქო გალახული.

„ჰაა: ჰერრ უნგარ, ჰერრ უნგარ!!“

ეგებებიან ერთხმად ყველანი.

„მეპატიეთ... დამაგვიანდა... ისეთი რამ შემემთხვა“...

ამბობს დარცხვენით უნგარ. დაჯდა ჟანნეტის გვერდით.

„ალბად ლამაზს ქალს გაჰყევით. კაფეში რომ ნახეთ... თქვენ ხომ ამორძალთა დედოფალს დაეძებთ“...

ეუბნება ჟანნეტ ორჭოლი ღიმილით.

„ლამაზი ქალი?.. კაფეში?.. ვინ გითხრათ?..“

უნგარ კიდევ უფრო დარცხვა.

„კიკო პეტეროც ნაძლევს დებს, რომ თქვენ იმ ქალს გაჰყევით, ამერიკელის გვერდით რომ იჯდა კაფეში...“

„მართლა, ჰერრ პეტეროც?...“

ეკითხება შემკრთალი უნგარ.

„მართლა... მგონია არ ვცდები“...

„საიდანა გაქვთ ასეთი ალლო?..“

ეკითხება გაოცებული უნგარ.

„ოგორ, მართლა გაჰყევით?..“

ეს ჟანნეტის ხმაა ალელვებული.

„გავყევი... მაგრამ“...

„მაგრამ — რა?..“

ეკითხება პეტეროც.

.. რადგან ასეთი ალღო გაქვთ, გამოიცნეთ: გავიცანი თუ არა“..

„ჯერ ეს მითხარით: მოგეწონათ თუ არა?..“

„გამოიცნეთ“...

..მე მგონია: კი... უთუოდ მოგეწონათ“...

მაშ რალას მეკითხებით?..“

..მე თქვენს სახეს ვუცქერ და მინდა დასტური“...

..ეხლა ხომ იცით... მიპასუხეთ ჩემს კითხვაზე“...

..პასუხისათვის საჭიროა ერთი რამ ვიცოდე“...

..რა?..“

..მოგეწონათ თქვენ უცხო ქალი როგორც რიჟისორს, თუ როგორც ვაჟს...

„არ მესმის“...

მოწონების დროს რეჟისორი ამორძალთა დედოფალს ეძებდა მასში. თუ ვაჟი ხედავდა მასში ქალს...“

„ჰააა“...

„ხომ გაიგეთ?..“

„რამოდენიმეთ“...

..მაშ სთქვით გადაჭრით“...

..კარგი... მაგრამ მე მაინც არ მესმის. რად გინდათ ეს“..

..რად მინდა?.. სათავე მხოლოდ აქაა... კაფეში მე და მოსიე პელეტიე ამორძალთა საიდუმლოს შესახებ ვბაასობდით... ეს საიდუმლო ჯერეც გამოუცნობია... მართლაც, რად ჰკლავდენ ტყვე ვაჟებს ამორძალები, თუ ასე ეტანებოდენ მათ?..“

..მეც მაგ მაინტერესებს“...

..ჩემი აზსნა ასეთია... სქესი ყველაფერშია... სიტყვაშიაც კი... სქესში წარმოშობაა და გაქრობა... მამა შობს შვილს და კვდება... შვილი მამად იქცევა: თავის მხრით შობს შვილს და კვდება... ამ შვილსაც იგივე ხვედრი მოელის — და ასე: დაუსრულებელ... ამ დენაში რჩება გვარი, პიროვნება კი კვდება... პიროვანი მარცხდება და იმარჯვებს უპიროვნო... ასე ყველგან... მაგრამ არის ერთი გამონაკლისი: ეს ადამიანია. სიყვარულით ჭირვეული... სიყვარული პიროვანის გზნებაა... სიყვარულში ადამიანს

ალარ უნდა სქესით გაგრძელება... მას უნდა სრულიქმნას საყვარელთან ერთად“...

„მერე?..“

„მერე და: ადამიანი ამას ვერ აღწევს... იტანჯება... იბრძვის... მას სძულს უპიროვნო სქესი, რომელიც მის პიროვან „მეს“ ანადგურებს... შეუცნობელ წიაღში ეს „მე“ პროტესტს უცხადებს ამ სქესს... მაგრამ სქესი საყვარელ არსშია მოქცეული, და ხშირად, როცა ადამიანის „მე“ ცნობს, რომ მისი ბრძოლა იმთავითვე გაწირულია, სქესისადმი სიძულვილს საყვარელზე გადაიტანს ხოლმე... აქაა დაფლული ძირები სიყვარულისა და სიძულვილის... ამას სასიყვარულო სიტყვებიც ამცნევენ: „შეგჭამ“, „შეგსვამ“ და სხვა... რომანტისტების სიტყვარი ამ წიაღიდან მოდის, თუმცა რომანტისტებმა ეს არ იციან“...

„ნუ თუ არავის მოუცია ეს ცხადლივ?..“

„როგორ არა?.. ჰაინრიხ კლაისტის პენთეზილეია ძალებს მიუსევს აქილესს და შემდეგ კოცნის დაგლეჯილს და თავს იკლავს მასთან... უაილდის სალომე პენთეზილეიას ჯიშისაა: იგი ჰკოცნის მოკვეთილ თავს იოქანაანისას, თუმცა თავი თვითონ მოაკვეთინა... დოსტოევსკის ქალები „სჭამენ“ საყვარლებს... ჰამსუნის ქალებს ჩუმი დუელი აქვთ ვაჟებთან... და ასე... სიყვარული დუელია, საცა ხშირად ორივე კვდება: ქალიც და ვაჟიც... დუელია, რადგან უკეთესია პიროვანი სიკვდილი ვიდრე უპიროვნო უკვდავება... ამისთვისაა, რომ უნათლეს სიყვარულს თანსდევს სევდა უკუნები... აქედანაა, რომ სიყვარულის აგზნებისას სიხარულს შიში ერთვის... დიახ, სიყვარული დუელია... ამორძალთა საიდუმლო მხოლოდ ეს დუელია და სხვა არაფერი“...

„მეტად საინტერესო შეხედულებაა და „ფალესტრას“ ფილმში ამ შეხედულებას უთუოდ გამოვიყენებთ... მაგრამ“...

„მაგრამ არ გესმით ჩემი პირობა... არა...?..“

„სწორედ“...

„ინებეთ... მაშასადამე მეთანხმებით, რომ სიყვარული დუელია... კარგი და პატიოსანი... ეხლა წარმოიდგინეთ,

რომ ვაჟი ქალს შეხვდა და შეხვედრისთანავე გრძნობს, რომ ეს ქალი მას შეუყვარდება... რა გრძნობა ერთვის ამ წინაგრძნობას თავს?..“

„ერთგვარი შიში... მოკრძალება“...

„ნამდვილია... შიში და მოკრძალება... ეხლა გესმით ჩემი შეკითხვა წინასწარი?..“

„ესე იგი: თუ მე ვაჟმა ქალი ვიხილე მასში... არა?..“

„დიახ“...

„მერე?..“

„მერე და: თუ ეს ასეა, მაშინ უფრო საფიქრალია, რომ თქვენ ის ქალი არ გაგიცვნიათ“...

„თქვენ როგორ გგონიათ?..“

„მე მგონია, არ გაგიცვნიათ“...

პეტერეც შეჩერდა. უნგარ სდუმს. ჟანნეტ აყვანილია ცნობის მოყვარეობით. პაუზას ველარ იტანს და უნგარს ეკითხება:

„ჰერრ უნგარ, გამოიცნო თუ არა?..“ ,

„გამოიცნო“...

ღიმილით ამბობს უნგარ. სხვებსაც ელიმებათ. მხოლოდ ჟანნეტის სახეს სხვა იერმა გადაჰკრა.

სუფრა მხიარულდება: შამპანიური არ ღალატობს მას. საუბრობენ. დროს ატარებენ.

ადოლფ უნგარ დაღვრემილია. ეს დაღვრემილობა თუ უნდა დაფაროს — პატერეცს ეუბნება:

..ტეოსოფები ამბობენ, რომ ყოველ ადამიანს ასტრალური სხეულიც აქვს, რომელიც ხანგამოშვებით მას სცილდება... თქვენი ასტრალური სხეული ხშირად უნდა სცდილობდეს თქვენ ფიზიკურ სხეულს... ალბად დღესაც დასტოვეთ იგი კაფეში, რომ ჩემთვის თვალყური ედევნებია... არა?..“

პეტერეც ხალისით რუჰებს უშვებს.

„შესაძლოა, ეგეც მართალია... მე თვითონ არ ვიცი, ვინა ვარ... მე არ დავბადებულვარ... მე მოვევლინე ქვეყანას... თქვენ გიკვირთ?..მე მნახეს ქუჩაში — აი საიდუმლო... გოტის ალმანახი კი არა, ჩემთვის უბრალო მეტრიკაც არ არსებობს... ვინ იყო დედა, ვინ იყო მამა — არა-

ვინ იცის... შეიძლება მართლაც უდედმამოდ გავჩნდი... გვეუბნებიან: არ არის კანონი გამონაკლისის გარეშე... რად არ შეგვიძლია მივიღოთ ერთი პატარა გამონაკლისი ძსოფლიო რიტმში: შეიძლება, მართლაც მოვევლინე ქვეყანას... ჰა, ჰა, ჰა... თქვენც იცინით?.. ხანდახან მე ვგზნობ, რომ მე არ ვარსებობ... მე ფანტომი ვარ, შემთხვევით „ყოფაში" მოქცეული... ანდრეი ბელიმ (მისი რომანი „პეტერბურგი" თარგმნილია) სცადა ასეთი ტიპი მოეცა, მაგრამ კუბისტურ კონსტრუქციაში ტიპი გუტაპერჩის ფიგურა გამოვიდა გუსტავ მეირინკმა შექმნა „გოლემი"... ეს უფრო ცოცხალია... მაგრამ მე უფრო ვნებიანი ვარ..... ვნებიანი. მაგრამ მაინც ანონიმი... დიახ, ხშირად ასე მეჩვენება"...

მისტერ ლეიკ იღიმება და ეკითხება:

„მოსიე პეტერეც, ეგებ თქვენი გვარიც ანონიმია, ან პსევდონიმი"...

„მეც ასე ვგრძნობ... მერე?.."

„მერე და: თუ ეს ასეა, მაშინ უკეთესი იქნება თქვენს გვარს „ტე" მოაცილოთ, მხოლოდ ერთი მარცვალი"...

„დარჩება პერეც"...

„დიახ, პერეც... და იცით მერე, რას ნიშნავს „პერეც" რუსულად?.."

„რას ნიშნავს?.."

„პერეც რუსულად „პილპილს" ნიშნავს"...

ჰა. ჰა. ჰა, ჰა. ჰა... იცინიან ყველანი. მაგრამ ყველაზე უფრო თვითონ პეტერეც იცინის.

„პერეც... პერეც... პილპილა... სწორედ პილპილა... ჰა, ჰა. ჰა... აი სწორი სახელი ჩემი... ზოგზე იტყვიან — „მარილია" ამა სოფლისა... ჩემზე შეუძლიათ სთქვან—„პილპილია" ამ ქვეყნის... ჰა. ჰა. ჰა... და მართლაც: მე პათოსი ვარ ამ ყოფის... პათოსი „პილპილის" გარეშე შეუძლებელია... გაუმარჯოს პერეცს... ჰა, ჰა, ჰა... მოიცადეთ... მიგუელ უნამუნოს „ნისლში" ჩემგვარი ტიპია გამოყვანილი, თუმცა იგი მემთვარიაა უფრო, რომელიც უთუოდ ჩუკუნებას ეწევა... ჰა. ჰა. ჰა... წარმოიდგინეთ, იმასაც „პერეც" ჰქვია... როგორ არ დავიჯერო ამის შემდეგ წინასწარწყო-

ბილი ჰარმონია... დიახ, პერეც, პერეც... გაუმარჯოს პერეცს... იცოდეთ, ამიერიდან ჩემი ანონიმი პერეცის გვარს ატარებს... ამას ვამბობ მე, კიკო პერეც... გაუმარჯოს პერეცს“...

„გაუმარჯოს პერეცს, გაუმარჯოს“...

იცინიან ყველანი და სცლიან სმურებს.

მისტერ ლეიკ ორჭოლ იღიმება და სიტყვას ჩუმად აპარებს:

„ჰერრ პეტერეც... არა: ჰერრ პერეც... რომ იცოდეთ, რას ნიშნავს თქვენი სახელი ქართულად“...

„როგორ, თქვენ ქართულიც იცით?..“

ეკითხება უნგარო.

„არა... მხოლოდ ეს ერთი სიტყვა ვიცი... ტფილისში გავიგონე... ბაქარას თამაშის დროს“...

მისტერ ლეიკ იღიმება. პეტერეც ხტის:

„კიკო?.. ღმერთო ჩემო, ნუ თუ ესეც რამეს ნიშნავს“...

„ნიშნავს და იცით, რას?..“

„რას?.. რას?..“

„კიკო ქართულად „ტუზს“ ნიშნავს“...

პეტერეც თუ პერეც სიხარულს ხელით იჭერს:

„კიკო — ტუზი... აი ნამდვილი ნიშანი... ტოტემური ნიშანი... ბებრუხანა ისტორია პასსიანსს ალაგებს და უეცრად „ტუზი“ გამოხტება... ეს „ტუზი“ მე ვარ... „პილპილის“ გარდა პათოსს „ტუზიც“ სჭირდება... თუ არა... არა: დღეს უკაკანასკნელად ვირწმუნე წინასწარწყობილი ჰარმონია... კიკო პერეც — ტუზი და პილპილა... ჰა,ჰა,ჰა...

იცინიან ყველანი და სუფრას ხალისი ემატება. უნგარო ამჩნევს, რომ ჟანნეტის ხალისი ოდნავ გადამეტებულია. უეცრად პელეტიე კითხვას უყენებს უნგაროს:

„არც სახელი გსმენიათ იმ ქალის?..“

..სახელი?.. „კავა“ ასე მომესმა“...

ამბობს გაკვირვებული უნგარო.

„კავა“. „კავა“. ყველამ თითქოს თავისთვის ჩაიჩურჩულა სახელი. მისტერ ლეიკ შეფიქრდა წამით: თითქო რალაც მოაგონდა. ჟანნეტ ისე აილეწა, როგორც ლამაზი

ქალი, რომლის თანაყოფისას სულ სხვა ქალზე ლაპარაკობენ.

დაიშალენ. გამოთხოვებისას უნგარმა ცხელი ხელი იგრძნო ჟანეტის: პირველად.

პელეტიე გაემართა თავის გზით. დარჩენ უნგარ და პეტერეც.

არის წამი. როცა შენს გულნადებს თანაგმზავრი გრძნობს. გრძნობს და არას ამბობს. გსურს — გითხრას, ის კი სდუმს, სწორედ ასე სდუმს პეტერეც. უნგარს არ შეუძლია თვითონ გადმოხსნას გულნადები. ის სხვა თემას წვდება:

„ხვალ შევხვდებით ალბად ერთმანეთს“...

„დიახ, სცენარი ერთ ალაგას შესასწორებელია“...

„რომელ ალაგას?..“

„იმ ალაგას, საცა ფალესტრას ალექსანდრე ხვდება“..

„მიზეზი?..“

„მიზეზი?.. ამაზე შემდეგ... თქვენ კიდევ ნახავთ იმ ქალს“...

დაუმატა თავისთვის პეტერეცმა.

„მართლა?..“

უნგარმა ამ შეკითხვაზე გახარება დაიჭირა ტუჩებზე: შერცხვა...

„უთუოდ... თქვენში ვხედავ იმ ქალს“...

„თქვენ ქარაგმით იცით ლაპარაკი“...

„ვინც ასე გზნობს „სხვას“, იცოდეთ, ის „სხვაც“ გზნობს... გზნება მხოლოდ ორკესტია მძლავრი, ოპერი, ორმაგი“...

უნგარს კიდევ ჰსურდა შეკითხვა, მაგრამ ტუჩები დაიკვნიტა.

პეტერეც გამოემშვიდობა.

დარჩა უნგარ მარტო. ლამით მან პირველად იგრძნო, რომ მისი ნახევარი (ასტრაოთორი?) საოთარ სხვაგანაა. უნგარმა „ვერონალს“ მიმართა პირველად.

(შემდეგი იქნება).

სანდრო შანშიაშვილი.

გავლილი შარა.

ცრემლებს ვერ ვამხელ, სიცილიც მზარავს!
ვუმზერ გადალმა ჩემს გავლილ შარას.
მეც, როგორც ვაჟას, ჭალარა მფარავს!
მწამდა, ეპოქის ვძრავდი კუბოებს,
ძეგლებს ვუდგამდი საუკუნოებს.
თვალს ვუსწორებდი თითქოს დიდ შოთას
და მარადიულს ვწირავდი ლოცვას:
რაც შევქმენ, თურმე, მეტი ბარგია.
ვის რალად უნდა, ვის რად არგია?

წმინდა გრძნობებით ავმღერდი ბავში,
მერანის ნაცვლად ხელთ მეპყრა რაში.
რძალი შევმოსე მშვენიერებით,
კოშკი ავუგე ყურძნის მტევნებით.
შვების თავადი ჯერ კიდევ მოსავს
სულის გარდამქნელს სისხლის ფერ დროშას.
მიესწრაფება კარგა ხანია
უსაზღვრო მიზანს ბერდო ზმანია.
ქართლის გლეხს მამაკს და უგვირგვინოს
ვუმღერე ჰიმნი მძლე მაყრიონთან;
კოლხეთის ასულს მე შევახვედრე
რენოს მიჯნური ახლოს რიონთან!
არ გადავტეხე ლატავრას ხმალი;
ხელისუფლება — მშრომელთა ძალი!
ხან თუ ვგოდებდი, სხვას ვამხნევებდი,
ავშალე ხალხი, ოგორც დევები!

ყოველდღიური ვფერე ოცნებით,
(ხომ უიმისოდ ვერ გაოცდებით!)
თურმე, რაც შევქმენ, მეტი ბარგია!
ვის რალად უნდა, ვის რად არგია!

ძმებს ვემხროზოდი, რისხვით აშლილებს —
არსენ და არჩილ ჯორჯიაშვილებს.
ვერ დავიტირე, ეს არ მამშვიდებს!
(ო, რად ვიგონებ ამბავს მაშინდელს.)
ვიჯექ ციხეში — საპყრობილეში.
სიკვდილიც ვნახე იმ ცივს დილეგში!
მე გლეხი, დავრჩი ჯანსაღი სისხლის,
ვსთქვი: ნესტანს ციხით, აბა, ვინ იხსნის?
მიწას მივმართე, გლეხის ვისმინე,
გავხდი მე თვითონ იქ მეწისქვილე.
თურმე, რაც შევქმენ, მეტი ბარგია!
ვილას რად უნდა? ვილას არგია?

ჩემს თანატოლობს ვიცნობდი მგოსნებს!
გოლვამ დააშრო, სიმები მოხსნეს.
ზოგჯერ შევსვამდით სიმღერით კახურს,
და შევხაროდით დღევანდელს ზღაპრულს!
ერთმანეთს გულში ვუგზნებდით ზრახულს.
მე მათ ვეძახი, ვმარხავ ჩემს წარსულს!!.
ალარ დასცალდათ დღეს ჩემზე გლოვა
და ზოგმა ადრე სამარე ჰპოვა!
ეს მოგონებაც მეტი ბარგია!
ვის რალად უნდა? ვილას არგია?

არვის ვუთმობდი პოეტის პორფიროს,
მედიდურობა მქონდა მე ორბის.
და რარიგ ვნანობ... ამდენ ღელვაში
რად დავწვი გრძნობა? სულს რად ვქანცავდი?
რად ვალამებდი დღეს ოცნებაში:
მგოსნებს ხომ ჰქონდათ ბედი ნაცადი?
მეც ხომ შემეძლო დამეკრა თოხი,

ან ვგდებულიყავ სადმე მელორედ,
(იტყოდნენ ჩემზე ხალხს ეგ აცხოვრებს,
არ დამსახავდნენ მტრად, ან მეკობრედ!)
რაც შევქმენ, რისთვის? — მეტი ბარგია!
ვის რალად უნდა, ვის რად არგია?

ცრემლს ველარ ვამხელ, სიცილიც მზარავს.
ვუმზერ გადალმა ჩემს გავლილ შარას —
მეც, როგორც ვაჟას, ჭალარა მფარავს.
მოვკვდები, მისებრ მითხოვენ ფარას!
ჩემს შვილს მოშივა... ეხ, კმარა! კმარა!
ჩემი ჩონგურიც თურმე ბარგია!
ვის რალად უნდა, ვილას არგია?

ნიკოლო მიწიშვილი.

პასუხი პაოლო იაშვილს

რომელმაც მთხოვა ლექსის დაწერა გაზეთისათვის

მე, ამხანაგო, ვერ ვასრულებ
შენს დავალებას
და მერიდება როგორც შენი,
ისე ჩვენების.
ვერ მოვიცალე... სულ არა მაქვს
დრო მოსვენების,
ლექსი კი ითხოვს ბევრ შალაშინს,
დროს და წვალებას.
მიქებდენ ლექსსა.
მაგრამ სამი წელიწადია
აქ დაწერილი ჩემი ლექსი
არ დასტამბულა.
ალბად, იკითხავ — ჩემი რითმა
რისთვის დამბუჭლა,
როცა ლექსებში თქვენთან ყოფნა
ასე მწადია.
რა ვქნა. მთავრობამ გამიჩინა
ისეთი საქმე,
რომ ველარ ვიცლი —
სახელგამი ძლიერ დიდია.
მე ვბეჭდავ წიგნებს,
ლექსებით კი ვერ ვიქარაგმე —
როგორ გაფრინდე, როცა მიწა ...

ზურგზე გკიდია.
დღეს კი პოეტსაც,
(როგორც ყველას ჩვენს ქვეყანაში)
ავალდებულებს ოქტომბერი
პასუხის გებას.
ის არ მოითხოვს პოეტისაგან
მარტო შექებას,
მოითხოვს საქმეს, სისხლსაც, ოფლსაც,
გულათ დაგებას —
მოითხოვს შრომას, როგორც შრომობს
გლეხი ყანაში.
და — შევიქენი შავი მუშა მე
ოქტომბერის,
რადგან წარსული მეჩვენება,
როგორც მირაჟი.
მწყენს — ჩემი ლექსი ისე ხშირად
დღეს რომ არ მღერის,
მაგრამ იმღერის
სახელგამის წიგნთა ტირაჟი.
და დავთმე ლექსი ჯერჯერობით
სწორედ მისათვის,
რომ პოლიტკოლნის მოითხოვონ
სვანეთში წიგნი,
რომ გაძლიერდეს ჩემი ხალხი
გარეთ და შიგნი,
რომ მასთან ერთად მეც ვიბრძოლო
მომავლისათვის.
ჩემთვის უდაო დაკანონდა
ასეთი წესი —
(ამას ჩამძახის ჩემი ქვეყნის
მთა და ველები)
— თუ კარგ სახელგამს მიუმატეთ
კარგი ზავესი,

კომუნიზმის გზავ —
უსათუოდ გაითელები.
ამიტომ, ძმაო,
ვერ ვასრულებ შენს დავალებას
და მერიდება როგორც შენი,
ისე ჩვენების —
ვერ მოვიცალე. სულ არა მაქვს დრო
დასვენების,
ლექსი კი ითხოვს ბევრ შალაშინს.
დროს და წვალებას.

ოქტომბერი
1927

ვალერიან გაფრინდაშვილი.

ლ ი რ ი კ ა

1. სიხარული.

მე არ ვიცოდი თუ ნეტარება
ასე უბრალო რამე ყოფილა,
ის უპერანგოთ დაიარება
და ხშირად ჭერქვეშ არც კი შობილა.

თითქოს ბურუსში ვიყავი დღემდე,
შორი პირვანდელ სისადავიდან.
მთელი სიცოცხლის მოწყენის შემდეგ
ამდენ სიხარულს როგორ ავიტან!

ვარ ბედნიერი და მაინც ვიცი —
მომელის მეტი ბედნიერება.
ეს არის ჩემი ახალი ფიცი,
ახალი დროშა და ამღერება.

იქნებ მეწვია მზით გახელება,
ან შევიძინე ძვირფასი განძი?
ძნელია წუთის დასახელება.
ვარ ღვინით სავსე ცისფერი ყანწი.

მსურს ვეამბორო მტერს და მოყვარეს,
მათ ჩემი თრთოლვა უმხურვალესი.
ქებათა-ქება სამშობლო მხარეს,
რომ გამომზარდა დედის ალერსით!

ყველაზე ვფიქრობ მე სიყვარულით.
მოდის სიცოცხლე, როგორც ხარება.
ეს ჩემი გული გადმოღვარული
ყველას შეეროს ტკბილ ზიარებათ.

დღეს ჩემი სულის არის დღეობა.
ჩუმათ მიბერავს სამოთხის ქარი.
მე სიხარულის მსურს მეკვლეობა —
ამხანაგებო! გამიღეთ კარი!

2. არდადეგების პოეზია.

ვერავინ იტყვის, რომ უეჭველად
შემდეგ ლექსს დასწერს ალფრთოვანებით.
როცა საქმისგან მოცლა მეშველა
და ვიყავ მთვრალი რითმის ზმანებით,

როცა მზად მქონდა საწერ-კალამი
და უკვე ვიგრძენ მუზა ფაროული,
ამ დროს მოვიდა დინჯი სალამით
ექიმი — თითქოს შემოპარული.

სასტიკი იყო ექიმის ცქერა.
მე მისთვის ქალალდს ალარ ვეძებდი.
ლექსის ფურცელზე იმან დასწერა
ჩემი ძმისათვის შავი რეცეპტი.

ჩემი ძმა მოჰკლა ანთების ბნედამ,
მისთვის არ ბრწყინავს ზეცა მშობელი.
და ლექსის წერას მე ველარ ვბედავ,
რომ არ დავკარგო კვლავ ახლობელი.

—:—

არისტო ჭუმბაძე.

ფულიანი ბარათი.

სწორედ შვიდის ნახევარი იყო, როცა დალოცვილმა მზემ არც ალმასხან ალუჩაძე მოიმდურა და ერთ-ერთი თვისი, ყველაზე უფრო ანცი სხივი მის ოთახშიც შეაძვრინა.

ეს ცულლუტი ჯერ ჭიატად'შთენილ დარაბას დაერჭო, ასხლტა, აკუნტრუშდა. მერე ენის წვერი დაიგრძელა, ფარდის ნაქსოვ კოროჭინებში გასრიალდა და ზეწარში გახვეულ ალმასხანს ზედ გულზე დაეფრქვა ოქროს თუმნიანებად.

ფოსტის მოხელემ მძინარე ხელები მოუბოჭინა, თითქო მათს აკრებას ლამობსო და, სიამის ნიშნად, სუბუქად ამოიფშვინა: მაგრამ ანცმა მყისვე დაჰფუწა ნასიზმრევი სიმდიდრე, ცეკვა-ხტუნვით ტუჩზე აუცოცდა და განაწყენებულ ალმასხანს საბოდიშო ამბორი უყო; შემდეგ მის გაუპარსავს ლოყას აჰყვა და მოკლე წამწამებზე სიხარულის ცრემლად დაეკიდა.

რა საუცხოო გუნებაზე გაელვიძა ფოსტის მოხელეს! დიდი ხანია, ასეთი ამო არც ძილი ჰქონია, არც გალვიძება. ოდნავ-ნაჭყეტი თვალი ისევ მოჰხუჭა, თავი მოიმძინარა, მიიშთო, მიილულა. სულის იდუმალ ხვეულებდან რალაც ნელთბილი დაეძრა, უცხო და უმიზეზო. დაეძრა და სინათლესავით მიეფინა ძილით გამოშუშებულ სხეულს.

რა იყო? სიზმრის ნაშთი, თუ სიცოცხლის ხალისი? განა იცოდა!

იცოდა მხოლოდ, რომ ასეთი ყოფა კარგა ხანია არ განუცდია. ჰო, ოდესლაც... მაშინ ჯერ კიდევ ბრიყვი იყო,

უცოდველი. დედის ფერხთით ეძინა ხოლმე ხავსით გატენილ მუთაქაზე... გააპარებს მოსიყვარულე ხელს და ფეხისგულს მოუღუტუნებს: დედას სიცილი ასტყდება, უეცარი, გულამოსკვნილი. დედის სიცილზე კრუხები აკრიახდებიან, ტახტს ქვეშ რომ არიან დასაბუდრებულნი. კრუხებს მამალი გაეხმაურება საქათმიდან და შეიქნება ერთი ვაი-უშველებელი...

ასე იღვიძებს ღარიბი ოჯახი ახალი შრომისა და გარჯილობისათვის. ყველაზე ადრე ალმასხანი წამოხტება, პერანგა და ფეხშიშველი. ნაჩვევ მელიასავით შემოუცუნცულებს გარს ყოველ ხეხილს; დამწიფებულა წუხელ თუ არაო. კალთას აივსებს და ფარეხს მიაშურებს — იქ უკვე კარსმომდგარნი ელოდებიან მას ზურგდართვილული თხები. ცოხნითა და წვერის ცანცარით შეჰკიკინებენ იგინი საკვებს, თითქო საარქიელო წირვაზე საკვეთლად წამდგარი მღვდლები საიდუმლოს ჩურჩულებენო.

გააღებს თუ არა ჩელტის კარს, თხები საფანტივით გამოსცვივიან. სად არის და სად არა, ელვარაც უთუოდ უნდა გაჩნდეს; განგებ ნამწყრალევის ყეფით ძეუტევს გაანცებულ ციკნებს, ისე — შესაშინებლად—თორემ არც იმდენად ბრიყვია, შინაურებს ავნოს რამ. თხები კუდებს გაირიკებენ, მუხლებს გაიჯოხებენ და ოჩობოჩო ხტომით მოჰკურცხლავენ. ალმასხანიც ერთს წვეტიანად მიასტვენსთ უკან და, ერიჰააა!.. ჯერ მზე საჩვენოსაც არ არის, როცა მალლა ტოროლა, ძირს კი ალმასხანი აღვიძებს განთიადის ბურუსით მინაბდულ სოფელს... ასე იყო ოდესლაც — ამ ორმოცი წლის წინედ...

ალუჩაძეს მოკუმულ ტუჩებზე სიამის ნასახი აუთამაშდა და ზემო ჩარბის კუთხე აზიდა. გრძლად გაიჭიმა და სადღაც, გვამის სიღრმეში, უნებურად ჩაიკვნესა — ტკივილით კი არა, სიამით. ის-იყო, თვალის გახელაც დააპირა, მაგრამ, მოგეხსენებათ, მოგონება დაკრეფილ ბალსა ჰგავს: ერთს მარცვალს აიღებ, ათი და ოცი ზედ დაეკონწიალება.

ალმასხანიც მიჰყვა მოგონებათა დენას, ვით ნაფოტი წყალწალებული. გაახსენდა ისიც, რომ მაისის ერთ დი-

ლას, ვარდობა-დღეს, კარს მიადგათ მოხეტიალე ამცრელი — ზალიკა. მოხუცმა ჯერ მკლავები დაუჩხვლიტა ყველას სადგისით; შემდეგ დაჯდა, ოფლიანი ხელ-ფეხი ცივის წყლით გაიგრილა და, როცა საუზმე მიართვეს, ენა გაილესა: აქათ და, ჩემისთანა ექიმი ცისქვეშეთში არ ნახულაო: მომაკვდავი გამიცოცხლებია და ყრმა ტკბილად დამიბერებიაო. „ელუსამეთი“ მომივლია, ზღვა გამიცურავს და სტამბოლის ხონთქრისთვის ცხვირზე მიჭექი ამითლიაო... ახლა ჩემი ოჯახის ამბავს ალარ იკითხავთო: ასი ქცევა ვენახი, ამდენივე ნაფუძვარი და თვალშემოუვლები ახო-საშეშე მაქვსო. ორი საჯდომი ბედაური ცისმარა დღეს სულ ქერზე მიბია, ოთხი ულელი ხარ-კამეჩი უქმად დამიბულრაობს და უთვალმა ძროხა-ფურმა ოჯახის უბე ყველითა და კარაქით ამივსო. მოჰყვა და მოჰყვა...

ამას რომ ამბობდა, თვალი სულ პატარა ალმასხანზე ეჭირა. ხშირად სიტყვას გასწყვეტდა, მარჯვენა ხელის ცერს იმისკენ გაიშვერდა და ცალი თვალის ოდნავ მოხუჭვით ასე იტყოდა: — ეს ბიჭი ნამდვილ კაცი გამოვაო.

დედ-მამა სიხარულით ცას დაეწია: რაკი ასეთი „დიდი“ კაცი აქებს, უთუოდ ასე იქნებაო. ამიტომ პურ-მარილიც გაუბარაქიანეს, პატიჟით თავი გაუსივეს, თუმცა სტუმარს უამისოდაც არა დაუკლია რა: ერთი მწიფე დედალი ძვლიან-ფოჩიანა გააქრო, ერთი ხელადა მაღლარი ზედ მიასვა და როცა, ადგომისას, ჭიაფერი ხვანჯარი შეიშვა, ერთი ხაჭაპურიც იმსხვერპლა. მერე მამა განზე გახმო, ეშმაკურად ჩაახველა და დიდხანს ეთათბირა... ის იყო და ის: თვალცრემლიანი ალმასა იმ ზალიკას ცხენსუკან შემოუსვეს, სამწყემსო პარკში ორი შოთი და ნახევარი წველა ყველი ჩაუდეს, ტახტაზე ხელი მაგრად მოაჭიდებინეს და გზა დაულოცეს: ეახელ, ემსახურე, იქნებ მართლაც კაცი გამოგიყვანოსო...

ალმასხანს საჯდომი ეხლაც უნებურად აეწვის ხოლმე, როცა ზალიკას ბედაურით მგზავრობა გაახსენდება: მთელი ერთი კვირის განმავლობაში წყვილები ერთმანეთისთვის ვერ მიეკარებინა გამოლლეტილი.

მერე? მერე და... ზალიკას საქები ოჯახი დიდხანს ეძებეს, მაგრამ ვერსად იპოვეს. მეორე დღეს, ბინდისას, ერთი ცალთვალა ოდის წინ ჩამოხდენ: არც ეზო, არც ჭიშკარი. გარშემო სოფლის გაკრეჭილი ღორები დაბორიალებენ და ნაყარ ტყემალს ედავებიან ერთმანეთს.

ერთს გრძელ წელს სული კბილით ეჭირე პაწია ალმასას. მეორეში რომ გადადგა, გულმა აცთუნა — გაქცევა განიზრახა. იმ დანადარზე მეზობლებმა გამოიარეს, ყავარი გაეყიდნათ და შინ სიმღერით ბრუნდებოდენ შეჭორიკებულნი. ალმასამ ზალიკას მშიერი ბედაური, ყანის პირს რომ აძოვებდა, მუხლნაყარ სიმინდის ყანაზე მიუშვა. თვითონ მეზობლებს დაედევნა. სიხარულით დაჰკოცნა ყველანი. ამბავი ჰკითხეს, შეიბრალეს. კურტნიან ჯორს შესვეს და გაიყოლიეს.

შინ რომ დაბრუნდა. მშობლებმა ქვა ააგდეს, თავი შეუშვირეს: თითივით წახველ, თითივითვე დაბრუნდიო. გული არც ალმასას ეუბნებოდა შინ ჯდომას, რაკი სხვის კარზე მარილი მოლოკა. ან კი რა იყო შინ სახარბიელო და შეულევნელი: ერთი ცოდა ხროკი მიწა და ძელის ფუღურო ქოხი! ეგერ კი, თოფის სასროლზე, ახალი საქმე კეთდებოდა: ჭიათურის რკინის გზა გაჰყავდათ.

ისე მკაფიოდ წამოუდგა ალმასხანს ის შორეული ამბები, თითქოს ხელში კრიალოსანი უჭირავს და მძივებს ცალცალკე ითვლისო:

... აი რკინის გზის მოიჯარე — ლიპიანი ელევთერ-ეფენდი... დლეში ორაბაზიანი ქირა და „სალდათის“ მჯავე პური. უძილო ღამეები და ანაბანასთან ჭიდილი. გრძელი, უჯიათი წლები და ათასგვარი გაწამაწია. წარმატება და ზოგჯერ მარცხიც. მაგრამ ნათქვამია: „ბედი მომეც. სანაგველაზე დამსვიო“.

იმ ელევთერ-ეფენდიმ რალაც კაი თვალზე აიყვანა ცნობისმოყვარე ალმასა: ატარა, ატარა — თუმცა ხროკითა და ოღოჩოღოთი, მაგრამ მაინც გზახსნილზე გაიყვანა...

ეხლა ალმასხან ალუჩაძე თავუში კაცია: სასარგებლო მოქალაქე და სამაგალითო მოხელე.

თითქო საკუთარ ყოფას ელოლიავებაო, სიამით გაიზმორა; ის-იყო, სამთქნარებლად პირიც დაალო, რომ მეზობლის საათმა რეკვა ასტეხა. ალმასხანმა მთქნარება ჩაჰყლაპა და თავის ქნევით აედევნა საათის ღრენას:

— შვიდი!

ხმამალლა წამოიძახა და რისთვისღაც თავი წაიფხანა. ფეხები რომ გაცვეთილს ფოსტლებში წაჰყო, თვალი უნებურად საწერ მაგიდას დაეცა. ერთბაშად გუნება შეეცვალა: ნავახშმევს თეფშზე დარჩენილ ძეხვის ნაჭერსა და ხილის ნაფრცქვენებს ბუზების ჯარი დაჰფენოდა და იყო ერთი ორომტრიალი.

თეფში რა არის, ისიც ბუზიბიანი. მაგრამ ამ პაწია გარემოებამ ერთობ დიდ საზრუნავს გამოაბა კუდი და ფოსტის მოხელეც იმიტომ განაწყენდა. ასეთი უწესობა იმისი ნიშანი იყო, რომ ოჯახში დიასახლისის გამრჯილი ხელი არ ტრიალებდა, ხოლო არ ტრიალებდა იმიტომ, რომ ნაზი და ლამაზი ბაბუცა ამჟამად აგარაკზე განისვენებდა. რა თქმა უნდა, აგარაკი მოსასვენებლად გაუჩენიათ ამ ქვეყნად, მაგრამ ყველასთვის კი არა, ე. ი., „როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო“.

დიახ, მაგრამ ბაბუცას ამბავი ისე გრძელია, რომ კაი ლაფშასაც მოჰლალავს მისი შემოვლა.

— იმ თვალს რატომ მაშინვე ბისტი არ გადამეკრა, რა თვალმაც პირველად ჩემი ბაბუცას შვენება იხილაო.

ხშირად იტყვის ხოლმე, ვითომც ხუმრობით, ფოსტის მოხილე. ნამდვილად კი ეს ძნელი ამბავი მოკლედ ასე ითქმის:

M-me ბაბუცა იმ წოდების ქალი იყო, ეხლა რომ მოგონებითა და ნამყოს ფუფუნების ნატამალით-ღა საზრდოობს. მზრუნველობით ნაზარდი იყო, ნაფუთნი, ნაფერავები. როცა მისი საგვარეულო კიდობანი უფსკრულს უკვალოდ შთაინთქა, სუბუქი და უკოდნელი ბაბუცა აბობოქრებული სტიქიონის ტალღებს შერჩა უმწეო. დიდხანს იფართქალა უშნოდ და უსასოოდ, სანამ მძვინვარე მომრუნავმა უნებურად არ გაიყა ნაბეჭი, ნახანხალევი. მერე მადლიანმა შემთხვევამ ფოსტის სამმართველოს გზა ას-

წავლა, სადაც ჩვენი ალმასხანი იმ დროს ადგილკომის პასუხისმგებელი მდივანი იყო, ბაბუცა კი მისი ტეხნიკური გახდა.

მოგეხსენებათ, სიყვარული მეტად შემპარავი სენია, თანაც ძნელად განსაკურნებელი, ამიტომ ალმასხანი ისე ერიდებოდა ბაბუცას ფართო თვალებს, როგორც ნაცადი მელია დაკაზმულ ხაფანგს. მაგრამ, ალბად, ხაფანგზე ნაკიდები სატყუარა ერთობ მიმზიდველი რამ იყო, რომ ერთს შვენიერს თუ უშვენო დღეს ჩვენი ალმასა ორივე ფეხით გაება.

გაება და გაება...

მერე იქიდან თავის გამოხსნასაც კი აღარ ლამობდა, მით უმეტეს, რომ თვალთმაქცი ბაბუცა ნამცეც-ნამცეცად აჭმევდა იმ ჯადო-სატყუარას. სამაგიეროდ, თვითონ კვლავ დაიბრუნა ჩვეული მადა და აბრეშუმის ჭიასავით სუსნიდა ლაკირონის სხვადასხვა ფერის ტყავეულობას, ვიქტორია-წინდებს, კავერკოტ-შევიოტებს, კოტილორიგანებს — მართალსა თუ კონტრაბანდას...

ასე დაიწყო ალმასხანის ცხოვრების მეორე ხანა, უფრო მძიმე და უჯიათი, ვიდრე პირველი.

ისიც უნდა ითქვას, რომ ბაბუცას სილამაზე და, განსაკუთრებით კი, მისი შთამომავლობა რალაც გაუგებარის მედიდურებით აჩქროლებდა ალმასხანის გულს:

აი, მიბაკუნებს ისარივით აფრენილ ბაბუცას გვერდით ჩია ალმასხანი და თვალებს ფეთიანივით აცეცებს — ასე ჰგონია: მთელი ქვეყანა იმათ შეჰხარის და შურით ჩურჩულებს: დახეთ, რა შვენიერი წყვილიაო.

მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ შნო და სილამაზე ისეთივე დაუდგრომელია, როგორც ვერცხლის წყალი.

ხშირად, ძლიერ ხშირად ალმასხანის ამ სრულიად ბუნებრივი კმაყოფის გრძნობას რალაც უცნაური და უხიაგი სურვილიც შეეწვერებოდა ხოლმე: ნეტავ, სიცოცხლე შუა გამიყო და ჩემი თანამემცხედრე ასეთი ლამაზი არ იყოსო.

არა ერთგზის უნატრია აგრეთვე ფრთხილი ძალი და კაპასი დედამთილიც. დედამთილი ბაბუცამ იმთავითვე განივლტო: თხისა და ნაკელის სუნი სდისო. ხოლო, რაც

შეეხება მეორე მცველს, აბა ძალღმა, თუნდაც იგი ცერბერი იყოს, რა უნდა გიშველოს მაშინ, როცა ვეება ჭალაჭში თეძოებამდე გაშიშვლებულ ქალს დაატარებ და, ბრუნდი თუ მართალი, ყველა მას უკირკიტებს გასაყიდ ცხენივით!

იფიქრა. იფიქრა ალმასხანმა, საქმეს როგორ შემოევლებაო. და ამის მეტი ვერაფერი მოიგონა:

— შვილი უნდა გავუჩინო, იქნებ ოდნავ ბორკილი დაედოს და პირი ოჯახისკენ იბრუნოსო.

საუბედუროდ, დღემდე ერთი გარემოება დარჩა გამოურკვეველი: თვით ქებულმა გინეკოლოგებმაც კი ვერ ალმოაჩინეს ვინ ან რა იყო ბაბუცას უშვილობის მიზეზი.

— ჩემო ალმასო, ღმერთმა ხომ იცის, სისხლი მაჭარივით მიდუღს და ძუძუს თავებიც ნაკვერჩხალივით მიხურსო. არა, აქ უთუოდ შენი ყმაწვილობის ნაცულლუტევია მიზეზიო.

ენამოთაფლვით ეტყოდა ხოლმე ბაბუცა და ჩოფურა ლოყებზე მოუცაცუნებდა ხავერდის თათუნებს. თუმცა ალმასხანს არ ეჯერა ცოლის ნათქვამი, ხსოვნაში მაინც მრავალჯერ ჩამოუმარცვლავს ყველა იმ ქალის სახე თუ სახელი, რომელთანაც კი ოდესმე რაიმე კავშირი ჰქონია: მართლაც ხომ არაფერი მიმიქარავსო, მაგრამ ისევ მალე დაშოშმინებულა, რადგან ყველა მისი ნაცნობი დღესაც ყაყაჩოსავით ჰყვავის.

ასე იყო, თუ ისე, ბაბუცამ მოხერხებულად დაიხვია ხელს ეს გარემოება და ეხლა გამოლმა შემოედავა ქმარს: უშვილობის გასაქარწყლებლად ხან ალთას დაჰქროდა, ხან ბალთას — ახტალა, წყალტუბო, ესენტუკი, ანაპა...

ამასობაში, მისმა ციცქნა-ტუჩებმა ჯერ ერთი წყვილი თექის ხალიჩა შეაკრატუნა, მერე ელევთერ-ეფენდის მიერ ნაჩუქარი ალმასხანის ოქროს საათი ადლნახევრიანის ძეწკვითა და კლიტით, შემდეგ კიდევ (ამ გარემოებას დღესაც უსასოო (კრემლით დასტირის ალმასხანის მოხუცი დედა) სოფელში ალმასხანის კოხტა ოდამ, სამთვლიანმა და კრამიტიანმა, მელვინე-დასკალას ეზოში გადინაცვლა ჩვეული ადგილი... თავი მოეჭრა საქვეყნოდ იმ „რიადაგ-

ზე“ ნაქებ ალუჩაძეს: წინედ თუ, შინ მისვლისას, ძალიც კი არ შეულრენდა ვაგლახად, ეხლა ხომ ქვებიც იქაურობას იკლებენ — წყალსა და მეწყერს გაატანა სიყრმის მონაპოვარიო. შერკხვენილმა ალმასხანმაც ჩხირი მიატეხა და მას შემდგომ მამა პაპეულ კერისკენ პირი ალარ უქნია.

როცა გარე-გარე სიარული მობეზრდა, ბაბუცამ ეხლა ბორჯომი მოიმიზეზა, იმდენად უშვილობისთვის კი არა, რამდენადაც ამ ბოლო დროს შემოჩვეულ სისუქნისთვის: აქათ და, თეძო-გულ-მკერდი მეტად ამიღუვდაო.

ასე რომ, იგი ამჟამად დიდი მთავრისეულ სასახლეში განისვენებს, ალმასხანი კი ყოველ შაბათობით შადუა-მოლარეს ელიჭინება მეკვერცხე ურიასავით: რა არის, იქნებ ავანსად ორიოდე მანეთი მიწყალობოს ბაბუცას სასაგზლოთო.

— С жиру бесится баба!

წაილრინა ალმასხანმა (გინება რუსული უყვარდა: მაგარი გამოდისო) და ხელი აუქროლა თეფშზე მორიალე ბუზებს. მერე ნაფრცქვენებში დაფლული ატამი ამოაძრო, წუხელ რომ დაიწუნა გვერდშებეჟილი, საჩქაროდ გაფრცქვნა, მთლიანად პირში ჩაგზავნა, შემდეგ ნახეხი პორტფელი მოსძებნა, თუმცა შიგ გაზ. „მუშის“ ძველი ნომრისა და ჭუჭყიანი წინდების მეტი არა იყო რა, და სამუშოაზე გაჰქუსლა. რამდენსაც ფეხს უჩქარებდა, ატმის კურკაც იმდენივე სისწრაფით ტრიალებდა მშიერს ხახაში.

მირბის და ფიქრებიც თან მისდევს, როგორც ორთქლმავალს ყომრალი კომლი:

... ამ ბოლო დროს მთლად ნირი ეცვალა რალაც ბაბუცას — არც ქმრის ამბავს ჰკითხულობს, არც ფულს იწერება ისე მალიმალ... თანაც ეს ხშირი ექსკურსიები... ულრანს ტყეებში და... საეჭვო კომპანია... აი, მაგალითად, ამას წინაზე რომ მატარებელმა დაიგვიანა და ხაშურზე სურამიდან დაბრუნებულს წააწყდა ვილაც ბერძნის თანხლებით... ან კიდევ, ცხრაწყაროს ექსპედიცია... ამომავალი მზის სანახავად... რომ არაფერი ალპინისტია მაინცა და მაინც!.. მერე... ჰო, გადალმა კვირაში რომ კბილის ტკი-

ვილი მოიმიზეზა და მთელი ღამე აივანზე გაათენა ისე, რომ მისი ჭვანგიც კი არ მიჰკარებია ალერსმოწყურვებულ ქმარს...

არ მოსწონს, არა ალმასხანს თვისი ლამაზი თანამემცხედრის საქციელი ამ ბოლო ხანებში:

... რალაც ცივი შეიქნა, უკმეხი, უკარებელი... ვინ იცის, იქნებ... ეშმაკობს კიდეც რასმე...

და გული საგულეს ეფეთქა.

ალარც კი ახსოვს, როგორ ავლო ეს ხვეული კიბე ცასაყუდებული.

— Аа, поздно, брат, поздно! Видно, вчера того-с...

და აკიმ ზახარიჩმა ყანყრატოს თითი მიუტკაცუნა.

ალმასხანმა ხმა არ გასცა. მხოლოდ კედლის საათს შეავლო ქურდული თვალი: ცხრის ნახევარი იყო.

ეხლა თავის-თავს ამწყრალა: „სიბერემდე სიქაჩლეს მოელოდეო“, უხმოდ გაიმეორა რამდენჯერმე და მაგიდის განჯინაში ჩაჰყო ბრაზით წაგრძელებული ცხვირი. დიდხანს ეძია რალაც ხელსაწყო, რომელიც დღემდე არც კი დასჭირვებია.

აკიმ ზახარიჩი ორჭოფულის ღიმილით ადევნებს თვალს და ალახმალახ დაყრილ წერილებს ისე უბრალოდ ისვრის აქეთ-იქით მისამართის კვალობაზე, თითქოს ბავშვი ბურჭალობსო; თანაც ძლივს იბრუნებს ენას:

სამტრედი, ჩიატურიო, ზესტაპონი, პოტი...

იანეტი, ადჟამეტი...

გურდჟაანი, მლეტი...

თავჩაქინდრული ალუჩაძე კი, ხორცით რომ აქ არის, თავის სამუშაო მაგიდასთან, სული მისი — ნაჩქმეტი და იჭვნეული — ბორჯომში დაწრიალებს უპატრონო მეძებარივით: ხან კერძოთა აგარაკებში შეძვრება, ხან სანატორიუმებში, დიდთა სასახლეებში; დაუვლელ-დაუყნოსველი არ დარჩენია: არც მტკვრისა და არც ბორჯომელას ნაპირები; არც პარკი, არც ლიკანი, ზეგანი თუ სხვა სანახები; ყოველ ბუჩქს გადაშლის, თითოეულ ლოდს შემოურბენს; ცალკე ქვაბულსა და ცალკე ნაპრალს ჩაჰკირ-

კიტებს: სადმე აქ ხომ არ ცულლუტობს ეხლა ჩემი ბაბუცაო...

ამ გაწამაწიაში მზეც გადაიხარა. მტკვრის ნაპირიდან ოდნავგრილი სიო დაიძრა და ძველ ფარჩასავით ააშრიალა ჭლექიანი აკაცია, ფანჯრის წინ რომ იყო აჩხატული.

ალმასხანი მაინც გარინდებული ზის. სიცხითა და შრომით ისედაც დამძიმებული თავი ამ აბეზარმა ფიქრებმა კიდევ უფრო გაასივა. ოფლით დანესტილი ქუთუთოები ძლივს ხამხამებენ, ქანცმილეულ სალსრებს ძილი ერევა, დამთენთი და შემპარავი.

კედლის საათმა ჯერ დაბმულ ძალლივით ილრინა, მერე სამჯერ დარეკა ისეთის ბორძიკითა და ძლივობით, თითქოს გულისფრიალი ასტეხიაო.

აკიმ ზახარიჩმაც შესწყვიტა კიკინი. ქუდი და ქოლგის ნატარევი მოსძებნა, საბიჯგის მაგიერობა რომ ჰქონდა დაკისრებული, და შინ მიმავალმა მორიდებით მიმართა თავის უფროსს:

— Вот эти письма, Алмаз Ефимич, больно пухлые какие-то. Немешало-бы проверить...

— ა? უკვე?

გამოერკვა ალუჩაძე და უგუნებოდ გადავლო თვალი მის წინ მდებარე რამდენიმე წერილს, რომელიც, მართლაც, საეჭვოდ იყო გაბერილი. აიღო ერთი და ნაცადის თითებით მოსინჯა. სწვდა მეორეს და მზეზე გალანდა — არაფერი. მესამეს რომ დახედა, თვალი გაუგანიერდა:

Боржом. Дача № 79. Бабилине Тамазовне m-me Алучадзе.

ასე ეწერა ფერადსა და უცხოურ კონვერტს.

— ააა!

რატომ-ღაც უნებურად აღმოხდა. სად გაჰქრა ასე უკვალოდ ძილი და დაღლილობა!

კვლავ გადაიკითხა, გულდასმით, მარცვლა-მარცვლა: ბორჯომი და ბაბუცა. ვერაფერი გაიგო, არა — არაფერი ესმის!

— მერე რა?.. რაი და... ეს m-me-ია რაცაა!..

თითები უნებურად აუთამაშდა, მერე თითქოს გაუშვიშდა: მაშ, რათ არ ემორჩილებიან ე ვერანები. კონვერტი შუბლის სწორა აიტანა, მზეზე გაუჭიტინა: არაფერი სჩანს, სარჩულიანია. ხელში კალმის ტარი მოხვდა, სჩხუტა და კონვერტი გაფხრიწა.

გაფხრიწაო?!.

იქიდან ჯერ სუნნელნასხურევი ბარათი გადმოაზავა, მერე... გულჭრელა სამ-ჩერვონციანები... დიახ, ჩერვონცები: ერთი, ორი, სამი.

ალმასხანმა არ იცის: სასწრაფო მატარებელმა გაურბინა ყურიდან ყურში, თუ მეორედ მოსვლის ამბავს მოესწრო.

ბინდიანის თვალით ხან ჩერვონცებს დასცქერის, ხან მოკლე ბარათს, რომლის არც თავ,ი ესმის, არც ბოლო. იცის მხოლოდ, რომ ვილაცამ თუ რალაცამ უეცრად დააყირავა და პირღია უფსკრულს გადაუშვა, საბრალო და სასაცილო...

— Засиделись, Алмаз Ефимич!

ეუბნება მოხუცი დამლაგებელი.

გველნაკბენივით წამოიჭრა. წერილი ფულს წააფარა, ორივეს ხელი, ერთად დამუშტა, ჯიბეს იტუცა. მერე თვისი გაბიაბრუების უნებურ მოწმეს თვალის თეთრი კაკლები უჩვენა და მწყრალად შესძახა:

— რაო?!

— Супруга-то, поди, сердится, к обеду ожидаючи!

გულუბრყვილოდ ჩიფჩიფებს მოხუცი და ჯაგარდამძვრალ ჩოთქს უფხაკუნებს გაცვეთილ იატაკს.

მოხელეს თმა აებუძგა:

— ალბად, ამანაც იცის, ამ ძველმა თოქალთომ... მაშ. რას მიედ-მოედება?.. რატომ გუშინ და გუშინწინ არ ყრანტალებდა ასე უმიზეზოდ?.. ჰმ!.. იცის. ამანაც, კუზმა ზახარიჩმაც, ჭორიკანა შადუამაც, ყველამ... მთელმა სამმართველომ...

ნერვიულად იჭმუჭნის ჯიბეს, თითქოს იმ ადგილს ცეცხლი უკიდია, სადაც ბარათი და ფული სძევს. გონე-

ბაში ეძებს და იგონებს წერილის სიტყვებს — ალარ ახსოვს, ერთიც ვერ გახსენებია:

— რა იყო? რა ეწერა? რალაც სამარცხვინო... არა, თითქოს დაცინვით ჩააფურთხეს შიგ პირში, ღია ხახაში და შემდეგ პანღურიც ჰკრეს მტკიცე, დაუზოგველი...

უეცრად უცნაური რამ მელოდია აეკვიატა, აბეზარი, მთვრალივით გადამკიდე:

„რაც არ ექნას მამა შენს, ნურც შენ დაჰხევ მარმაშებს“.

აეკვიატა და ესეც იმეორებს განუწყვეტლად. მოსწონს და უკვირს კიდეც, რატომ ამდენ ხანს არ გახსენებია ეს მშვენიერი, უბრალო და თანაც ასე მართალი სიმღერა.

უხმო ღილინით ჭუჩაში გავიდა. შესდგა. ბრმასავით ხელი მოუბოჩინა.

— საით?

ეკითხება ვიღაც უცხო და უხილავი.

— საით და... ქოჩრით მოვათრევ, ქოჩრით. ისეთ საქმეს დავმართებ, ორი ორს ჰკითხავდეს, მაინც ვერაფერი გაეგოსთ!..

სდგას და ბამბის ტომარივით იბერება.

— ეს ტრამვაი მაინც რას იგვიანებს?.. როცა არ გინდა, ქაჩაჩებს დაგაღლეტს...

გაახსენდა, რომ ფულიანია. გაეხარდა. მყისვე წარბი შეიკრა, ზიზღით გადააფურთხა, ეტლს დაუძახა, ჩაჯდა და გასწია...

სადგურის დარბაზში ძალი პატრონს ვერა სცნობს. ისეთი კუდი გაგრძელებულა, მშიერი წლების მეპურესაც კი გაუკვირდეს. სდგანან დასიცხულ ნახირივით და ოფლით აშმორებულ თავებს აკანტურებენ, დამჭკნარნი, ნახევრად მძინარენი.

ალმასხანმა ერთი ზედმეტი რიკი მიაბა ამ უზარმაზარ ნიანგის კუდს. დამხვდურებმა ახედ-ჩახედეს. ალბად, გულში ჩაიცინეს: ნეტავი შენ, თუ ბილეთის ალების იმედი გაქვსო.

— რა მატარებელმა უნდა დაიტიოს ამოდენა ხალხი— ჰფიქრობს მოხელე და უნებურად აწვება წინა მდგომა-

რეს — ესენიც, ალბად, აგარაკებზე მიისწრაფვიან... თავიანთ ცოლებთან... ჰმ, ბოჩოლები, ყეყეჩები!.. რას ეჭყლიტებიან ერთმანეთს, სად მიუხარიათ! განა ყოველი ცოლი იგივე ბაბუცა არაა?.. დღეს არა, ხვალ... ადრე თუ გვიან, ყველას თითო რქა წამოეზრდება, ზოგს ორიც...

რა უცნაურია ადამიანის სული: ალუჩაძეს თითქოს გულს მოეფონა იმ აზრით, რომ ამ ვეება ბრბოს, უშნოსა და უსახოს, ყველსა ჰყავს თითო ცოლი, რომელიც ქმარს ჰღალატობს ან შეიძლება ჰღალატობდეს. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ მან — ალუჩაძემ — უკვე იცის ეს გარემოება... დიახ, იცის: აი, აგერ ჯიბეში აქვს ამისი უტყუარი საბუთი — სუნნელოვანი ბარათი და ფერდელა ჩერვონცები, ამათ კი... ბატებივით დაუგრძელებიათ კისრები მოლალატე ცოლების ალერსის მოლოდინში... გუდაფშუტები, ზურგნალლეტი სახედრები!..

ალმასხანს უკან ერთი თავცეცხლა ურია შებიჯგებია, ნაფოტა კბილებით უზარმაზარ მჟავე კიტრს აჭყაპუნებს, მარცვლებსა და ნივრიან წინწკლებს ყურის ძირებში აფრქვევს, თან ჩიხრიხივით ჭრიჭინებს:

— რას მეუნები, ქრისტიანო, ამელამ რო კულაშს არ ჩევიდე, დილაზე ჩემი ქალი ჟენადელში ჩეწერება!

ხალხი იცინის, ურია კმაყოფილია.

მაგრამ ეს რა არის? რიგი უეცრად შემჭიდროვდა, შეირხა და გაწყვეტილ კრიალოსანივით გაიბნა. სალაროს სარკმელიც ერთბაშად ამოიფიცრა: ბილეთი აღარ გაიყიდება!

დარჩა ალუჩაძე გარიყულ ლოქოსავით. აქეთ ეცა, იქით ეცა. სთხოვა, ემუდარა: არც ნაცნობობამ გასჭრა, არც ფოსტის მოხელის პრესტიჟმა. უბილეთო წასვლა განიზრახა. ბაქანზე რომ გავარდა, ვიღაც ეძგერა, კუნძი და უდიერი:

— აა, ფოსტა-ხან, შენც აქა ხარ? გვიან-ღაა, ჩემო, წავიდა რქოსანთა მატარებელი!

არ იამა ალმასხანს ბერუჩას შეხვედრა: თუმც მეგობარია, მაგრამ მაინც აბეზარი და გადამკიდე. ვითომ გა-

ბხლტომა სცადა, ვერას გახდა. ბერუჩამ მტკიცედ ჩაბღუჯა და ყურს წასჩურჩულა:

— დე, ამაღამ ობლად იძინოს ტურფა ბაბუცამ, ჩვენ კი...

ალარ დაასრულა. თან სპირტის სუნი ჩაათრთქლა ალუჩაძის მშიერ კუჭს. ამას კი მხოლოდ ეხლა მოაგონდა, რომ წუხანდელიდან არაფერი უჭამია.

— მაშ, ასე — ჟიჟინებს შეტეული ბერუჩა და ქორწალებულ წიწილასავით მიაწიალებს ჩია ალმასხანს—ამაღამ წავიდეთ, მეტი რა გზაა! მანამდე კი ურიგო არ იქნება, ერთი კარგა ჩავაკვარტიანოთ... ა, კირია კირიაკოვიჩ, შენ რაღას იტყვი?

მიუბრუნდა იგი ვილაც გაწკეპილ ახალგაზრდას, რომელიც მორიდებით მოსდევდათ შორი-ახლო.

— ჰო, თქვენ, მგონი, არ იცნობთ ერთმანეთს?

ორივე პირდაპირ შეაყენა. ჯერ ალმასხანს მიაშვირა ნიჩაბა ხელი:

— Алмаз-хан Алучинский. Прошу не смешивать с Керим-ханом Мороккским!

მერე იგივე ხელი, მაგრამ უფრო საზეიმოდ გაშლილი, ყმაწვილის მკერდს მიაბჯინა:

— Кирия Кириакович Папа—Афанасопуло თუმცა ჯერ-ჯერობით არც პაპაა და არც მამა, მაგრამ სამაგიეროდ ფული იმდენი აქვს, ჩემო კარგო, რომ ფეტვის სათესურივით აბნევს.

ალმასხანმა მოკრცხვად შეავლო ირიბული თვალი. არ იამა: თითქო სადღაც ენახა. ხოლო, როცა უცნობმა ხელი ჩამოართვა, ფოსტის მოხელემ ენას კბილი დააჭირა ტკივილის გასაყუჩებლად — არც ეს მაგარი ხელი ეჭაშნიკება...

ორთაჭალის ლოპიანებს, როგორც მოგეხსენებათ, დღემდე არ დაუგდიათ სახელოვან წინაპართა პურ-მარილი. მაგრამ პური ან მარილი რა სახარბიელოა მაინცდამაინც ტფილისის პაპანებაში, უკეთუ მას, ე. ი., პურ-მარილს მჭიდრო კავშირი არ ექნება იმ დალოცვილ სითხესთან, რომელმაც განსვენებული ჩვენი პაპა — ნოე ბიბ-

ლიული — ჩითის ერთი ნიფხვის გამო იმ ზომამდე მიიყვანა, რომ საკუთარი ღვიძლი-შვილი სამარადისოდ შეაჩვენებინა.

ალბად, ისიც მოგეხსენებათ, რომ ღვინოს საზოგადოდ და, კახურ-იმერულს კერძოდ, ორი მტერი ჰყავს: ადამიანი და ფილოქსერა. ჩვენში ქართველს *) იმთავითვე გაუტეხელი ფიცი დაუდევს, რათა პურ-მარილის დროს არც ღვინო შეიბრალოს, არც მისი მსმელი — იმიერიდან ამიერამდე სმენ და ჰღვრიან, მაგრამ ჯერ-ჯეროზით მაინც ვერავის გამოუღევია.

ხოლო რაიცა შეეხება მეორე მტერს, ე. ი. ფილოქსერას, მიწათმოქმედების კომისარს ასე დაუქადნია თურმე: მე ალექსანდრე გეგეჭკორი არ ვიყო, თუ ამ ბუზანკალს ვაზის მაგიერ ნარი არ ვაცხნიოო.

ჰო და, ასეთს გარემოებაში აბა როგორ არ დაელია ალმასხან ალუჩაძეს!

მით უმეტეს, როცა დაობლებულ გულს ტიალი ჭია ღრღნის, ფილოქსერაზე უფრო მძლე და უჩინარი.

ფანჩატურში გამართული სუფრა მტკვარს დაჰყურებს, ჩვენი მოქეიფენი კი — სავსე სუფრას, რომელსაც არც მარილი აკლია, არც პილპილი, არც ცოცხალი და არც დაუკაკანებელი ვარიკები. სოველი ხელადები ერთმანეთს ეცილებიან სიამის ბარაქას.

სმაც არის და მოლხენაც:

ბერუჩას მკერდი გაუღელია, ბურძგალა, ზედ ოფლის ნაკადი სდის, მბზინავი და წვეთ-წვეთა. შუბლზე კიტრის ნაფრცქვენი შემოუდვია. ჭიქას ატრიალებს, ენას სასვენს არ აძლევს: თამადაა ყველგან და ყოველთვის.

სვამს ალუჩაძე და გულში კრუსუნებს, ოდნავ, ტკივილების გამოხმობად. ფოროო ფიქრები და მწუხარე წუხილი სადღაც, შესაცნობელს გადაღმა მიყუჩებულან, ვით ნაავ-

---

*) ზოგს არაქართველსაც: „ხარი ხართან დააბი, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო“.

ასთამწყობის შენიშვნა.

დრევი ღრუბლები. თანაც ეს ლიკლიკა თარი... რა მადლიან ხელს გაუთლია ასე რბილი, ასე მოსალბუნე!

სვამს და მეტი უნდა.

ბერძენიც გვარიანა დამბალა: ისედაც ნამცეცა თვალები მთლად დაჰკარგვია, ბუხრის წინ მონებივრე ციცასავით. სმაზე უარს ამბობს, გულისფრიალს იმიზეზებს.

— ბერუჩა მოგიკვდეს, თუ ერთი წვეთიც კი გაპატიოს — ჭიხვინებს თამადა და საჩაე ჭიქას გადადის —ხმა, კრინტი: ბაბუცას სადღეგრძელოა!

რაო? ბერძენს ელდა ეცა.

— Какой отношения имейт?

ეკითხება განცვიფრებული.

— ერთი ამას დამიხე: მეგობრის ცოლია, ძმავ, აი ამისი!

და ეშხზე მოსული ბერუჩა ერთს ბარაქიანად ჩააფარებს თავში ღვინით გამოტვინებულ ალმასხანს.

ამისი ცოლიაო? ბერძენი ერთბაშად აიწვა, აილეწა კბენია ჯორივით. მყის გამოფხიზლდა. მკლავები უხერხულად ააჯიკავა, თითქოს იღლიებში უჭერსო. მერე გალსტუკი შეაწუხა, კოხტად რომ ჰქონდა გამოსკვნილი. დაწითლებული თვალები ჯერ ბერუჩას შეაფეთა, მერე გალენჩებულ ალმასხანს. რაკი დარწმუნდა, საიმისო არაფერიაო, თვალი მასვე შეატოვა, ფათურა ხელი კი სავსე ჭიქას შეუსვა და ასე იბოდიშა:

— Хотя я не имею честь с нею познакомиться, но сприятностью випиваю.

რასაკვირველია, იცრუა. შესაძლებელია, ღვინო მართლაც სიამით დაელიოს, ბაგრამ გულში კი, ჩვენებურად რომ ვთქვათ, ასე გაივლო:

„ვერიდებოდი ლოლოსა, დამხვდა ვენახის ბოლოსა“...

სმა და ლხინი თავის გზას განაგრძობს, ბერუჩა პირდაპირ შეუდარებელია. რას ამბობს, რას მოიგონებს: ეს ძმობაო, ეს სიყვარულიო, თავდადება და მამულიშვილობაო, სააქაო და საიქაო — ალარაფერი დარჩა მოუხსენებელი. საკუთარისა რომ გამოელია, შემდეგ მეზობელ სუფრას გადასწვდა, სადაც ქალთა მსუყე სიცილი ისმოდა.

ნაცნობნი ალმოჩნდენ. სუფრამ სუფრის სადღეგრძელო დალია, როგორც წესია.

შემდეგ იქიდან ვილაც მობარბაცდა, სავსე ჭიქებითა და სამადლობელით. გაჩალდა „რეჩობია“ და ტუჩის კოცნა: შენ კარგი, მე უკეთესიო. პირველ მერცხალს მეორე მოჰყვა, მეორეს დანარჩენები და... სუფრაც გაერთიანდა.

ბერძენმა დრო იხელთა, უკუდო ხარივით გაილალა... რა ბოროტი? რისი მატარებელი?!..

ახალმა სუფრამ ახალი ხალისი გააჩინა. მოლხენას ტრფიალი დაერთო, თრობა ვნებას გადაება და აირია მონასტერი: ბერუჩა მაისის ბუღასავით ბუღრაობს, ალარ იცის არადანი ვის არგუნოს: ღვინოს თუ ქალებს. ორივეს თანაბრად ეტანება.

ალმასხანს ვილაცამ ერთბაშად მოაშორა მთელი ოცი წელი, ბეჭებს რომ ედო კაპტოსავით.

...ო, რა ტკბილი ყოფილა საზურგეს მოხსნა, ტკბილი და თანაც ასე ადვილი! ნუთუ ეს აშინებდა? განა ეს ამძიმებდა! ამას ერქვა ცხოვრების ულელი: ოჯახი? მოვალეობა? ფიიიჰ! ერთი პაწია წკიპურტი და... გათავდა მისი მეუფება!..

ორივ გვერდით „ლამაზი“ უზის, მარჯვნით და მარცხნით. ერთი მიაბრუნებს, უპარსავ ლოყას უკოცნის. მეორე გამოართმევს, ბანჯგვლიან ყურის ბიბილოსაც ჰკბენს. გააქვთ და გამოაქვთ გამოსარეცხავ გუდასავით, უტვინო. გალენჩებული...

დუდუკი საარს ჭყვიტინებს, ვილაც ბუსავით გაჰკივის, ქალები მოშლილად კისკისებენ, უშნო და დალარულები. სუფრა ნაბაზრალს დამზგავსებია, ასვრილი, ჯენჯეხიანი. ხარფუხის მამლებმა ყივილი გაახშირეს. მეტეხის უჯვარო ტაძარს განთიადი ემთხვია გრილი და უცოდველი...

ალუჩაძე რალაც მჟავე სუნმა გააღვიძა, მყრალმა, გულის ამრევმა. ნუ თუ ამდენ ხანს ეძინა? თავი ასწია, ვერ აიღო. მიმოიხედა: საქათმეშია, თუ ვირის ბოსელში? მაშ. ეს რა არის? ხელი მოუსვა: ფუი!

— რაო, კატუნი, გათენებულა?

თითქოს ჭურიდან ისმის ბოხი ამოძახილი.

არ სურს გაიგოს. ფანჯარასთან მოფორთხდა, დარაბას უჭიატა. თვალი მოსჭრა, ისევ მოხუჭა. თავბრუდასხმული კედელს მიენდო, გახმა, გაქვავდა.

— გეთაყვა, ერთი პაპიროსი მომაწოდე!

ზმორებით ეუბნება სასაგამშრალი „ლამაზი“ და ამლილ სასთუნალს ისწორებს.

სადღაც, სულის დარკინულ ცხრაკლიტულიდან, უეცრად დაიძრა ხსოვნის ნალექი, მღვრიე, შმორიანი. დაიძრა და ყელამდე ამოიღაფა.

თითქოს დაბმულმა აიწყვიტაო, ფანჯარას ჯიქური მუშტი სცა. გააღო, გადაეყუდა:

ივლისის მწველი მზე საშუადღეოს ასულა. რიყიდან სიო იძვრის თბილი, ყვითელი. დახვარტული ბალჩა ჭირიან ჭუკივით მობუზულა, გუშინდელ სალხინო სუფრაზე ბერუჩა გაშხლართულა, გრძელი და ხროტინა. გარს ბელურები ესევიან, ნაძცეცებს იპარავენ...

თვალი ნახულს ასხლტა, სადღაც გაიჭრა, თითქოს მტკვრის ზედაპირზე მოელვარე მეცხლებს აედევნაო. იფრინა, იფრატუნა და უეცრად აგარაკს № 79 არ წააწყდა!

ცაცხვის ჩრდილში, მოწნულ სავარძელში ფ
და ვარდისფერი ზის ბაბუცა ეშხით გაქათქათებული. სატრფოსთან ერთად დილის ყავას მიირთმევს, თანაც ნაზად უსაყვედურებს გულგრილობასა და... უფულობას.

კირია კირიაკოვიჩი გულგრილობის ბრალს გულმოდგინედ უარჰყოფს, ფულისა კი — ალარ იცის, რა უთხრას: ამ სამი დღის წინედ ხომ ერთი ცხრა გამოუგზავნია! მაინც ბოდიშს იხდის ჯენტლემენურად, ახალ-ახალის დაპირებით თავს ისივებს დაუზოგველად. აი, ეხლაც ნობათად უცხო ყელსაბამი მოუტანია, ხორცისფერი მარგალიტი. მთრთოლვარე ხელით სურს ყელს შეაბას, ვერ ახერხებს. გაფიცხებული ტუჩი საამბოროდ მიაქვს. აი, აკოცოს თუ არა...

— ჰა-მეთქი!

იძახის ალუჩაძე და გამოერკვევა.

თითქოს ვინმემ ყელს ჭუჭყიანი ჩვარი დაუცოო, სუნთქვა შეუწყდა. ბორძიკით მივიდა ლოგინთან. პიჯაკი

და შალვარი მოსძებნა, სასთუნლად რომ ჰქონდა მიდებული. დაითრია, ზიზღით დაფერთხა.

— კატუნი, ვიზიტისა კი არ დაგავიწყდეს!

ეუბნება „ლამაზი“ და ხელს უჭერს.

ჯიბე მოსინჯა, გადმოაბრუნა: ჯერ გუშინდელი ბარათი გამოვარდა, მერე ჩერვონეცი — ორივე დაჭმუჭვნილი, კირიასეული. ფულიცა და წერილიც თვისი ცოდვის უნებურ მოზიარეს ესროლა ხელუკუღმა. გარედ გავარდა და გაიქცა. უქუდო, იღლიას პორტფელგაჩრილი.

მირბის და არ იცის სად, რისთვის: თავის მაგიერ ბუშტი აბია, ბუშტი გამხმარი და ცარიელი...

—:—

პაოლო იაშვილი.

ერთი კვირა.

რალაც სითბოა გამჯდარი ტანში
და სიხარული ამიტანს რალაც,
რომ ერთი კვირა აჭარისტანში
მე არ მივლია უსაქმო ალათ.

რომ ჩამოვედი საქმის კაცებთან
და მათთან ძმური გავსწიე ჯაფა,
რომ ამ დღეებში მე მიტაცებდა
მუშაობაში ხარივით ჩაბმა.

რომ დანთებულმა ცაში ბუხარმა,
მზემ, ჩემს გუნებას შეუწყო ხელი,
რომ აჭარელი სოფლის ფუხარა
ჩემგანაც რჩევას ძმასავით ელის.

რომ ვარ ხამდვილი ხალხის პოეტი,
მდგარი მიწაზე ორივე ფეხით,
რომ ვარ კეთილი, როგორც მოედინ
სურმანიძეა კეთილი გლეხი.

ეს ერთი კვირა თითქოს მხედნიდა
გლეხური ჭკუა ჯანმრთელ ფესვებით,
მიტომ დავტვირთე ლამაზ ქედიდან
დიდი საპალნე, სავსე ლექსებით.

ისე მაგარი, გაუტეხავი,
როგორც ბათომის ციხის კედლები,
და მხიარული, როგორც ხელხვავი
ხასანბეგურა ქობულეთლების.

ბათომი.
სესიის დღეები.

—·:—

ტიციან ტაბიძე.

მაშ გამარჯვება!!.

ვარიაცია.

თუ ჩემი ძმა ხარ — ერთიც მიმღერე.
და დავუჩოქებ მიწას მუხლებით.
— მაშ გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლე
დავრჩებით, ერთად ჩვენ განუყრელი".

ვინ მისცა ფერი მუხრანის ღვინოს.
ვინ მისცა ფერი არაგვის ველებს?..
სანამდე უნდა, რომ მზეთ ედინოს
გავარვარებულ ოქროს თაველებს!..

სხვა რომ მოკვდება, მისთვის რა არი
წავა, გაჰქრება როგორც სიზმარი.
მე სად გავექცე ამ გოლიათ მთებს,
რომ ქონდრის კაცსაც დევათ აგანთებს.

ნეტა სადა აქვთ ამ ზვარებს ბოლო
ვინ დარგო ერთად ამდენი ვაზი!..
სჯობს ალარ მქონდეს სულაც სამშობლო.
ან და არ იყოს ასე ლამაზი.

სხვა საქართველო, მაინც სად არის,
რომელი კუთხე, რომელ ქვეყნისა!..
ვის თუთქავს ასე ცეცხლის ლადარი,
ქვეყნად სამოთხე, სხვას ვის ელირსა!..

დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა
ჩემ ქვეყნის ტრფობის მედგას ულელი.
— „მაშ გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლე,
დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი".

იანვარი 928 წ.

ტფილისი.

—:—

ვარლამ რუხაძე.

მუშის სიმღერა.

რკინის ულელს დავათრევდი. გულზე ლოდი მეკიდა.
მოდიოდა ჭინკა ფიქრი, საიდუმლოდ მიმღერდა.
ლოკვითა და მოთმინებით მსურდა ღმერთი მეყიდა!
რკინის ულელს დავათრევდი. გულზე ლოდი მეკიდა.
რად ვარ ასე?! ვკითხულობდი, ყელში ბოლმა მეხიდა.
სდუმდა ზეცა. სდუმდა მიწა. მიზეზს არვინ მიმხელდა.
რკინის ულელს დავათრევდი. გულზე ლოდი მეკიდა.
მოდიოდა ჭინკა ფიქრი, საიდუმლოდ მიმღერდა:
„ოქროს ქსელში გაიხლართე, თავისუფლათ მღერალი.
განეშორე ლალ ბუნებას, მზის სხივებით დანაფერს.
ჭიხარ ახლა უკუნეთში, ჯოჯოხეთის მცქერალი.
ოქროს ქსელში გაიხლართე, თავისუფლათ მღერალი.
ველარ გიტკბობს ყურთა სმენას ხმები გზნებით მჩქერალი.
სნებაშეყრილ ტუსალს გავხარ შუბლზე ტილო დანაფენს.
ოქროს ქსელში გაიხლართე, თავისუფლათ მღერალი.
განეშორე ლალ ბუნებას, მზის სხივებით დანაფერს.
და დაჭრილი შენი გული სიმწრის ეკლებს ეხევა.
ამ საშინელ სულის ტკივილს ნეტა როდის დაიფრობ?
გაგონდება გაზაფხული, სიოს ნაზად შერხევა...
და დაჭრილი შენი გულის სიმწრის ეკლებს ეხევა.
ეჰ. ვის ძალუძს ღირსეულათ ამ ჭრილობის შეხვევა!
ლანდთა შორის მოექეცი და იმათთან საუბრობ.
და დაჭრილი შენი გული სიმწრის ეკლებს ეხევა.
ამ საშინელ სულის ტკივილს ნეტა როდის დაიფრობ?
შორს ცრემლები! ორბის ფრთებით შეჰკარ მალლა კამარა,
მოეხვიე ბრძოლის ჭარცეცხლს, დაუკოცნე კალთები!
ხსნა თუ გინდა, მაშ, სიმტკიცეც შემოირტყი ჭამართ!

შორს ცრემლები! ორბის ფრთებით შეჰკარ მაღლა კამარა!
ვაი იმას, ხსნის იმედი ვინაც დაასამარა:
მან ვერასდროს მოიშოროს ჯოჯოხეთის ხლართები!
შორს ცრემლები! ორბის ფრთებით შეჰკარ მაღლა კამარა,
მოეხვიე ბრძოლის ქარცეცხლს დაუკოცნე კალთები!"
და მეც თვალი ამეხილა: საიდუმლო გავიგე.
მახვილს ხელი გავიკარი, ცა ელვებით დავხაზე;
ძველი ქვეყნის ბოროტება შუბის წვერზე დავიგე.
დღეს მეც თვალი ამეხილა: საიდუმლო გავიგე.
კერპები ძირს დავანარცხე, ხსნის ტაძარი ავაგე:
შრომის გმირმა, შრომის კერა რკინის მკლავით დავრაზე!
დღეს მეც თვალი ამეხილა: საიდუმლო გავიგე.
მახვილს ხელი გავიკარი, ცა ელვებით დავხაზე.

პოლ მორან.

ღამე ოსმალეთში.

თარგმანი **ნინა მესხიშვილისა.**

(წიგნიდან — „Ouvert la nuit").

და ჩემს წინ, ბიზანტიის კედლის ნანგრევიდან გადიშალა მარმარილოს ზღვა.

...გემი უნდა გასულიყო მხოლოდ მეორე დღეს — დილით და მე იძულებული ვიყავი ღამე სტამბოლში გამეტარებინა. სასტუმრო აუტანელი იყო: ყოველ მხრიდან მოსჩანდა პერას მოსახლეობის დაფშხალული სახეები, დამჭკნარი, მოდუნებული ტუჩები, მსუქანი ცხვირები, შეკვეცილი ნიკაპები, დანაოჭებული, დაშვებული თვალის ქუთუთოები და საშინელი თვალები.

მე მირჩიეს მესადილნა რომელიმე რუსულ სასადილოში. ექვსიოდე ამგვარი სასადილო იყო გახსნილი სამხრეთ რუსეთის ლტოლვილთა მიერ, სადაც მანდილოსნები ემსახურებოდენ. მე ამოვარჩიე სასადილო „ფეოდოსია", რომელიც იმყოფებოდა მთლად მიყრუებულ კუნჭულში პერას მთავარ ქუჩაზე.

მეორე სართულის დაბალ ოთახში. იქ მყოფთ ჩამოსწოლოდა კვამლი, ღვინის ორთქლი და უსაშველო ხმაურობა. ახალი სტუმრის შემოსვლისთანავე შემოსული ქარი უცნაურად აღელვებდა ამ ბუღს. ჭერი განათებული იყო ცისფერ და იისფერ ლამპრებით. კედლებზე, ვიღაც რუსის მხატვრის მიერ მოხატულ ფრესკაზე, სეირნობდა მთელი მოსკოვი: ქალები ცეკვავდენ მაიმუნების ორკესტრის მუსიკაზე, რომლებსაც მეთაურობდა ვიოლინოზე დამკვ-

რელი—თეთრი დათვი რუსული ქუდის და ხალათით. ამ კვამლის ღრუბელში ამაღლებულიყო სასადილოს პატრონი, ყოფილი კიევის თეატრის რეჟისორი. ის მოგვაგონებდა შალიაპინს — შალიაპინს 29 ივლისში 1914 წელს, მის უკანასკნელ გამოსვლას კოვენტ-გარდენში, თავის ლოჟაში ჭიქით ხელში რომ იდგა და მარსელიოზას მღეროდა. თავისი ძლევამოსილი გარეგნობით ის აღდგენდა ჩვენს ხსოვნაში იმგვარს რუსეთს, რომელსაც ჩვენ ვიყავით ნაჩვევი — ჩერნოგორიის გვერდით „ალმანახ-ჰაშეტ“-ის ფურცლებზე. ამ საშინელ ბოლში გაჩაღებული იყო სმა. იქ იყვნენ რამდენიმე ინგლისელი, რამდენიმე პერას წარმომადგენელი, მაგრამ უმეტესი ნაწილი კი რუსები იყო. სასადილოს დიასახლისი, ბალერინა ხელმწიფის ბალეტის, იდგა გაყინული, თავის ყარყუმის მოსასხამით, მარგალიტის ყელსაბამით და ჰხვდებოდა ახლად მოსულ სტუმრებს. გიტაცებდათ რუმინელი ორკესტრი, ყურთა სმენას რომ ატკბობდა ტკბილი ჩარდაშებით. მაგიდებთან მიმსხდარიყვნენ ფეხზე დგომას უჩვევი მოსამსახურენი. მათ დაჰქონდათ საჭმელები, იძლეოდნენ განკარგულებებს, იღებდნენ შეკვეთას, და ყველა ამას აკეთებდნენ იმ არაჩვეულებრივ ნაზი მიმოსვლით, რომელიც ამჟღავნებდა მათ მაღალ წოდებას. კეთილშობილი, თავისუფალი მათი ქცევა, ენამახვილობა და მოხდენილობა, რასაც ჩვენ არ ვიყავით მიჩვეული მოსამსახურეებიდან იქცევდა ყურადღებას.

შორი ახლო რამდენიმე კაცი სვამდა ბერძნულ შამპანიურს, რომელიც ეტყობოდა ადუღებულიყო მოგზაურობის დროს: „პრობკა“ საშინელი ხმაურით ხვდებოდა ჭერს. მათ მაგიდაზე იდგა ხიზილალით სავსე მაღალი რკინის კოლოფი. რამდენიმე მამაკაცი, გარეგნობით დათენთილი, ბუჭყიანი და თანაც ზვიადნი, ვით მოხეტიალე რომპარიუსი, უმასპინძლდებოდნენ ვიღაც პალტოიანს, ათი დღის გაუპარსავ და უამრავ სამხედრო ნიშნებით დაჯილდოვებულ ოფიცერს.

თმახუჭუჭა, მეტად ლამაზი მანდილოსანი, რომლის გრძელი, ოქროს საყურეები მხრებს სწვდებოდა,—მარიოლს აყრიდა ყინულიან ვედროში ჩადგმულ შამპანიურს.

მეორე მანდილოსანმა, რომელიც ზურგით იჯდა ჩემთან, ძლიერ ამოჭრილი კაბით, წარმოსთქვა წმინდა ფრანგულ ენაზე: „აბა, ბატონებო, რას მიირთმევთ“. და ეს იყო ნათქვამი ისეთი ავტორიტეტული კილოთი, რომ მე ჩავთვალე იგი დიასახლისათ. მაგრამ როდესაც საჭმელი ამოირჩიეს მან, იმის მაგიერ მოსამსახურეთათვის რომ დაეძახნა — ჯიბიდან ამოიღო წიგნაკი და დაიწყო შეკვეთილის ჩაწერა ფანქრით, რომელიც ზონრით წელზე ჰქონდა მიბმული. ალბად, ის იყო ამ მაგიდის სტუმარიც და მოსამსახურეც.

ის ადგა და გაიწია სამზარეულოსაკენ. უეცრად მოიხედა ჩემსკენ.

— ქ-ნო ანნა, თქვენ — აქ ბრძანდებით. — გაკვირვებით შევსძახე მე.

— გამარჯობათ, — რა გასაოცარი შეხვედრა. დიდი ხანია რაც სტამბოლში ხართ?

— სულ — ორი საათი...

ტყუილ-უბრალოდ ცდილობდა დაებოლავებინა თავის სიტყვები მალალი ტონებით. ეტყობოდა არავითარ გაკვირვებას არ განიცდიდა. ის იდგა ჩემ წინ სწორედ ისეთი, როგორიც მინახავს ოდესლაც, — იმ შორეულ დღეებში, როცა მას ვხვდებოდი სასტუმროს შესავალთან თავის ძალით, რომ სასეირნოდ წავსულიყავით ერთად.

— მე ლტოლვილი, ვარ, — სთქვა მან და შესაბრალისად გამომიწია ხელები. — მთელი წელიწად-ნახევარი დავდიოდი ერთ ალაგიდან მეორეზე, აქა ვარ — გასულ გაზაფხულის შემდეგ. რაც შეგეხებათ თქვენ, სჩანს, ბედს არ ემდურით.

— მაგრამ, ამიხსენით...

— ახსნა არ არის საჭირო, ამბობს ტიუტჩევი:

Умом Россию не понять...

В Pоссию можно только верить!!.

— თუმცა ზოგიერთი რამის მოყოლაც შესაძლებელია, მაგრამ ამისათვის თქვენ მაგიდა უნდა გამოიცვალოთ, რადგანაც ეს ჩემი მაგიდა არაა. აქ თქვენ გაგართობდათ გრაფის სტრახოვის მეუღლე.

— მარიკა, — მიუბრუნდა ის ახალგაზრდა უმარილწასმულ შავგრემან ქალს, რომელსაც ეცვა შავი მალალ-საყელოიანი კაბა. ნება მომეცი, ჩემ მაგიდაზე გადავიყვანო ერთ-ერთი შენი მუშტარი, ჩემი ძველი მეგობარი ბიარიციდან. გთხოვ გაიცნო.

გრაფ სტრახოვის მეუღლემ გამომიწოდა თავისი ხელი, რომელიც ჯერ წინსაფარზე გაიწმინდა; თავისი წვრილი ხელი, დიდი ბრილიანტის ბეჭდით, რომელსაც მოწიწებით ვეამბორე. ასეთი იყო წესი ამ რესტორანის.

ჩვენ მიუსხედით მაგიდას. მე უთხარი ანნას, რომ უსაზღვროთ ბედნიერი ვარ მასთან შეხვედრით, რომ მე დღემდე ისევ მასზე შეყვარებული ვარ. მაგრამ მან საყვედურით შემიბრუნა სიტყვა, ვითომდა მე ეხლა მინდა ვისარგებლო მისი უბედურებით და იმიტომ ვლაპარაკობ ასე.

— ქარივით მძაფრი, მგძნობიარე, სეროზული, როგორც ყველა ფრანგი. ვნებიანობა და დაუდევრობა. ყველა თქვენგანი ზვიადი არის, მაგრამ რამდენი სიმახვილეა თქვენში.

უცებ წამოდგა, რადგან ვიღაც ინგლისელი აფიცერი ანგარიშს თხოულობდა.

— შეიძლება იფიქრო, რომ თქვენ მთელი სიცოცხლე მხოლოდ ამ საქმეზე მუშაობდით.

— მე ხომ რუსული ცხვარი ვარ. ჩვენ — უგონო ხალხი, ყველაფერს ვეჩვევით, და ბოლოს და ბოლოს ლონე ერთმევათ ავ გრძნეულებს. ჩვენ არ ვიღერებთ მუშტებს არ ვეომებით ღმერთებს კბილის ღრჭენით, როგორც ამას სჩადიან ინგლისელები; ჩვენ ვეგებებით ჩვენ ბედს ისე კი არა, როგორც თქვენ, — შეგნებით და მწყრალად. მართალია, მორჩილება მოსაწყენია, მაგრამ უფრო მოსაწყენია ხელისუფლება და ყოველ საღამოს ცეკვა „პალასოტელში“.

— უტკბილესი მოჩვენება. 1914 წლის აპრილი... ქარიშხალი ყოვლად წმინდა ქალწულის ფრიალო კლდეზე და ზვირთები, რომელიც თითქმის ეხეთქებოდენ თქვენ დიდ ოთახების სარკმელებს, სადაც თქვენ დედასთან ერთად სცხოვრობდით. როგორ ბრძანდება დედა-თქვენი?

— ერთი წელიწადი შესრულდა, რაც იგი გარდაიცვალა საოფლით თურქების საავადმყოფოში. პრინცევის კუნძულზე. ოცდა თხუთმეტი ჩემი ნათესავი უკვალოდ დამეკარგა. მე დავკარგე ყველაფერი — ჩემი დამოუკიდებლობაც კი და შესაძლებლობა ბუნების წიაღში ცხოვრებისა, რაც ანუგეშებს ადამიანს უბედურების დროს. ერთად-ერთი დარჩენილი ჩემი გასართობი და, ჭეშმარიტად, ნამდვილი სავანე — არის ჩემი უბედურება. იგი ჩემს ირგვლივ მყოფ ხალხის უბედურებასთან ერთად, ჰქმნის ჩემს გარშემო რაღაც სევდიან და გიჟურ ჩოჩქოლს, რაც მიადვილებს უკანასკნელი დღეების დაბოლოებას.

ჰო და, აი კიდევ ერთი გასართობი — თვალ-ყურს ვადევნებ „ტარაკანების“ დოლს და მუდამ დღე ვკითხულობ გაზეთში თვით-მკვლელთა სიას. მხოლოდ ეხლა ეს მოკლებულია უკვე ყოველგვარ ინტერესს. მობილიზაციის დროს ჩვენ გადავედით ჩვენს მამულში ტულას გუბერნიაში — პერმინიკოვოში. ძველი, კირით შეთეთრებული სახლი მწვანე სახურავით. მინდორში მუშაობა, ხვნა-თესვა, ნადირობა გარეულ ქათმებზე, ჭრილობების შეხვევა, კითხვა; ღამე თოვლში, არყის ხეებთა შორის კოცონი და ცხენების თქარა-თქური. თითქოს რევოლიუციამ არაფერი შესცვალა. ჯარისკაცები ნელ-ნელა ბრუნდებოდენ ბრძოლის ველიდან, ჩამოკიდებულნი რონოდას სახურავებზე. მათ, ვინც არ იყვნენ გასრესილნი, და ცოცხლები დაბრუნდნენ, დაინაწილეს ჩვენი მიწები და ტყე. და მხოლოდ 1918 წელს ჩვენი მდგომარეობა გაუარესდა. რევოლიუციის შედეგი, ისევე, როგორც შედეგი მეხის ჩამოვარდნის, მოულოდნელია და გასაოცარი. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ძმა გვარდიის აფიცერი იყო — მე და დედა-ჩემს არ გვჩაგრავდენ: ამასობაში კი ჩვენგან ხუთ ვერსზე დაშორებით, თავის მამულში თავადი სამარინი, რომელიც ამჟამად აქ იმყოფება, და რომელთანაც მე ვცხოვრობ, იყო მოწამე იმისა, თუ როგორ აკუწეს მისი ძმისწული... ერთხელ დილით, ჩვენთან, პერმიკოვოში, ჯარის უფროსის მეთაურობით, გვეწვიენ ვილაც „დეზერტირები“. მე წამოვხტი ლოგინიდან,

ვსტაცე ხელი მარგალიტის ყელსაბამს და შევაგდე ნაცარში. მერმე დავიწყე ჩემი და დედა-ჩემის ბეჭდების დამალვა პუდრის კოლოფში....

— ქ-ნო ანნა, ინებეთ და გვიბოძეთ თქვენი ვერცხლეული და ფული... რაცა გაქვთ.

მე ვმორჩილდები.

— დაიფიცეთ ხატების წინ, რომ ყველაფერი მომეცით.

მე დავიფიცე.

— ეხლა მომეცით ყველა თქვენი ნივთები.

მე ჩავალაგე მათ ბეწვიან ქუდებში სხვადასხვა წვრილმანი სამკაული—სამაჯურები, ბეჭდები, ძვირფასი თვლებით მოჭედილი თმის მოთუთულობა.

— დაიფიცეთ, რომ ყველაფერი მომეცით.

მე დავიფიცე. მაგრამ ის ჩამაცქერდა დაჟინებით. მე თვალები დაუშვი ძირს.

— სხვები ლომბარდშია, — უპასუხე მე.

მან გაიღიმა, და აღარ ჩამაცივდა.

დაიჯერებთ განა, რომ იმ წუთს მე მაღელვებდა მხოლოდ, ის, რომ მათ მიაქვთ — ჩემი საბავშო ფიალა, მოოქროვილი ფიალა თეთრი მინანქრის კრემლით ლურჯ ფონზე და ჩემი პატარა ფრანგული კოვზები.

— არ იქნებით ისეთი კეთილნი, — თამამად დავიწყე მე, — არ დამიბრუნებთ ჩემ ფიალას და ჩემ პატარა ფრანგულ კოვზებს?!

დეზერტირების წინამძღოლმა ხელზე ამბორით დამიბრუნა რაც ვსთხოვე, მაგრამ წინასწარ საჩვენებელ თითიდან მომხსნა ბეჭედი მშვენიერი ზურმუხტის თვალით და ალერსიანად მოგვშორდა. ერთი თვის შემდეგ, ჩვენ მხარეს შემოესია, ჩეხო-სლოვაკელთა მიერ უკუ-ქცეული და ლტოლვილები. ისინი გზა-გზა ყველაფერს აოხრებდენ. ორი საათის განმავლობაში ჩვენ იძულებულნი გავხდით დაგვეტოვებია ყველაფერი რაც გაგვაჩნდა. მას შემდეგ თავი ველარსად შევაფარეთ. ყველა მტრულად გვხდებოდა. შემდეგ. ეჰ. რაღა სალაპარაკოა. ჩვენთან მუდამ ასეა.

— და ვრანგელი.
— ო, რა თქმა უნდა.

მხოლოდ მას არა აქვს ფული. ჩემი ძმა, რომელიც მასთან მსახურობს, იღებს მხოლოდ და მხოლოდ 10.000 მანეთს დღეში. განა ამით იცხოვრებ? იგი უჩექმოდ დადის და უმი ხახვით იკვებება. სტეფანე ბაზაროვი, აი ის აფიცერი, რომელთანაც მე ვვახშმობდი, როდესაც თქვენ შემოხვედით, იყო პროობრაჟენსკის პოლკის პოლკოვნიკი. ის მსახურობდა იალტაში — რომელიღაც სასადილოს სამზარეულოში რეცხავდა ჭურჭელს. თუმცა მას აქვს ვერცხლით მოჭედილი მასრები და ტოპაზებით მოჭედილი ხანჯლის ტარი, მაგრამ უპერანგო დადის და მუნდირი აცვია შიშველ ტანზე... ბოლშევიკების მოსვლამდე ჩვენ ოდესაში ვიმყოფებოდით; შერმე ინგლისელი გემით მოვედით პრინცების კუნძულებზე. მე გავხდი საოფლით ავად და კინალამ არ მოვკვდი.

ჩვენ დიდი ხანია რაც არაფერი გაგვაჩნია. მე შემრჩა მხოლოდ აი, ეს ძველი ვერცხლის მანეთიანი, რომელსაც ლენტით ყელზე ვატარებ. ანასტასია, რომელიც ლაპარაკობს ოც სხვადასხვა ენაზე და რომელმაც გაათავა მოსკოვში ფილოლოგიური ფაკულტეტი — ამერიკულ წუმწუმებს ყიდის. აგერ უკვე ორი წელიწადია, რაც მე უზეწროთ მძინავს....

ის ლაპარაკობდა ყველა ამას შესაცოდავი, თანაც მტკიცე კილოთი, და თითქოს მისი სიტყვები არ ალვიძებდა მასში არც ერთ მწარე მოგონებას. იყო წუთები, როცა იგი თითქოს ბედნიერი იყო.

ორკესტრი უკრავდა „Fi-fi“-ს. თითქოს მოვარდნილ სტიქიონით შთანთქმული პირველი ვიოლინი ამაღლებდა ხმას, რომ წუთით მაინც გამაგრებულიყო ხმების უფსკრულში.

— თქვენ flush royal გაქვთ, და კიდევ ყოყმანობთ! უკბილო მოთამაშენი ჭურჭებში, გაქანებით, თითქოს ნაჯახით სჩეხენო, ისვრიდენ მაგიდაზე ქალალდს.

ანნამ მოიტანა ვაზა ხილით და ფეხზე მდგომმა, განაგრძო ლაპარაკი...

— ყველაფერი, რასაც მე გიამბობთ, თქვენ ალბად, რომანტიულად მიგაჩნიად, მაგრამ რუსეთში ხომ ყველაფერი რომანტიულია: სიხარულიც და სევდაც კი, ყველაფერში, რალაც ჯადოსნობაა. ამას საკმაოდ ხელს უწყობს ჩვენი ქალები. ისინი იღებენ მონაწილეობას ომში, სახელმწიფო საქმეებში, ჯაშუშობაში, მართვა-გამგეობაში. სცხოვრობენ მატარებლებში ჩვენი გენერლების გვერდით, მინისტრების კაბინეტებში, ტყეებში, ციხეებში, და ამ საქმეებში ჩარევით ისინი წინააღმდეგ ფრანგ ქალებისა, არ უადვილებენ ცხოვრებას მამაკაცებს თავიანთი კეთილმსჯელობითა და გაფრთხილებით: ჩვენ, სადაც კი არ უნდა ვიყოთ, ყოველგან შეგვაქვს ჩვენი დაუდგრომელი სულ:. აიღეთ, თუნდაც სტამბოლი: სილარიბე წარმოუდგენელი. აუტანელი, და ამასთანავე გიჟური ჰფლანგვა: ხალხი ლოთობს, სცრუობს, დიდ-გულობს ერთი მეორის წინაშე, იხოცება ან და ისეთ საქმეს აკეთებენ თვალთმაქცური მოხერხებით, რომ პერას ხალხიც გაკვირვებაში მოყავთ.

რომ გამეხალისებინა, მე უწინასწარმეტყველე მას არსებულ სახელმწიფო წესწყობილების დამხობა.

— ჰო, — წარმოსთქვა მან, — იქნებ ჩვენ დავბრუნდეთ ოდესმე რუსეთში...

ამ ნაზს სიტყვას, მის მიერ წარმოთქმულს არა ჩვეულებრივი ნაზი და ლანდისებური სახე ეძლეოდა. იგი არ აძნელებდა მომავალს, მხოლოდ ხაზს უსვამდა მას, ოდნავ საგრძნობი ხაზით, როგორც ცისფერი იელატების ზოლი ხაზს ავლებს ჰორიზონტს, და ჰქმნიდა ოცნებას, რომელიც თვით არ სჯეროდა. და ის სავსებით ნათელი გამოთქმულობა — მის ბაგიდან, როგორც საერთოდ ყოველი რუსის ბაგიდან, — საოცრად გარდიჰქმნებოდა, ჰხდებოდა მხოლოდ ჭეშმარიტების ჩრდილად და ჰკარგავდა მთელ თავის ძალას. ბოლოს და ბოლოს გეჩვენებოდათ, რომ არასოდეს არ არსებობდა ყველაფერი, რასაც იგი ამბობდა; უცხაური ენა, სადაც თვით გრამატიკა, იმის მაგიერ, რომ გაამაგროს სიტყვები, თითქოს ანთავისუფლებს და არბილებს მათ. აქვს მხოლოდ რამდენიმე წარსული დრო, რო-

თაც სულ უფრო და უფრო ჰშორდება სინამდვილეს, ისე რომ, გუშინდელი დღე ბოლოს და ბოლოს საეჭვოდ გეჩვენებათ.

— იქნებ...

ეს სიტყვა მე გამიგონია მისგან დიდი ხნის წინედ იმ სალამოს, როდესაც იგი ქარისგან აფრიალებული თმით, მარჯვედ მიაქანებდა ას ცხენიან სიძლიერის „ფიატის“ ავტოს. მაშინ ის იყო ვლადიმერ ერმოლოვის საცოლე, რომელიც უგზავნიდა მას ლექსებს, თავის სისხლით დაწერილს. მე ვთხოვე მას გამყოლოდა ცოლად.

— დაიცადეთ, — ამბობდა იგი, — იქნებ, დადგეს საათი... ქვეყანაზე ყველაფერი შესაძლებელია, რადგანაც თითეულ მოვლენა'ში არის მოპირდაპირე მოვლენის ჩანასახი“.

და ეხლაც იგი იყო ისეთივე, როგორც მაშინ, გარემოცული რაღაც გრძნეულებით, რომელიც უეცრად გაჯადოებს, გხიბლავს, მაგრამ მოშორდებით რამდენიმე ნაბიჯს და — იგი ჰკარგავს მთელ თავის სიძლიერეს.

მე მზად ვიყავი მაშინ დამეტოვებია ყველაფერი, რომ კვალ-დაკვალ გავყოლოდი ამ ქალს, მაგრამ ჩვენ დაგვაშორა ომმა.

— ანნა, იცით, რომ მე ცოლი შევირთე... და შვილებიც მყავს...

მისი თვალები ოდნავ შეკრთენ. მათ მსუბუქი ჩრდილი გადაეფარა, რამაც მომაგონა ერთი წუთით ის წინწკლები. მწვანე ზურმუხტს რომ დაყვება ხოლმე. როგორც ყველა აღმოსავლეთის ხალხი, მან ვერ გაუძლო ჩემ დაჟინებას და მიბრუნდა.

— თქვენ არ გევხართ მამას. თქვენ ალბად ბოლომდე შეგრჩებათ ეგ ბავშური გამომეტყველება... ხედავთ, მე მართალი ვიყავი, — თქვენ უჩემოდაც ჰპოვეთ თქვენი ბედნიერება.

— ოო. ჩემი გული დასერილია, ვით მებრძოლის ძველი ხმალი... რით შემიძლიან გემსახუროთ, ანნა.

— არაფრით.. გმადლობთ. მე არაფერი მჭირდება მე სამუშაო ხელფასს ამ ჟამად საკმაოდ ვლებულობ, და მა

ლეც შევსძლებ გამოვისყიდო ჩემი ქურქი, რომელიც და-
გირავებული მაქვს ებრაელთან. როდესაც მე მას გამოვიხ-
სნი, მაშინ მექნება პარიზში წასვლის საშუალება. რა თქმა
უნდა, მატარებლით, რადგან იაფია უფრო, ვიდრე გემით.
პარიზი ხომ ყველა ჩვენი მისწრაფების საბოლოო ძიანია!

— ნება მომეცით გზის ფული გასესხოთ.

— ფული მე მაქვს. მოხუცებულმა თავადმა სამარინმა.
ერთს სალამოს რომ დაელია, დააგირავა ჩემდა უკითხავად
ჩემი ქურქი, და აი, მის სარჩულში ჩაკერილი მაქვს სამი
ათასი ფრანკი. პოლიციას რომ შევატყობინო, მე ამ ფულს,
რასაკვირველია, არავითარ შემთხვევაში არ დამიბრუნებენ

— ეხლავ წავიდეთ, გამოვისყიდოთ ქურქი.

გავიგე, რომ ებრაელის დუქანი იკეტება მხოლოდ ნა-
შუალამევს, გემების მოსვლის შემდეგ: გემს უეჭველად
მოჰყვება ისეთებიც ვისაც დასჭირდება რაიმეს დაგირა-
ვება, რათა იშოვონ ასიოდე ფრანკი ღამის გასათევად —
მეორე დილამდე. მხოლოდ ღამის პირველ საათზე გაის-
მის ზარის რეკა. ამის შემდეგ მთელ ქალაქში სინათლე
ქრება.

ანნამ მიიღო რესტორანიდან წასვლის ნებართვა. ორ-
კესტრი უკრავდა რაღაც შესაბრალისს სიმღერას. ხმები
თანდათან იკითხებოდა. ყველა იქ მყოფი ერთხმად შეუ-
ერთდა ამ სიმღერას მიყრილ-მოყრილი საინები, თამბაქოს
ფერფლით სავსე სუფრები, გადმობრუნებული ჭიქები,
მაგიდებზე მოწანწალე ანგორის კატები, ვენტილიატორი
და როიალის მიმწყდარი ხმა—ყველა ეს სანახაობა მკრთა-
ლად გეჩვენებოდათ იმ ნაღვლიან და ტანჯვით სავსე
სიმღერასთან, რომელსაც რუსების გუხდი ბღეროდა. ო ეს
იყო განდევნილთა ლოცვა, ლოცვა ზეცას რომ ალწევდა.

ჩვენ უნდა შეგვევლო ანნას ბინაზე, უნდა წამოგველო
დაგირავებულის ქვითარი და ვინაობის წიგნაკი. იგი სცხო-
ვრობდა ქალაქის ნავსადგურის დაბალ მხარეს. ღამე იყო
ბნელი. შავი ზღვიდან ბოსფორის ნაპრალში ქარი მოჰქრო-
და ზუზუნით. Petits champs-ის გასწვრივ, ქუჩის ყველა
კუთხეზე იდგნენ იტალიელნი მსროლელნი, military po-
lice, ფრანგი ჟანდარმები, ინგლისელნი წითელ ქუდებით.
თითქოს ზვერავდენ ვიღაც ინტერნაციონალურ ავაზაკს,

რომელიც ვერ ჰპოებდა მფარველობას ვერც ერთ ევროპიულ ერში. რაც უფრო უახლოვდებოდით ჩვენ ნავთსადგურს, მით უფრო ხშირად გვხვდებოდენ საზიზღარი, მოთხუპნილი გოგოები, გამოხუნებული თმებით, ისინი ეპატიჟებოდენ გაძვლელთ „Bar de la belle crete"-ში. ჩვენს გვერდით კვნესით და სიჩქარით მირბოდენ სადღაც დიდი ოქროსფერი ტრამვაები, ისმოდა გალატის კოშკზე როგორ ტკაცუნობდენ რადიო ნაპერწკლები ბრიტანეთის საზღვაო მმართველობის.

— განა შემეძლო მეფიქრა, ანნა, რამდენიმე საათის წინეთ, რომ აქ შემხვდებოდით. ღამე, თქვეხს გვერდით... მე ხშირად ვფიქრობდი თქვენზე... მე ვიცოდი, რომ შეგხვდებოდით ოდესმე...

— მე კი არ ვფიქრობდი.

ჩვენ მივდიოდით ბინძურ ქუჩებით. ორთავ მხარეს ანათებდა ბერძნული სირაჯხანები. მათი სარკმელების მინები მოფერადებული იყო ახტანტას დროშებით. კარებს მიჭედილი ჰქონდა ბატონ ვენიზელოსის სურათი პლანტატორის ტანსაცმელში და შავი სათვალეებით. მიუხედავათ საშინელი ჭარისა. ღია ცის ქვეშ, დაძველებულ ტახტებზე რომლებსაც ცხენის ძუა სცვივოდა, ისხდენენ ამაყად თურქები და მიირთმევდენ ყავას.

კინოს გაყინული სინათლე ანათებდა პლაკატს: ქალს შებოჭილი ხელებით, რომელიც კბილებით აბრუნებდა გაქანებული ავტოს საჭეს. იმ ქუჩებზე, სადაც წარწერებზე შეგეძლოთ წაგეკითხათ: „ქუჩა, დანიშნული ფრანგული ლაშქრისათვის", ისმოდა აქა-იქ ორკესტროფონების ხვედრა. რაღაც ბანჯგვლიან ხიდათ, ამათრუელიყო ზღუდეთ ჩვენს წინაშე ბოსტნეულობით დატვირთული აქლემი. ნაცრის ფერი თურქული ფიცრის სახლები, ჩამტვრეულ ბანებით, სალამს აძლევდენ აპრიალებულ ცას. ჩავედით რაღაც ჯურღმულში, გავჩერდით სარდაფში, სადაც შეჭამანდს მისხდომია სამი ადამიანი. გუშინ ისინი ტუსის მაზრის მდიდარი მემამულენი იყვნენ: თავადი სამარინი და მისი ორი და — ჟორჟინა და ანინკა, ანნას ბიძაშვილები. ოთახი გაჟღენთილიყო ალკოგოლის და გვარჯილის სუნით

და ზედ ემატებოდა არაჩვეულებრივი მწვავე, რუსის სუნი — ქაშემირის და ტყავის. ორთავ მოხუცებულს, ჭვრივი იმპერატრიცას ყოფილ — „ფრეილინებს“ მიკერებული ჰქონდათ გულზე ეკატერინეს ორდენის ლენტები. ორთავეს ყავდათ თავ-თავიანთი ლოგინის ქვეშ შინაური კურდღლები, ორთავე ხატების წინ მუხლმოდრეკით ხრიდენ თავებს, რომლებიც ჰიგიენის გულისათვის ინგლისელებმა სრულიად გადაპარსეს ლემნოსის კუნძულზე. ორივე ხვრეპდა რალაც წვენს საგვარეულო ვერცხლის კოვზებით, არეულობაში გადარჩენილ ჯამებიდან. ბოთლში ჩარჭობილი ერთად-ერთი სანთელი ანათებდა მაგიდას და მათ გაყვითლებულ, უბედურებისაგან გამოშტერებულ სახეებს.

— მე მინდა დავბრუნდე რუსეთში, — იმეორებდა ერთი მათგანი რალაც ავადმყოფური დაჟინებით.

— შენ არ შეგიძლია დაბრუნდე, — უპასუხებდა მეორე. — შენ მოგჭრიან თავს. — და ამასთანავე იგი მაკრატელსავით უჩვენებდა თითებს, და იცინოდა.

თავადმა სამარინმა, საუკხოვო მიხვრა-მოხვრით, შემთავაზა სკამი. ინგლისურ შინელში, საპატიო ლეგიონის დიდი ნიშნით იგი ძლიერ ჰგავდა ჯარში გაწვეულ, წმინდა ნიკოლოზს.

— ო, ბატონო, თქვენ ხომ უარს არ იტყვით ჩვენთან ჩაის მირთმევაზე! მე ძლიერ ვწუხვარ, რომ ვერ გაგიმასპინძლდებით Fine Napoléon-ით.

შემდეგ მე გავიგე მთელი მისი თავგადასავალი. იმპერატორ ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ, მან დასტოვა სასახლე, შეირთო (ოლად მდიდარი მორწმუნე ქალი. ჩქარა, დაქორწინების შემდეგ, თვალთმაქცურათ იცრუა, ვითომც (ოლმა სწორე გზაზე დააყენა იგი და გადასწყვიტა (ოლთან ერთად მონასტერში შესულიყო. უწინარეს ამისა კი მთელი საუხოვრებელი თავის სახელზე დაამტკიცა. (ოლი დასთანხმდა. როდესაც იგი სამუდამო ჩაკეტილ იქნა მონასტრის კედლებში. სამარინი გამოვიდა თავის სავანიდან, სადაც თავის წინდახედულობით, ჯერ ალთქმა არ ჰქონდა მიცემული. მიითვისა სასამართლო წესით მთე-

ლი ცოლის ჭონება და გასწია პარიზისკენ. იქ გაკუკნილებაში იცხოვრა ოცი წელიწადი, და გაფლანგა რა თავისი ჭონება, დაუბრუნდა ტულას, დასახლდა სოფელში და იწყო ცხოვრება თავის დების ხარჯზე მათსავე მამულში.

— მითხარით, ბატონო,—მკითხა მან.—პარიზი ისევ ისე მშვენიერია? ისევ ისე „psehut“? ისევ ისე „vlon“? ხმარობენ კიდევ ამ სიტყვებს? მეუბნებიან, თითქოს ეხლა პარიზში პირველი ალაგი ებრაელებს უკავიათ. გესმისთ, რას მოვესწარით? მე გამოვედი ჟოკეი-კლუბის წევრობიდან ბარონ-გუსტავის არჩევის დღეს. ის იყო მშვენიერი დრო, ბატონო.

სამოვარს, სამარინების ღერბით მოხატულს, თავისებური შიშინი გაჰქონდა.

— მშვენიერი დრო. ლატარია-დეკორატიულ ხელოვნების გამოფენაზე, მოლიეს ციკი; მასკარადი, მხეცების ნიღაბებით მთავრის ქალის — საგანსკისას. მე ვიყავი ჩაცმული თეთრ ვირთხათ. ბატონი დე ჟერმენი კი — მაიმუნის მსგავსათ შეუდარებელი იყო...

ანნამ დააპირა წამოსვლა. მაგრამ მოხუცებულმა მაგრათ ჩამჭიდა ღილში ხელი. ცხვირში მეცა რომის სუნი, რომელიც მას ამოსდიოდა პირიდან.

— მომიტევეთ, ბატონო, თქვენ ნუ იფიქრებთ, რომ სამარინის გვარეულობის წარმომადგენელი დაკმაყოფილებულად ჩათვლის თავის თავს თქვენისთანა სტუმრის ამგვარი დახვედრით. თქვენ უნდა მობრძანდეთ ჩვენთან კოზლოვსკში, ჩვენს მამულში. ჩვენ არ დავაყოვნებთ იქ დაბრუნებას. მე გაგიმასპინძლდებით იქ ტოკაის ღვინოთი, რომელიც მილებული მაქვს საჩუქრად იმპერატორ ფრანციოსებისაგან. მე მოგიწყობთ ნადირობას ჩემ ჩინურ კაკბებზე, ჩემ ზემმერინგის ხოხბებზე და გაჩვენებთ კიდევ ჩემ შველებს, ქალის რძით განაზარდს.

— მე მინდა რუსეთში დავბრუნდე, — აწუწუნდა ისევ მოხუცებული ქალი. აღტყინებული ამ მოგონებებით.

მეორე კი, თითების ჩვენებით მაკრატლის მსგავსად გაგრეხებულივით იმეორებდა თავისას:

— შენ მოგჭრიან თავს, ჟორჟინა, შენ მოგჭრიან თავს...

ჩვენ გავუდექით გზას. ისევ პერასკენ გავეშურეთ. ანნამ ხელი ხელში გამომდო. ყოველ ორმოცდა ათ მეტრის მანძილზე მე ვხედავდი ფანრის სინათლით განათებულს მის სახეს, ტილოს ქუდის ქვეშ რომ გამოიყურებოდა ფერმკრთალად. ქუდიდან გამოცვივნოდა ორი მოწითალო კულული. შავ ჯერსის კაბაში, რომელსაც სავსებით არ ფარავდა საგზაო პალტო იგი უფრო გამხდარი გეჩვენებოდათ, ვიდრე ნამდვილად იყო.

გულწრფელი გულგრილობა, თუ უარყოფა ხალხში სიბრალულის გრძნობის გამოწვევისა აჩლუნგებდენ ანნას დიად სევდას. ან შეიძლება ეს უგრძნობლობა იყო შედეგი მისი უზომო და უსაზღვრო ტანჯვისა და აგრეთვე სხვისი ტანჯვისაც, რომლის მოწამეც იგი იყო. მე დიდის სიხარულით შევსწირავდი მას თავს, გადავდებდი წასვლას და ვიზამდი ყოველივეს, რომ ბედთან შემერიგებინა ეს ადამიანი. მაგრამ მას, თითქოს სრულიად არ სწყუროდა შეიმსუბუქებინა თავისი ხვედრი და მუდამ, როდესაც მე ვცდილობდი ამ საგანზე გადაკვრით მეთქვა რამე, ვაწყდებოდი რალაც საიდუმლოს, რალაც დაფარულ და მტკიცე გარდაწყვეტილებას.

ჩვენ გვერდით მიდიოდნენ მეწვრილმანები, ყურძნით სავსე კალათები, რომ ეკიდათ ზურგზე. ყურძენი ბრჭყვიალებდა კალათაში ანთებული სანთლის შუქზე. ტუნელთან, რალაც დუქანი იზიდავდა თავისთან ქუჩის ბრბოს.

— აქ იმყოფება რუსების პრეს-ბიურო, — წარმოსთქვა ანნამ. — აგერ ვრანგელის ფრონტის რუკა.

განათებულ სარკმელში სჩანდა სამხრეთ-რუსეთის რუკა, რომელზედაც ფრონტის ადგილები ხაზად მოდიოდა ელიზავეტგრადზე, ლოზოვზე, სლავიანსკზე, ანთავისუფლებდა რა ყირიმს, ჰყრის ნავ-სადგურებს, მსუქანი შავი მიწის ჯვირვილის ნაწილებს და მაიონეულთა რაიონებს.

საჭიროა რწმენა, — სთქვა ანნამ, და ვრანგელთან ყოფნა. შეჰხედეთ ყველა ამ ადამიანთ: ისინი სცხოვრობენ მხოლოდ ამ იმედით.

— თქვენ ადიდებთ იმედს, ანნა, და თვით კი უარყოფთ მას.

— ჩემთვის უკვე ყველაფერი გათავებულია, — თითქმის უხმოდ წარმოსთქვა მან.

რუსები ჯგუფ-ჯგუფად იდგენ ქვა-ფენილზე, ბაასობდენ, კითხულობდენ დეპეშებს, ატყობინებდენ ერთმანეთს ყირიმიდან პაკეტბოტების ჩამოსვლას. ყველა ისინი ხარბად შესცქეროდნენ წითელ რუსეთს, რომელიც მათთვის წარმოადგენდა უძირო უფსკრულს, — უფსკრულს, საიდანაც მოისმოდა ხმა კივილის, ხმა სიკვდილისა, და საიდანაც არაოდეს არ მოსულა ცნობა მათზე, ვინც დარჩა იქ ტყვედ. და არც ერთხელ იმედის სხივი არ გაბრწყინებულა მათთვის. უსაქმონი, ბრბოს მონური ბუნების მიდრეკილებით, მუდამ მთვარეულობით შეპყრობილნი, ისინი იდგენ აქ შუა-ლამემდე, არა-ჩვეულებრივ, ტან-საცმელში, თითქოს უცნაურ ნიღაბთა სალამოსათვის გამოწყობილნი. ინტელიგენტები, ჭუჭყისაგან მიწეპებული თმით, თურქების ქალამნებში, რკინით მოჭედილ სათვალეებით ებლაუჭებოდენ სოციზმს. ვიღაც საეჭვო სლავენური ქალ-ვაჟი, უსაქესო, უწლოვანო, მალალ ქუსლებით, რომლებსაც მიჰყვებოდა ათას გირვანქიანი „კინგ-ჩარსლი“, ელაპარაკებოდენ ერთი მეორეს უხეში სიტყვებით, რუსის მეეტლეს რომ მოგაგონებდათ... და მერმე ეს, უკაცრავად ნუ ვიქნები, მუნდირები: ულანები — ხალათებში და ჩალის ქუდებში, ქვეითი ჯარის კაცები — სამოქალაქო ტანსაცმელში, რომლის ხავერდის საყელოზე მიკერებული ჰქონდათ პოლკის ნიშნები: ლენერალი — ფუფაიკით და ველსიოპედისტის ტანსაცმელში, გიორგის ჯვრით ყელზე, რომელსაც მიჰყავდა ხელით თავისი მოხუცებული დედა; ინტენდატის პოლკოვნიკები, მაგრად ყელშეხვეული შავი ფულარით, „სევასტოპოლის გაზეთებს“ რომ ჰყიდდენ... და თითქმის ყველა ამათ ჰქონდათ ის არაჩვეულებრივი, აღმოსავლური სახეები, რომლებზედაც არ გამოკრთება არც სევდა, არც მოუთმენლობა, არც ტანჯვა. მხოლოდ ერთად ერთი — უსაზღვრო დალლილობა.

რუსულ პრესს-ბიუროს შორი-ახლო პასსაჟის შესავალთან, ჩვენ გავჩერდით დუქნის წინ: „Polak's oriental Stores. მოდების სახელოსნო რუსეთიდან გამოტანილი საუც-

ხოვო ნივთების დიდი შერჩევა“. დარაბას უკვე ჰკეტავდენ. ჩვენ შევძვერით შიგ ნახევრად დახურულ რკინის კარებით. მაგიდას შემოსხდომოდენ პოლაკი და მისი შვილები — მატყლის მაგრვარი თმით და ჩასისხლიანებული თვალებით. ნავთის ლამპის სინათლეზე ისინი ეწეოდენ ნივთების ალწერას. ერთი მათგანი ამოწმებდა დღის განმავლობაში გაცემულ სესხს — ვერცხლზე, სურათებზე, ნოხებზე, საცვლებზე და კაბებზე, — ამ საბრალო, დაჭმუჭნულ პირისფერ კონკებზე, რომლებიც ეკიდა დუქნის სიბნელეში. სილრმეში გაფენილი იყო ბეწვეულობა: გაყვითლებული ყარყუმი, მოთელილი, ფერ-წასული სამური და უმთავრესად ის არაჩვეულებრივი მამაკაცის ქურქები, რომლის სიმძიმესა და ზომაზე დასავლეთში წარმოდგენაც კი არა აქვთ.

ანნას ბოლოს და ბოლოს დაუბრუნეს მისი თხუნელის ქურქი. საჩხული არ იყო დაროვეული და ძვირფასი ქალალდები ხელუხლებელი აღმოჩნდნენ.

თვალებზე ცრემლები მოერია.

— მე თქვენი დიდი მადლობელი ვარ, და ამასთან ვერ შევრიგებივარ იმ აზრს, რომ თქვენ დამეხმარეთ.

— მენდევით ანნა. თუ თქვენ წახვალთ პარიზში, იქ აღმოგიჩენენ დახმარებას ჩემი მეგობრები. და თქვენ მიხვალთ სტუმრად ჩემს მეუღლესთან, — დაუმატე ლიმილით. — თქვენ იქ ორთავე იბაასებთ ჩემზე, როგორც არის ეს ჩვეული თქვენ რუსულ რომანებში.

— მე წავალ პარიზში, მხოლოდ პირადათ ჩემთვის სთქვა ანნამ. — ეს იქნება ჩემი უკანასკნელი სიხარული. იმიტომ, რომ, ხედავთ, — და მან მიმითითა ხელით სადლაც „ოქროს რქის“ ზემოთ, სადლაც შორს, ბოსფორის იქით, ზღვის იქით, იმ გზაზე. რომელიც მან გამოიარა სტამბოლამდე—იმიტომ, რომ იქ მე არაოდეს არ დავბრუნდები. მე ვერაოდეს ველარ ვნახავ ჩემ სამშობლოს. და განა მე შემიძლიან სხვაფრივ მოვიქცე, როდესაც ჩემ წარსულიდან ფერფლიც კი ალარ დარჩა. მე ახალგაზრდა ვარ კიდევ, მაგრამ სავსებით ახალგაზრდა ალარა ვარ და ტყუილ-უბრალოდ არაფერს ვამბობ. რადგანაც თქვენ აღმოსავლეთისკენ მიემგზავრებით, და რადგანაც მეგობრად

გთვლით — მე ვალიარებ თქვენს წინაშე, რომ აქ, თქვენს დედა-ქალაქში, მე გეუბნებით უკანასკნელ მშვიდობას. პარიზში მე გავჩერდები ვოლტერის ქუჩაზე — სენასთან. რადგანაც წყლის ნაპირი ლუვრთან სალამოობით, განსაკუთრებით შემოდგომის დამლევს — მშვენიერია. მე ცოტაოდენ მოვაწესრიგებ ოჯახურ საქმეებს. ვინახულებ პეტრე დიდის ქუჩას, ეკლესიას, სადაც მონათლული ვარ. ჩემი იქ ჩასვლის ერთი კვირის შემდეგ, მე ფული თითქმის ალარ მექნება. სწორედ ამ დროისთვის მე ვფიქრობ თავის ჩამოლრჩობას და ჭარბად გამოცდილ უბედურების და ვაივაგლახის დასრულებას. მე იმედი მაქვს, რომ თქვენ იფიქრებთ ჩემზე ისევე, როგორც მე თქვენზე. მშვიდობით.

მან ალერსიანად გამისტუმრა სახლისკენ, და მხოლოდ ერთი წუთით მისი სილუეტი გამოიყო შავ წერტილად ლამის წყვდიადში, რომელმაც სამუდამოდ შთანთქა იგი.

გრიგოლ ცეცხლაძეს

ხმა პირველი.

გრიგოლ ცეცხლაძე! შენი დრო მიდის,
დარჩი დაჭრილი გულის ამარა;
ხარ ნაშვილები ცუდი ამინდის,
ცუდმა ამინდმა დაგასამარა.

დაბადებისას გული შენს სატრფოს
გადაუკეტეს რკინის სარაზით;
შენ გიყვარს, მაგრამ, ვიცი, არასდროს,
ის არ დაგატკბობს ნანატრ სინაზით.

უკანასკნელი ახლობელ კაცის
წაჰყვა ნუგეში საყვარელ მამას.
ავი სიზმრების ბადე გიტაცებს,
რომ ბოროტებით გული მოგშხამოს...

იქნებ დასწეროდი ვეფხისტყაოსანს,
ხალხს მოხიბლავდი ახალ ნესტანით,
მაგრამ ვინა გყავს გარიყულ მგოსანს,
შენი დალუპვა რომ იგრძნოს ტანით.

შემოახვია ფიქრმა მწუხარემ
ნისლის კალთები ნათელ გონებას,
გრიგოლ ცეცხლაძე, იტირე! —
ბარემ
ელოდენ მტრები შენს დალონებას.

ხმა მეორე.

გრიგოლ ცეცხლაძე! გმართებს სიმაგრე.
გლოვა-ტირილსაც მიეც საზღვარი,
შენ მწუხარება კი ნუ გადაგრევს, —
გეტყვი, არ მომწონს ქცევა აწვარი.

თუ ახლობლებში გამოერია
ბილწი, ულირსი, სულით მახინჯი,
შენ ნუ აჰყვები,
არაფერია,
იყავი მტკიცე, იყავი დინჯი!

წრფელ მეგობართა მუდამ ერთგული,
ახალ პოეტთა შენს თაობაში
საასპარეზოდ მომედგრებული
გამოდი ჩვეულ ბურთაობაში.

შენ ისტორია ვერ გაგიმეტებს
მტვერდასაფრქვევად დასავიწყარად,
თუ ახსენებენ პირველ პოეტებს,
„პოეტის ყეფაც“ იქნება მარად.

საუკუნეა ეხლა მეოცე,
და არის სწორედ შენი ამინდი.
შენ წითელ დროშას ადრე აკოცე,
ჯერ ბავშში იყავ, რომ მასთან მიდი.

ჩამონგრეული სასახლეები
პირად დიდებას არ მოგაგონებს.
არც ქალისათვის ღირს გახელება,
შენ რომ გალონებს.

წინ! — დაიბერტყე, ვით ფეხთა მტვერი,
სევდა წარსულის და წარმავალი,
თბილ გაზაფხულის სუნთქვით დათვერი
და მზე გიყვარდეს ამომავალი.

1928 წ. 1/II.

—:—

პეტრე ქუთათელაძე.

ნატეხები წარსულიდან

მე მაშინ ვიყავ მასწავლებელი
და მამასავით ვუვლიდი ბავშებს...
მიყვარდა მთები, მწვანე ველები
და სიყვარულში ვეძებდი საშველს...
მე მაშინ სული ნიავს მიგავდა
და პატარების ჟივილ-ხივილში,
თითქოს გულითო ჩიტი დამყავდა,
მავიწყდებოდა ტანჯვა და ვიში.

— ჩემო პატარა, შენ რატომ ტირი.
— არა მყავს დედა, არა მყავს მამა,
და ეს ცხოვრება მძიმე ტვირთივით
დამაწვა მხრებზე და გამაწამა...

ჩემო პატარა, თოვლივით წმინდა
დღეს ეს სოფელი რომ შენისლულა,
ხვალ მისი ძუძუ და დედამიწა
ალბათ შენს ბავშურ ფიქრებს შემუსრავს.

და ჩემს პოეტურ განწყობილებას
ვუზიარებდი სოფლის პატარებს:
— იცით, მე მიყვარს: ვინც რომ შობილა
და წმინდა გრძნობებს უბით ატარებს...
მე მიყვარს ხალხი, მე მიყვარს ყველა,
ვინც თვის სიცოცხლეს ბრძოლებს ანდომებს...
ბრძოლა შვებაა და ცისარტყელა,
ბრძოლა მტერს მარხავს, მტერს გაალოდებს,
და მაშინ ბავშებს ჩემი სჯეროდათ
და მეც, თითქოს მით ვალგადახდილი
ყურს მივუგდებდი შაშვს, რომ მღეროდა
და დიდხანს მქონდა თავი დახრილი...

დაბინდდებოდა მყუდრო მიდამო...
მხოლოდ გატეხილ თეფშივით მთვარე
ზანტად ღრუბლებში მიგორაობდა
და ცას ანდობდა თვის გულის სათქმელს...
ცა კი ყრუ იყო და ისე ცივი,
როგორც კუბოში ძვირფასის სახე —
სახე — რომელსაც ესმის სიცილი,
მაგრამ თვალებს კი მაინც ვერ ახელს.
და ჩემს მაშინდელ ლირიკულ განცდებს
მკვნესარ თარიღით მთებში ვფანტავდი...
ასე ვამბობდი: მე ავალ ცამდე
ოცნებით, მაინც თუ ავვარსკვლავდი...
და ჩემს სიყვარულს ვარდივით აზისს
იმ ლამაზ ქალს რომ სულში უფრინავს.
შემოვეხვევი ვით უსუფთაზი
და სასეირნოთ გავყვები ნიავს...

მაგრამ ოცნებას და გატაცებას
მუდამ სცვივოდა ფრთები ანცური...
მეც — გადაქცეულს წმინდა განცდებათ
გულს მიწყალებდა ღამე მაცდური...
და როცა მსურდა ბავშებთან ყოფნით
მეც სიხარულით გამევსო სული,
მესმოდა კვნესა მივარდნილ სოფლის
და შორს ქარიშხლის მძაფრი გუგუნი.
და ამ ქარიშხლით გამორკვეული
მე გავკიოდი ომახიანათ;
„დაჰქროლე, ქარო, ცეცხლის არულით
დასწვი უქმური ეს დრო და ხანა...
ხომ ხედავ ზღვები რომ ამღელვარდა
და ქარიშხალიც ჰქრის და გრიალებს...
ეს იმას ნიშნავს, რომ სოფლის სევდა
მთელად მოისპოს და გატიალდეს.

გესმით. — ვეტყოდი მე ასე ბავშებს —
დღეს უზარმაზარ რუსეთის სივრცეს
ცეცხლი ანათებს და ათარეშებს,
რომ ოქტომბერი თვის მიზანს მისწვდეს".

ასე ვიწყებდი ბავშებთან კამათს —
დარდს და მოლოდინს ვიმსუბუქებდი,
თუმცა ფიქრები მაინც სხვა გვარათ
მესტუმრებოდენ ღამის ბინდებით.
და მოლოდინში სასო-მიხდილი
მაინც იმედით ვუჭვრეტდი მთვარეს
მთვარეს, რომელიც თვალებ მიბნებით
გავდა კუბოში ქალს მწოლიარეს.

დეკემბერი.
1927 წ.

—:—

ორი ლექსი

1. ბრძოლისათვის.

გული, ნუ ეძებ განმარტოებას,
შენ გაქვს ვრცელი გზა დაუპყრობელი...
ისევ დგას მუხა მრავალრტოება
ტანხავსიანი-გაუპობელი.
და სანამ იგი დაბერდებოდეს
მზად უნდა გქონდეს ბასრი ნაჯახი,
მისი დამხობა გამოადგება
დაჩაგრულ ბუჩქებს ჩრდილში ნაჯახირს.
შეუჩვეველი არ ხარ გრიგალებს
და არ გაიქრო გულში კოცონი,
სანამდი ალარ გადაიდარებს
იყოს მღელვარე შენი ოცნება.
და ხდება ასე: გარე ქარია
ის, გეგონება შფოთავს შენს გულში,
მაგრამ გრიგალი, როცა გაიარს
უნდა გახსოვდეს რა მოხდა გუშინ.
თუ ქარიშხალმა ქედი მოხარა
და ცამ ღრუბლები ზღვისკენ გარეკა;
მოუთმენარ ძმებს უნდა ახარო,
რომ კვლავ ოქტომბრის ზარი დარეკავს.

2. სჯობს გავნადგურდე.

სჯობს გავნადგურდე
თუ იბინადრებს
ჩემშიც დროების
დამპალი ხავსი, —
მაგრამ მხედარმა
რისთვის ვიდარდო,
როდესაც ვდევნი
ჭაობით აღვსილთ...

—:—

სიმონ ჩიქოვანი.

მ ო ს კ ო ვ ი

II

მოსკოვი დიდი. კრემლი დგება მაიაკოვსკივით
რევოლიუციის ტალღებიდან ამობურთული
და ზღვა სივრცეებს არწივებით გადაკივლებულს
უგზავნის ცნობებს სამოქმედოს შურდულებივით.
იროგვლივ გონებით ასახსნელი საკითხებია
და რეკლამები გადაუკრავთ სახლებს შუბლებათ.
ბნელთა ტალღები კრემლს მრავალჯერ მოხთქებია
და ის დამდგარა ბოლოს მაინც თავისუფლებათ.
აშენებულან სიმაღლენი რკინის ძვლებივით
და შენობებიც გადახსნილან წიგნთა ტომებათ.
თითქოს დაიწყეს აზროვნების დიდი ბრძოლები
მოედნებიდან მოედნებზე გადატანილი.
ხალხი მოძრაობს და გუგუნებს როგორც ბუხარი
მთელი ქალაქი დატვირთულა შრომის ნაყოფით.
იკვრის მარქსიზმი. მეტყველებენ ბუხარინივით
და მილწევების რადიო სდგას აყეფებული.
სამუშაოზე ნივთი ხვდება აზრთა ბძარცველებს
ურტყამს „ნეპმანსაც“ გასუქება მოწადინებულს.
მირბის დროება — რკინასა და შრომას ავრცელებს
და პოლიტიკას პიონეროზს მოწოდებებით.
მოკვდეს ლირიკა — ემოცია დარჩეს სალონებს
უარი ოცნებას — თავის ქალას — სევდით ნესტიანს
ხმელთა გემებო — მოტორებო ჩემი სალამი
თქვენში ძალაა პროლეტართა მანიფესტების.

—:—

ილა მოსაშვილი

ღამე გომბორზე.

გეორგი ქიქოძეს

სალამო მოდის როგორც მთაში ქისტი ურჯული
შავი ნაბადით და ყაბალახით.
მინდა ამ ღამეს მიწა ვიგრძნო და ვეჩურჩულო,
ვწოვო ბალახი.
მთები დამსხდარან! როგორც კარის დარბაისლები
და გვიგზავნიან თეთრ ანგელოსებს...
შემოგვეხვია ტანზე ნისლები,
როგორც ფიქრი საქართველოზე.
დღეს ჩვენც ვიყავით ვაჟასავით მონადირენი,
ეხლა კი ვყრივართ ცისქვეშ, კალოზე...
თუ სადმე ყვირის ნატყვიარი მკერდით იორემი,
ღმერთო, დალოცე!
მწვადი იწვება, შეჰსევიან ცეცხლს შამფურები,
ღვინით სავსე მოდის მათარა.
მთვარეა როგორც გატენილი ძროხის ცურები,
ცა კი პატარა.
წინ ხის ჯამებით წვენი გვიდგა შესახვრეპელად,
იონჯა გვაქვს ძირს გაფენილი.
ჰაერში ელავს უთვალავი ოქროს პეპელა
გადაფრენილი...
დასაძირავად გვემუქრება უნაპირობა
და ტანს ამძიმებს ნაბადივით ღამის ბეწვები.
მოვწყდით არიფებს... იღუპება ჩვენი პირობა...
მშვიდობით! ძმებო, ვერ დაგვეწევით!
მინდორში ვყრივართ მუხლმოჭრილი მონადირენი,
ხოხბის ბუდობას გადასძახა სადღაც მამალმა...
ღმერთო, უშველე! თუ დაჭრილი სადმე იორემი
ღამემ დამალა...

—:—

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ

ნიკოლო მიწიშვილი.

აქტუალური საკითხები

I „დოკუმენტალური პროზა“

არსებობს თუ არა კრიტიკა საქართველოში?

მე მგონია, რომ არ არსებობს.

ამის შესახებ მე შევეკითხე ბევრ პოეტსა და მწერალს და მათი პასუხიც ასეთი იყო: დღეს ლიტერატურული კრიტიკა საქართველოში არ არსებობს.

გასაკვირველი აქ არაფერია, თუ მხედველობაში მივიღებთ ბევრს რამეს, რაც ამ გარემოებას გასაკვირად არ ხდის. მაგრამ ამაზე სხვა დროს.

მე სრულიადაც არ მინდა ამით ვაწყენინო იმათ, ვინც გვაკრიტიკებს მწერლებს, არც განზრახვა მაქვს ჩავერიო მათ ხელობაში, თუნდაც იმიტომ რომ დღევანდელი ზოგიერთი კრიტიკოსი სრულუფლებიანად ლაპარაკობს მასების, ხელისუფლების და რევოლიუციის სახელით.

რამდენადაც ამ ჟამად მხედველობაში მყავს ჩემი ამხანაგები — მწერლები, მე მგონია, რომ მათთან საუბარი ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე დასაძრახი არ უნდა იყოს და თუ ამ საკითხებზე ვილაპარაკებთ კრიტიკოსების თითის გარეშე, — ეს არ უნდა ჩაგვეთვალოს, როგორც „ბუნტი“ კრიტიკოსების წინააღმდეგ. ხოლო თუ მოისურვებენ — ანკეტა კრიტიკის შესახებ შეიძლება განმეორებულ იქნას.

მაშ ასე.

საქმე ეხება ერთ საინტერესო კითხვას —

— როგორი უნდა იყოს თანამედროვე პროზა, რა გზით აპირებს იგი სვლას და რა მიმართულება ეხატება უახლოეს პროზას აქ, საქართველოში?

ალბად ეს კითხვა ხშირად წამოჭრილა ყოველი თანამედროვე მწერალის წინაშე, განსაკუთრებით რევოლიუციის შემდეგ. იგი დღესაც ყორანივით დასჩხავის თავს ყოველ ჩვენგანს. მწერალი იბრძვის, ეძებს გამოსავალს, სცდილობს, მაგრამ ცხადი ხდება, რომ ამ კითხვის დაძლევა ადვილი არაა და ცხადია ისიც, რომ ამ ჟამად ეს კითხვა ოდნავადაც არაა გადაჭრილი. არამც თუ გადაჭრილი — სერიოზულად არც კი აღძრულა იგი ჩვენს ლიტერატურაში.

ჩვენში ლიტერატურას სამხედრო კომუნიზმის თვალითა და განწყობილებით უყურებენ და მწერლებს აფასებენ მათი ფიზიკური, თუ ანკეტური თვისებების მიხედვით; ჯერ კიდევ არ დათავებულა მწერლობის პერსონალური „სორტიროვკა“, შინ დატოვება და კურთხევა, თუ მისი ლიტერატურიდან განდევნა და, რასაკვირველია, ამ წმინდა ლიტერატურულ თემისათვის ვინ მოიცლიდა.

არა და საკითხი სერიოზულად სდგას. განსაკუთრებით მათთვის, ვისაც წერა უნდა და ვინც სულიან ხორციანად დღევანდელ ხანაზეა შედუღებული.

გამოვათრიოთ ეს საკითხი გარედ — მწერლებო, კრიტიკოსებო, განსაკუთრებით კი — მკითხველებო. უშველოთ ერთი მეორეს და მოვეხმაროთ.

„სთქვით რამე“.

მეც დავიწყებ ისე, როგორც შემიძლია და მეხერხება.

აქვე ერთი განმარტება: თუ ხანდახან ჩემი მხატვრული პროდუქცია მოვიშველიო. როგორც ჩემთვის უახლოესი მასალა ალებული თემის გასაშუქებლად — ნუ ჩამეთვლება ცოდვად. მწერალს ეს ეპატიება. კრიტიკოსს მგონი — არა.

მაშასადამე — პრობა. და ჩაწკრიალებული კითხვები:

— რის შესახებ უნდა სწეროს მწერალმა?

— მწერალმა უნდა აღწეროს უმთავრესად თავისი დრო და ამ დროის ხალხი.

— რა ახასიათებს დღევანდელ ეპოქას, ან როგორ ეპოქაშია მოქცეული ჩვენი ცხოვრება განსაკუთრებით რევოლიუციის შემდეგ?

— ეპოქაში, რომელსაც ახასიათებს საქმე და საქციელი. მოქმედება. ფაქტი — ფაქტოლოგია; ეპოქაში, საიდანაც განდევნილია ზეცა და სადაც ყველაფერი იზრდება უფრო არა სიმაღლეში, არამედ ფართო სივრცით — სოციალურად გათანასწორებულ ადამიანთა შორის.

ალმზრდელობითი მნიშვნელობა ლიტერატურას ეკარგება, რადგან ყველაფერი რაც საჭირო იყო ამ დარგში და რისთვისაც იბრძოდა ძველი ლიტერატურა, — მოახდინა რევოლიუციამ, დაიბევა და დაეპატრონა მას.

ასე რომ „писатель вития“ — მოკვდა. მოკვდა იგი, როგორც მოციქული, როგორც „ზეციერი“, ერის წინამძოლი და ქურუმი. და ასეთი მწერალი დღეს ხალხისათვის ალარაა საჭირო.

თუ ოდესლაც მწერალი ფართო მასებზე მაღლა იდგა და მათ ალზრდას და მესვეურობას ლამობდა, დღეს მწერალის ჭეშმარიტი გზა დაბლა დგომაა. მწერლის მიზანი და მისი ქმნილების ნებისყოფა დღეს არა „ქვედა ფენების“ ზევით ალწევაა, როგორც ეს ესმოდათ რევოლიუციამდე. არა ნაროდნიკულად გულზე მუშტის ბრაგუნი, არამედ ცხოვრების სწორ ალმწერლობა. სინამდვილესთან სიახლოვე და მისი ცოდნა, მისი უტყუარად გადმოცემა. ერთი სიტყვით — დოკუმენტალობა. ფაქტოლოგია.

მე ვამბობ (და არა მარტო მე) —

კარგი რომანის დაწერა ტრადიციული ხერხებით და გაგებით დღეს შეუძლებელია. თითქმის ასივე შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ ასსავე დამარცხებას:

დიდი ეპოქაა დღეს — რა თქმა უნდა. დიდი ტილოებია გაშლილი მხატვარისათვის და ყოველი მწერალი ოცნებობს მაზე, რომ დასწეროს ისეთი რამ, რაც კონგენიალური თუ არა, ანარეკლი მაინც იქნება იმ ეპოქის, რომელთანაც ის უახლოეს კონტაქტში იყო.

მხოლოდ ასეთი ნაწარმოები რჩება და მხოლოდ ასეთი უმკლავდება წელთა დენას.

რას ვხედავთ დღეს.

ვხედავთ—მართლაც დიდია მოსავალი და უხვი. მართლაც შლილია თემა და მიმზიდველი. მაგრამ გამოთქმა ამისა, მისი გადმოცემა, გამოქვეყნება, ფიქსაცია ამ სიდიადის — სჭირს. აქ უძლურია მწერალი, რადგან ძველ ფორმაში ახალი თემა არ ჩერდება, არ სურს ჩაეტიოს, არ ეთავსება მას ძველი ტანსაცმელი და ახალი კი შეკერილი არაა. ვერ მოუნახავს მწერალს ეს ახალი ფორმა, ხოლო მარტო ნიჭი ამ საკითხში გადამჭრელ როლს ვერ თამაშობს.

ამავე დროს წერა საჭიროა. მწერლობაც გვჭირდება და ყოველ მწერალს გულში უძევს არა ერთი — მთელი რიგი რომანების.

რაშია საქმე?

საქმე ისაა, რომ **გამოგონილ ამბავს სჯობნის ნამდვილი ამბავი.** ის, რაც გუშინწინ დ გუშინ განვიცადეთ და ვნახეთ თვითეულმა ჩვენგანმა და რისი მოწმე დღესაც ვართ.

რა უნდა უქნა ამას.

როდესაც მწერალს დიდი ტილოს დახატვა უნდა და ალაგებს პერსონაჟებს სამოქმედოთ — ყველაზე უფრო საინტერესო სწორედ ის პასაჟები გამოდის, რაც სინამდვილეში იყო, რაც ფაქტი იყო. და ლირებულება — სადღეისო და სამერმისო — სწორედ ამ ფაქტებს და არსებულს ეძლევა.

და თუ ეს ასეა — გაუმარჯოს ფაქტებს, დოკუმენტს. და მწერალს სურს მიყვეს კეთილსინდისიერად და აღწეროს, როგორც მემატიანემ, თუ „რა იყო“.

მაგრამ იქვე კალამი ხელში უვარდება მას:

— სადღაა რომანი, სადღაა შემოქმედება და მხატვარი. ეს ხომ უბრალო მემუარებია, ავტორიოგრაფია, დოკუმენტი. ხომ მოეჭრა მწერალს თავი, ხომ შეილანძღა ესთეტიური ფუძეები ხელოვნების, ხომ შეირყვნა სათნო სახე „არტისტიზმის“ და სახელი მწერლის.

და მწერალი ხევს ფურცლებს, სადაც იწერებოდა ამბავი მისა, თუ „რა იყო“ და რა ნახა მან ცხოვრებაში.

არა და სადაა გამოსავალი?

ფიქრობს მწერალი და ერთი დასკვნის მეტი, თუ იგი სინდისიერათ მსჯელობს, მას არა აქვს: ცხოვრება დღეს იმდენად საინტერესო შეიქნა, რომ თუ მწერალმა შესძლო ამ სინამდვილის მხატვრული ხელით და კარგის ენით აწერა — ეს სინამდვილე ყოველთვის დასჩაგრავს და წაახდენს გამოგონილი გმირის ისტორიას, იმდენად ამაღელვებელი, იმდენად წარმტაცი და მოულოდნელობით სავსეა იგი.

ეს ფაქტია და იგი მოითხოვს თავის უფლებებს.

ეს გვაიძულებს ჩვენ ვიფიქროთ მასზე, თუ რა გზით შესძლოს ლიტერატურამ ცხოვრების ასახვა, მისი ხორც შესხმა მომავალი თაობისთვის.

რა სახე, რომელი ახალი ჟანრი უნდა შემოვიდეს თანამედროვე პროზაში, რომ გაამართლოს მან თავისი დანიშნულება, თუ, რასაკვირველია ძველი ხერხების თანამედროვეობასთან მისადაგება შეუძლებელი შეიქნა.

მე ვფიქრობ ეს ჟანრი შემოვა მწერლობაში და მე უწოდე მას — „დოკუმენტალური პროზა“.

ჩვენს მწერლობაში მე ვსცადე მომეცა ასეთი პროზის ნიმუშები. („თებერვალი“, „ეპოპეია“ ნაწილობრივ „გაკვალება“, ლირიული-დოკუმენტალური პოემა „შავი ვაფსკვლავი“) და, როგორც აღნიშნავენ ამ დარგში ჩემი (და იყო პირველი. ამ ფაქტს ჭონდა საკუთარი გზები და მიზეზები, რაც ეხლა არაა საინტერესო, მაგრამ როცა თვალს გადავავლებთ თანამედროვე რუსულ ლიტერატურას, ოქტომბრის შემდეგ წარმოშობილს, ხედავთ, რომ **იქ სწორედ ეს ჟანრი იმარჯვებს** მხატვრულ პროზაში.

რას უწოდებთ თქვენ ფურმანოვის ეპოპეიებს, ბაბელის, ფედინის, თუნდაც ლიბედინსკის და სხვათა წაწერებს? რა ჟანრის არიან ისინი?

გამოუკვეველია. ყოველ შემთხვევაში ეს არაა ბელეტრისტიკა იმ გაგებით, როგორც ეს დღემდე სუფევდა.

ამავე დროს ამ მწერლებს ყავს დიდძალი მკითხველი, და არა ისეთი, რომელიც მისდევს სენსაციასა და ეკზოტიკას (მკითხველი პორნოგრაფიასაც ბევრი ყავს), არა, ეს ისეთი მკითხველია ვინც მათ ნაწერებში თვითონ მოქ-

მედობს, ხედავს საკუთარ თავს; ვინც ხშირად კიდევაც იჭერს მწერალს სიცრუეში — აქ მართალი სთქვა, აქ მოიტყუა — ერთი სიტყვით აქტიური მკითხველი. და უდაოა ერთი რამ კიდევ. ამ ნაწერებში მოცემულია **ნამდვილი ცხოვრება,** ეპოქის სული, მისი მთავარი და მისი არსი. და მოცემულია ისე, რომ „ნამდვილი შემოქმედება“ მასთან შედარებით „ხალტურის“ შთაბეჭდილებას სტოვებს.

დიახ. მთელი თანამედროვე რუსული ლიტერატურა — ოქტომბრის ღერძზე დაბჯენილი — ატარებს მეამუარულ ხასიათს, მას ქრონიკის, ავტობიოგრაფიის ელფერი სდევს, და ასეთგვარი ლიტერატურული ფაქტი გვეჩვენება დღეს და რჩება მომავლისთვისაც, როგორც სოციალური მნიშვნელობის დოკუმენტი. თუ გნებავთ „ადამიანის დოკუმენტი“ მხატვრულ ჩარჩოში მოთავსებული.

მე მწამს, რომ გაიმარჯვებს ასეთი პროზა. ვინაიდან ამ საუკუნეს უმთავრესად ასეთი ხასიათის წერა ეგუება: ნერვიული, ამაღელვებელი, სავსე ფაქტითა და სიმართლით.

ნურც იმას იფიქრებს ვინმე, რომ კერძო ადამიანის ცხოვრება აქ უმნიშვნელო იყოს. ჩვენ ვიცით ლიტერატურაში უმშვენიერესი წიგნები დოკუმენტალური, ავტობიოგრაფიული, მემუარული ხასიათისა და ამით ისინი არც უდროოდ ბერდებიან, არც კარგავენ თვის დიდ მნიშვნელობას ლიტერატურაში.

მე არ შევეხები **კაზანოვას, სტერნს, ჰეინეს, გონკურებს, მორანს, ბეროს, მ. ორლანს, პაპინის** და სხვ. ევროპიელებს წარსულში და დღეს, მაგრამ ჩვენ ყველანი ვიცნობთ **ტოლსტოის** „Детство“-ს, **რადიშჩევის** „Путешествие“-ს, **გონჩაროვის** „Фрегат Паллада“-ს, **ჰერცენის** „Былое и думы“, **დოსტოევსკის** „Записки из Подполья“ და „Летние Размышления“-ს **ტურგენევის** ნაწარმოებთ, **პუშკინმა** და **ლერმონტოვმა** ხომ შედევრები მოგვცეს ასეთი ჟანრის წერისა; ჩვენში — **აკაკის** „თავგადასავალი და **ილიას** „მგზავრის წერილები“, რომელნიც დარჩენ და დარჩებიან.

და უმეტეს მათგანს ავტობიოგრაფიული, მემუარული, დოკუმენტალური პროზის ბეჭედი აზის. და ამ პროზაში სჩქეფს თავისი დროის სისხლი, რომელიც დღესაც გვათბობს ჩვენ თვისი სიმხურვალით.

მე არას ვიტყვი **როზანოვზე** და მთლიანად მისგან გამოსულ **ვიქტორ შკლოვსკიზე,** რომელნიც ამავე დებულების დამამტკიცებელი მაგალითები არიან.

ამ რკალში სდგას **ანდრეი ბელიც,** რასაკვირველია თავისებური განათებით.

ადამიანი დღეს ვერ გაექცევა საკუთარ ამბავს. და ცხოვრების თანდათან დაწყნარების პროპორციით, მას ეხსნება ენა და ლაპარაკობს იგი საკუთარ თავზე.

ეს მოსდევს ყოველ დიდ ეპოქას და ამგვარი ეპოქების სურნელება, უფრო ასეთი ადამიანის მართალ ამბავშია ძიცემული, ვიდრე გადაქაჩულ და ულვაშ ნაგრეხ „შემოქმედებაში".

თვით ტოლსტოი სწერდა — „მე მგონია ოდესმე საზოგადოთ უკუაგდებენ მხატვრულ ნაწარმოებთა გამოგონებას. უსინდისობათ გადაიქცევა ვინმე გამოგონილ ივან ივანიჩის, ან მარია პეტროვნას ამბების შეთხზვა... შემდეგში შეთხზვას კი არ დაიწყებენ, არამედ მხოლოდ მოგვითხრობენ იმ მნიშვნელოვანსა და საინტერესოს, რისი მოწამეც ისინი ყოფილან ცხოვრებაშიო".

გონჩაროვმა ერთხელ სთქვა —

„Писал свою жизнь и все, что к ней приростало"...

გორკის მაგალითი საზოგადოდ და კერძოდ მისი „Мои университеты" — კიდევ უკეთესი დამტკიცებაა ამისა.

დღეს კი პროზის საერთო ძირითადი ტენდენცია ამ მიმართულებით მიდის და, როგორც ეტყობა, ეს გარდატეხა შემთხვევითი არ არის.

ვფიქრობ. ამ საკითხზე ჩვენი სალიტერატურო პრესა უფრო ვრცლად გამოსთქვამს თავის აზრს.

—:—

ვასილ ბარნოვი.

„გველის მჭამელი“ ვაჟა-ფშაველასი.

(მონოგრაფია).

*

* *

სასტუმროს იყვნენ ხევსურნი. სვამდენ, ლრეობდნენ. უკრავდნენ ფანდურს, დაჰმღეროდნენ საგმირო ამბებს. ვინმე სახელმკრთალი მოსჩანდა მათში. წინ ედგა ჩოქით თავშიშველი, თასს მიუპყრობდა.

— შესვი, მინდიავ! კაი ლუდია სვიანი.

ტყვეობიდან დაბრუნებულიყო მინდია, ძმებში ყოფნითა სტკბებოდა. თორმეტს წელს ჰყვანდათ ქაჯებს ტყვედ. ფრიად დაჩაგრა, აწამა სამშობლოს გარეთ ყოფნამა, გული დაუდნო მონობამ. სთქვა: აქვე თავსა მოვიკლავ!

ქაჯთ ქვაბი ედგათ ცეცხლზედა, გველსა ჰხარშავდნენ საჭმელად. იფიქრა, გველის ნაჭერი მას ექცეოდა ჭირადა. აილო, ზიზღით შეჭამა და....

ახალი სული ჩაედგა! ესმის დღეიდგან ყოველი, რასაც მფრინველნი იტყვიან, ან მცენარენი, ცხოველნი. რაც შეუქმნია უფალსა სულიერი თუ უსულო, ყველაფერს ენა ჰქონია!

შეიგნო სიბრძნე ქაჯების ამიერიდგან ტყვემაო. მას მუსაიფი დაუწყო ცამ, დედამიწამ, ტყემაო. მხოლოდ ბოროტმა მის გულში ვერ მოიკიდა ფეხია. ვერ შეიმაგრეს ქაჯებმა, განთავისუფლდა მინდია.

მალია ტყვიასავითა, გრძნეული, როგორც გველია. ალმერთებს, ნუგეშად ჰსახავს ფშავ-ხევსურეთი მრთელია.

იცის მტრის დასამარცხები და შემმუსვრელი ფანდია. თუ დაჭრილს ცოცხალს მიუსწრო, ნუ აქვს სიკვდილის დარდია.

როცა კი გაზაფხულდება, მოიკაზმება ქვეყანა, ყვავილნი ყელგადაგდებით მოუყვებიან ტიტინსა, მე ვარო ამის წამალი, სხვა გაიძახის — იმისი. თურმე ზნედა სჭირთ ყვავილთა: ოლონდ ეწამლონ სნეულთა, არად აგდებენ სხეულთა. როცა ყანის მკას დაიწყებს, თავთავნი ეხვეწებიან: მე მომჭერ, ჩემო მინდიავ! სხვა ევედრება: ნუ მტოვებ! კვლავ სხვა იძახის: ნუ მწირავ! ჰსურთ პურად იქმნენ, საჭმელად. მინდია გახელებული ფსრულებს კეთილთ სურვილსა. ხეს ნაჯახს დაჰკრავს, მოესმის: ნუ მომკლავ, ჩემო მინდიავ! დაუდუნდება მკლავები, ხელცარიელი წამოვა. სხვებსაც მას ურჩევს: ნუ მოსჭრით, ხესაც ხომ სული უდგასო.

ხევსურთ გააბეს მსჯელობა გველისმჭამელის ცოდნაზედ:

— ენა თუ ჰქონდეს ხე-ქვასა, ჩვენ რად არ გაგვიგონია?

— ვსთქვათ სიბრალული კარგია ხეთა, ბალახთა, ცხოველთა. კაცის კვლა ყველასა სჭარბობს. არ უნდა ვკლავდეთ მაშ მტერსაც.

—ვკლავთ იმას, ვინაცა ჩვენსას დაარღვევს შვებასა, ვინც მამულს გვართმევს, ან საქონს, ან გვიშლის სჯულის ცნებასა.

— მინდია სცრუობს სწორადა!

— მაგ ფიქრს რომ მივყვეთ, შენს მტერსა, როგორლა გვეცხოვრებისა?!

მინდია იქავე იჯდა. თვალთაგან ცრემლი სდიოდა.

— თუ გესმის ჩვენი ნათქვამი? ნეტავ რაზედა სტირია?

— ყურს უგდებ აგერ იმ ჩიტებს. ერთი მეორეს უამბობს სიკვდილის ამბავს შვილებზედ. თქვენს მტერს, რომ გულმოკლულადა შვილებზედ სტირის მშობელი.

ჩიტებთაგანმა იმდროსა ერთმ განუტევა სულია. ხევსურთ შეხედოს ერთმანეთს, დარწმუნდნენ იმის ცოდნაში: საქმე წინ ედვათ ყველასა. მაგრამ ნაგრძნობსა გულითა

გონებით ჰშველენ ვერასა: ბალახსა სთიბვენ, ნადირს ჰკვლენ, შეშით ანთებენ კერასა...

ბევრჯელ მოუხდათ ლაშქრობა ლეკ, სპარსებ, ქისტებ, თურქთანა. გამარჯვებულნი მოდიან ხევსურეთს ვაჟნი მუდამა. მანამ მინდია ჰბელადობთ, ხევსურებს არა უშავ რა.....

ფრიალოს თავსა სახლი სდგას, ცას ებჯინება ბანითა. სახლზე კოშკია მიდგმული. მოისმის რაიმ ჯავრობა:

— ის დღემც გაშავდეს, რასაც დღეს შენ მე დაგისვი ცოლადა! შენგნით მჭირს ჭირი უწამლო. ცოლ-შვილი ჭირად გამიხდით, შემაცვლევინეთ ფიქრია. იმადვე ყოფნის, რაც ვიყავ, ნეტავ ვიცოდე წამალი!

— მე რად მაბრალებ თვის ბრალსა?!

— იმას სჩიოდი, სტიროდი: სიცივე ბალღებს მილევსო; ბერდიას რამდენ შეშა აქვს, როგორს ცეცხლს ანთებს, ვნახვიდი. ცხოვრების მაგალითადა ბრიყვები დამისახიდი. და მეც ჩემ რწმენას ნელინელ მოვექეც მელაობითა: დღეს მოვსჭერ ეთი ჭანდარი, თუმც მემუდარა ბევრია; ხვალ ორი მოვჭერ და ესე გული ჩავიდევ ქვისაო. შენ ჯიხვის ხორცსა ჰნატრობდი, მეც მივყევ, ვხოცე ნადირი.

— და რაი გიჭირს ისეთი, თავს რად იტკივებ ძალადა?! შეშის ჭრას, ნადირთ ხოცვასა სხვან რად არ სთვლიან ბრალადა?

— განა არა ჰლირს, ვიგლოვო თვისი ცოდნა და ძალია, რომ ჩემთან ეთიც მათგანი ეხლა ალარსად არია?! ყვავილნი არას მეტყვიან, ალარ რა მესმის მფრინველთა, არც ყანად ამჩქამდებისა...

სოფელში ხმაურობაა: ქისტების მოდის ლაშქარი! დახვედრა უნდა მტერსაო. დიდი მზადება შეექმნათ. ხალხი ზღვასავით ღელავდა. საით მხარესაც გაჰხედავ, თოფი და ხმალი ელავდა. სოფლად მილაგდნენ ყველანი. კოშკ-ციხეები ჰფარავენ. ცხვარ-ძროხას, საგანძურებსა ფარულ ადგილას ჰმალავენ.

— სად არის გველის მჭამელი?...

ცოტა რამ მკრთალი ნათელი ხახმატს ხატშია ჩნდებოდა. სანთლებ ანთია ყორეზედ. ხატის კარს ორნი ჰყუ-

დიან. ერთს სისხლიანი ხანჯალი უპყრავს,სისხლი სცხავს ხელზედა. მათ წინ დაკლული კურატი წამოწოლილა გვერდზედა.

— წყალობა მოგცეს, მინდიავ, რა ფიქრითაცა სწირავდე! მგონია, დაჰკალ მეათე, კაცო, გაწყვიტე საქონი.

— ყევარი ხარი კიდევ მყავს სამი თუ ოთხი ფურები, იმათაც აუსახელებ, ოღონდ მომირჩეს წყლულები.

— რა წყლული, კაცო, შენ წყლული?!

— სხვა რამ საქმეა, ბერდიავ, ადვილ ვერ ათქმევ ენასა. ხვალე, ხვალ-ზეგავ გაიგებ.....

კოშკში მოჩანან ქალები, როგორც ყვავილნი მთისანი. სძლევენ მტერთ თუ ვერ ხევსურნი, მათ საუბარი ის არი. სათოფეებით ჩაჰმზერენ მოუსვენარად ჭალასა და ავედრებენ თავის ჯარს ღვთისა და ხატის ძალასა.

— მზიავ, გულშემოყრილი ხარ შენ უფრო სხვაზედ მეტადა. შენ ქმრის მინდიას მომკვლელი ჯერ არ გაუზრდავს დედასა.

— ვაჰ თუ ველარ იჭაბუკოს, ისეთ სიზმრებსა ჰხედავდა. ცუდ გუნებაზედ დამდგარი თავის ხორცს კბილით ჰკვნეტავდა. ველარ ვარგებო ქვეყანას, თქვენგან ცოდვაში შევედი: შეშა ვსჭერ, ნადირი ვხოცე. როგორც უბრალო რამეო, ყვავილნი ხმას ალარ მცემენ, ალარც ვარსკვლავნი ღამეო.

— ქვეყნის ცოდვაში ჩამდგარხარ: ჩვენ ხომ ვართ იმის ძალითა.

— ის ცოდვა რად უნდა იყოს, ფიქრი რომ მივეც გარჯისა?! ცოლ-შვილი თუ უნდ ვაჟკაცსა, შნოც უნდა ჰქონდეს ხარჯისა.

— მოდიან, მოდის ლაშქარი. ღმერთო, დასწერე ჯვარია!....

შემკვრივდა მთაზე ლაშქარი. დიდს ვაკეზედა გროვდება. იქვე შეიქმნა თათბირი მტრის დასახვედრელ წესზედა.

— მინდიავ, მუდამ შენ გვირჩევ, არც რა ზარალი მოგვსვლია. გვითხარი, როგორ მოვიქცეთ!

— მე ვერას გირჩევთ, ხევსურნო: აღარ ვვარგივარ მრჩეველად. ის სხვა დრო იყო, სხვა ჭკუა.

— ღმერთიმც გაუწყრეს, ვინაცა არ მიჰყვეს შენსა რჩევასა!

— სხვას ვერას გირჩევთ, დაუხვდეთ ქისტებს მოწამლულ ხევშია.....

ორი დღე არის, მთის იქით მეტად სასტიკი ომია. ხუთსა თუ ექვსსა ხევსურსა შემურვილებსა სახითა კაცი მოჰყვანდათ ხელდახელ შეკრული ყაბალახითა. პირაქად გადმოიყვანეს, დაბლა დააგდეს ვაკეზედ.

— კაცო, რად იკლავ ძალად თავს?! შიგნით რომ იწევ მტრის ჯარში, ხომ ჰხედავ, რასა სჩადიან...

ომში გაბრუნდნენ ხევსურნი. ტყვემ შეისრულა წადილი: ორივ ხელები გაიხსნა. წამოდგა, სოფლებს გახედა. ცეცხლები. ცუდი ნიშანი. ხმლის ტარს შეეხო ცერითა, ამოიწვადა ქარქაშით. გულს მიიბჯინა წვერითა. მკერდიდან სისხლი, ვით წყარო, გადმოუვიდა ჩქერითა.

ეს არის შინაარსი პოემისა.

*

* *

ყოველი არსი სამყაროში წარმომდინარეობს ერთისა და იმავე დასაბამიდან, რომელთ არის მარადმქმედი ძალა მიუწთომელი. იგი ძლიერება სავსებისაგან თვისისა წარმოშობს ყოველ ქმნილებას და განავითრებს. მთელი მსოფლიო და არსთა სავსება მასში იგივე შემოქმედია, მხოლოდ ცხადქმნილი თვის ქმნილებებში. აქედან: ყველა არსთა შორის დამყარებულია ბუნებრივი კავშირი განუკვეთელი; ადამიანიც შედუღებულია ქმნილებებთან, როგორც ერთერთი სახე შემოქმედის განსახებისა.

იგი შემოქმედი ძალა ყოვლადძლიერი წარმოშობავს თავის ბუნებიდან ორღანულ არსებათა სიმრავლესაც, არაორღანულ არსთ უამრობასაც. ქმნილებათა ამ ორ წყობათა შორის არ არის ძირითადი განსხვავება ვითარებითი: არაორღანული თავის განვითარების დაუსრულებელ სა-

ვალზედ გარდაიქმნება ორლანგულად და მიაღწევს უმწვერვალეს გარდაშლამდინ ძალებისა: შეიმოსავს ცნობიერებას.

ნივთიერი შემადგენლობა არსისა და სულიერი მისი ბუნება ერთისა და იმავე დაუსაბამო დასაბამიდან მომდინარეობს, ორნივენი გამსჭვალულნი არიან ერთისა და იმავე ცხოველსმყოფელი სხივით ყოვლად ნათელ შემოქმედისა. გარჩევა მხოლოდ იმაშია, რომ პირველ არსი ნათელი საცნაურ იქმნება ზოგან მეტის სიცხადით, ზოგან ნაკლები მკაფიობით, რადგან ზოგი ქმნილება უახლოვესი მომდინარეობა არის შემოქმედ ნათელისა, ზოგი უფრო შორეული.

პირველნიც, მეორენიც მაინც დაჰშორებიან შემოქმედ ნათელს უბინდოს და ამის გამო მათ არსებას განუყრელად ასდევს აჩრდილი ბნელისა, რომელი არის უარყოფა ნათელისა თუ კეთილისა. არსი ყოველი განუწყვეტლად ისწრაფის აიშოროს თავის ბუნებიდან ბნელი, დაუახლოვდეს პირველ არს ნათელს ყოვლადკეთილს, კვლავ შეუერთდეს მას, შთაინთქოს მასში და მით ეწიოს ნეტარებას დაუსრულებელს.

ადმიანის პიროვნებაში ჰფეთქავს მთელი არსის სიცოცხლე; იგი სცხოვრობს ერთსა და იმავე სიცოცხლით მთელ მსოფლიოსთან ერთად. ადამიანის ქვეცნობიერება არის მთელი მსოფლიოს ძარღვის ცემა, რომელი შიგადაშიგ გადმოიფინება ცნობიერებით გაშუქებულ არეში.

დასკვნა: სიყვარული ყოველი არსის, მასთან ძმური თანამშრომლობა. შეისწავლე ყოველი ქმნილება, რომ შეიგნო კავშირი მასთან და შეიყვარო. გაჰყევ სიყვარულს! ნათელ გზაზედ გატარებს იგი. მთელი ბუნებაც გამსჭვალულია ამ დიად გრძნობით: ნივთთა შორის მიმზიდველობა სიყვარულია შეუგნებელი; აღზნებული სიყვარული უტეხი მიმზიდველობაა შეგნებული.

ღირებულობა პიროვნებისა ვერ შეფასდება მხოლოდ პირად კეთილდღეობით, იგი ფასდება პიროვნებისაგან მოტანილ საერთო კეთილით, რადგან მას ბუნებრივად განუკვეთელი კავშირი აქვს ყოველ არსთან. მხოლოდ ამ

გზით მრავლდება კაცთა ნათესავში, მთელ ქმნილებათა მორისაც, ნათელი მხიარული და იზღუდება ქუფრი ბოროტი. მთლადაც მოისპობა იგი ბნელი ჟამთა დასასრულს!

ძნელი გზა ეკლიანი!

იბრძვის უკუნიც თავგანწირულად. ჰსურს ამრავლოს ბოროტება და დააჭროს იგი ნათელი, რომელი დაჰყოლია არსს ყოვლად სახიერ ნათელისაგან. შეჰმართებენ სახელოვნად ნათელთა შვილნი ბნელისაგან მოვლინებულ პირქუშ მებრძოლთა. ჟამთა ბოლოს საბოლოვოდ გაიმარჯვებენ!

ესეთია ალმოსავლეთის ძლევამოსილი სარწმუნოება.

ქართველ ხალხსაც ეს რწმენა აქვს იმთავითვე შეთვისებული: აზიის უფროს შვილთაგანია იგი!

*

* *

ამ მსოფლმხედველობაზედ არის დამყარებული დედა ჰაზრი პოემისა: „გველის მჭამელი“.

ქართველთ ზღაპრებში რამდენიმეა ისეთი, როდესაც მოქმედს რაიმე მანჭანებით გაეხსნება ნიჭი ცოდნისა. მინდიას გველის ხორცი შეექმნა საბაბად ზემეცნიერების მოპოებისა. აზიურ ძველისძველ თქმულებებში გველი ნიშანი არის სიბრძნისა, ბოროტად მოხმარებულ მეცნიერებისა.

გველი იყო უგონიერეს ყოველთა მხეცთა ქვეყანასა ზედა. ჰრქვა დედაკაცსა: რომელსა დღესა სჭამოთ ნაყოფისაგან ხისა მის, იყვნეთ მეცნიერ.

აჰა ვეშაპი დიდი, გველი დასაბამისა, რომელსა ედგნეს თავნი შვიდნი. კუდი მისი მოითრევდა მესამედსა ვარსკვლავთასა და გადმოჰყრიდა მათ ქვეყნად.

გველაშაპი სდგის წინაშე დედაკაცისა მშობიარეისა, რათა შთანთქოს შვილი მისი, რომელსა ეგულვების წართვნა წარმართთა.

წარვიდა ვეშაპი იგი ბრძოლისა ყოფად მათთანა, რომელნი იმარხვენ ცნებასა ღვთისასა.....

მინდია ტყვედ ჩაუვარდა მავნე სულებს. დიდ ხანს იტანჯა ქაჯების ხელში. ვერ დაეხწია: გონიერნი იყვნენ და მზირნი. ვერც შეეთვისა მონობის უღელს. განიზრახა თავის მოკვლა: სიკვდილი სჯობსო დამდაბლებულ სი-ცოცხლეს. გველს სჭამდნენ ქაჯნი. არ ვნებდა ეშმაკე-ულთ. იფიქრა: კაცს უსათუოდ დაჰგესლავსო. ზიზღით შეჭამა და.....

ალეხილნეს გონების თვალნი ცნობად ყოვლისა! ეზი-არა იგი შემოქმედის არსებას და მასში მისწვდა სიბრძნეს ღვთაებურს. გაუნათდა ჩაბნელებული მსოფლიოსთან ერ-თობა თვისი, ცხად ექმნა ქმნილებათა ცხოვრების დენა, ყოველ არსების შეიგხო ენა.

და ნათელ ზეარსში მიღებული იგი სიბრძნე ბუნებრი-ვად უარჰყოფდა ბნელსა თუ ბოროტს, მიიქცეოდა ნათე-ლისკენ თუ კეთილისკენ. სცნობდა საკეთილოდ მიმავალ სავალს. მყის შეიგნობდა ბოროტების ხვეულებს, ხლარ-თებს. მოყვასთ სარგოს, მამულის სასიკეთოს ეტყოდნენ ძას ყვავილნი, მდელო, ხენი თუ წყალნი, მხეცნი ველისა, მფრინველნი ცისა, მწერნი, ქვემძრომნი. ყოვლი ქმნი-ლება ხელსუწყობდა სიკეთის თესვად. ბუნებრივი იყო ეხლა ეს მინდიასათვის: არსთა ძმა იყო იგი, ხოცი ხოც-თა მათთაგანი და ძვალი ძვალთა მათთაგანი.

ხევსურთ ნატვრის თვალად მოჰვლინებოდათ მინდია: იცოდა წამალი ყოვლის სენისა. მტერი ველარ ერეოდა მათ: მფრინველნი გზას უჩვენებდნენ მტრისას, წყალნი უთხრობდენ დუშმანის რიცხვს, ქარნი უწერდნენ აბჯარ-სხმულობას, ქვანი ხერგავდნენ ბნელთ შვილთა სავალს.

ბედნიერი! ნათელი მშვენიერი შეემოსნა მას მოყვასთა გზის სანათებლად, არსთა არედან ბნელთ სადევნელათ.

*

* *

მაგრამ ბედნიერების სხვისთვის მიმტანი უბედო იყო კერძო ცხოვრებაში მის გარშემო ჩვეულებრივი ყოფა ყოველდღიური მისთვის ძნელ შეხედულობაზედ იყო მოწ-ყობილი. ცხოვრების წესი ამცნებდა:

ყოველივე გაჩენილია ადამიანის მოსახმარებლად. მიწა, წყალი, მცენარე, მფრინველი, ყოველი იძვრისი თუ უძრავი მხოლოდ მის საკეთილდღეოდ არის მოწყობილი. ადამიანი სრულუფლებიანი ბატონია ყველაფრისა.

— იყავხ ძფლობელი ყოვლის ჭმნილების და იხარებდი!

ჭმნილებას უფლება არა აქვს თავისით ცხოვრებისა. კაცი დაუნდობლად მიდიოდა ყოველ არსთან საცხოვრებლის ასაღებად, ძალით ასართმევად. არა ჰრიდებდა მოსპობას, ლახვარს. სჭრიდნენ, სთხრიდნენ, ჰკლავდნენ, სწვავდნენ, ასახიჩრებდნენ.

— ბრძოლა არსებობისთვის! შემართება დაუნდობელი!

ადამიანი მგელი იყო გარეშე არსთათვის, თვით ადამიანისთვისაც. და ამით ჰქონდა საზრდო, სამოსი, სითბო; ქვეყნიური ყოვლი კეთილი. ესეთი სასტიკი ყოფა გამჩენისაგან ნაკურთხი მიაჩნდა ხალხს. ზეგარდმო სიბრძნის ნაზიარები მინდია ველარ მიჰყვებოდა ამგვარ ცხოვრებას: მისთვის ყოველი არსი მოყვასი იყო, მახლობელი: სულიერი იყო იგი და გრძნობიარე, მოითხოვდა, მოჰქცეოდნენ მას ისე. როგორც შეჰფეროდა სულდგმულს შეგნებულს. ხე კვნესოდა მის ნაჯახის ქვეშ, დაჭრილი ნადირის თვალებში კითხულობდა ის უძირო სევდას.

არა. ალარ შეეძლო მინდიას თავისი კერძო ბედნიერება სხვა ჭმნილებათა უბედურებაზე აეშენებინა. პირადი სარგებლობა მოითხოვდა აქ მოყვასთა თუ თანაარსთა ღალატს. დაზარალებას, მოსპობას. მას ვერ შესძლებდა მინდია. მას ზეშეგნება ახლდა თან. როგორ შეიძლებოდა სიცოცხლე და ნათელი ჩაექრო სხვა ჭმნილებაში იმას, ვინც ნათელთა სამრავლებლად იყო რჩეული?!

ეხლა მინდიას შესაფერი ცხოვრება იქმნებოდა ჭმნილებებთან თანამშრომლობა, გარჯა მათ გვერდზედ ის უკვე ხედავდა, რომ მიწა დედა იყო მისი და მასთან ერთად სხვა არსებებისთვის. ნოყიერი მშობელი იყო მიწა, ღალით ალსავსე, ოღონდ შვილურად მოჰპყრობოდა მას ჭმნილება და ეთანამშრომლა მასთან, ეზრუნვა მის ძალთა ჩენაზედ.

დედამიწა ავალებდა ადამიანს მეგობრულად და ჰაზრიანად გარჯილიყო, ბოროტი არვისთვის მიეყენებინა და ალუთქვამდა სავსებისაგან თვისისა ესაზრდოებინა იგი. გაიხარებდა მაშინ დედამიწა, გახალისდებოდა, უმატებდა ნოყიერებას; თვის ნაშობთაც გაამთავნებდა, გაალალებდა.

— თანამშრომლობა არსებობისთვის! ზრუნვა მეგობრული!

კაცი წამალი შეიქმნება კაცისათვის, თანამზრუნველი მოყვასი ყოვლისა არსის. კეთილყოფის მას და მასთან ერთად ყოველთ ნაშობთ ქვეყნიერების. მაშინ მოსცემს დედამიწა უხვს ნაყოფს; რძე მდინარეებად იდენს გალეული ხევებში. ეხლა.....

*

* *

სცადა მინდიამ, თავის ჰაზრზედ მოეწყო ცხოვრება. დაასკვნა, საცხოვრებლად გამოეყენებია ქმნილებათა მხოლოდ ნაყოფი თუ ღალა, ან სულმიხდილი მათი შემადგენლობა. სხვებსაც ურჩევდა, მიებაძნათ მისთვის. მაგრამ.....

იტყვის განცდათა მექონი უწინდელი:

დამკვიდრებულ არს ჩემთანა ცოდვა: არა რომელი იგი მნებავს კეთილი, მას ვყოფ, არამედ რომელი იგი არა მნებავს ბოროტი, მას ვიქმ.

ვერარ შესძლო მინდიამ შეემაგრებინა თავი თვის რჩეულ გზაზედ. ცოლ-შვილის პატრონი იყო. ჩვეულებრივი წესით მათი რჩენა სავალდებულო იყო მისთვის. თუ ის ჩვილ გულს ჩაიდებდა და ქმნილებათა შეწყნარებას თუ შეწყალებას მიჰყვებოდა, სათანადოდ ვერარ შეინახავდა— ჯალაბს. ნივთიერად ჩამორჩებოდა სოფელს, ხელხვავიანად ვერარ დაჰხვდებოდა მტერს თუ მოკეთეს. ყველა ამას კი სრულის უფლებით მოითხოვდა მისი ცოლი. აუცილებელი ხდებოდა იმ კვალზედ სვლა, რომელზედ ვიდოდა სოფელი.

მეორე წავარნა, მინდიას საყვარელი სავალი, დიდ ხნის დატოვებული იყო ხალხისაგან, ამწყილ-ანგრეული.

მასზედ სიარული მეტად ძნელი აღმოჩნდა, შეუძლებელი, მეტადრე მარტო მქმედისათვის და.....

მინდია ნელნელა გადავიდა ჩვეულებრივ სადინელზედ: მოუსპო ყოფა დღეს ხეს, ხვალ ნადირს თუ მფრინველს, ზეგ..... თვითეული იმგვარი მოძრაობა აშრობდა და ჰშაშრავდა სიყვარულს ქმნილებათადმი. გული თანისთან ჰკარგავდა სილბოს, იკირებოდა. მასთან ერთად ბუნდებოდა მინდიას სულში შეგრძნობ-შეგნობის ციაგი. ბოლოს გაქვავდა გული, ჩაქრა სასწაულებრივი ნათელი და..... გარდაიქმნა დიდი მეცანი ჩვეულებრივ ხევსურად.

მეტად ემწვავა. ევედრა გამჩენს, შესწირა ხატს, ილლვ-იჯავრა. ამაოდ! ხატსაც ძრთელ ბუნებასთან ერთად ყურნი დაჰშოდათ მინდიას სმენად, თვალნი დაჰმწუხდნენ მის დასანახავად, გული გაჰკაჟებოდა მის ტანჯვის შესაგრძნობად. რაღა იყო ეხლა მინდია? ჯოყარი ღა იყო, ნაშთი განხმელი იმ ზეაზეულ მდელოსი, რომელს ამშვენებდა სანატრელი ყვავილი ზეკაცურის მეცნიერებისა.

ვაჰ რომ ხევსურთ არ იცოდნენ მის უბედობა და მიენდნენ მტერთან ომში ზეცნობისგან უარყოფილს მინდიას ბეჩავს!

მინდიას სიკვდილი..... უკვე მკვდარი იყო, რაკი აჰხდა სული მეცანი. დადიოდა, საზრდოობდა, თითქო ქმედობდა; მაინც იყო სულამოწვდილი. ხმალმა მისი მადლი მოისხა, გული რომ გაუპო.

1927 წელს
მკათათვის 28-ს.

—:—

არჩილ ჯაჯანაშვილი.

თანამედროვე ხელოვნებისათვის.

*

* *

ი. მანდელშტამი თავის ოსტატურად აგებულს გამოკვლევაში *), თანახმად იმ თეორიული დებულებისა, რომლებიც საფუძვლად დაედო მის წერილს ხელოვნების შესახებ ჯერ კიდევ 1914 წ. სცდილობდა ხელოვნების დარგში მომავლის ერთგვარი პროგნოზი მოეცა.

მანდელშტამის თეორიის გადმოცემა შორს წაგვიყვანდა. ვიტყვით მხოლოდ, რომ ეს პროგნოზი ლოგიკურად გამომდინარეობს მანდელშტამის ძირითად დებულებიდან, რომელიც გულისხმობს, რომ ხელოვნება არის ხელოვნური შექმნა ისეთი პირობებისა, რომლებიც ადამიანში აღძრავენ განცდებს და ამასთანავე ისეთს განცდებს, რომლებიც სინამდვილეში ბუნებრივად იბადება. ამრიგად, მანდელშტამის აზრით, ხელოვნება, ან, უკეთ რომა ვსთქვათ, ხელოვნური ქმედობა მიზნად ისახავს, ხელოვნურ საშუალებათა დახმარებით, ზეგავლენა მოახდინოს ადამიანზე და აღძრას მასში ისეთი ემოციები, რომელთა განცდის საშუალებას სინამდვილეში მოკლებულია. ხელოვნება, ამნაირის გაგებით, თითქოს ავსებს იმ დანაკლისს, რომელიც შეიძლება ადამიანს სინამდვილეში ჰქონდეს.

ხელოვნური მოქმედება ცხოვრებას უკავშირდება, და ამიტომ, ცხოვრების პირობების მიხედვით განისაზღვრება ხელოვნების ხასიათიც. „ხელოვნება იწყება იქ, სადაც თავდება სიცოცხლე", — მოჰყავს მანდელშტამს **ჩიხარდ ვაგნერის** სიტყვები.—აი მესმის, ჭეშმარიტად ბედნიერმა ადა-

---

*) იხ. „Вопросы философии и психологии", წიგნი 121 (I). 1914 წ.

ა. ჯ.

მიანმა ხელი როგორ უნდა მოჰკიდოს ხელოვნებას. ჩვენ რომ ცხოვრება გვქონდეს, ხელოვნება საჭირო ალარ იქნებოდა. როცა სინამდვილე აღარაფერს გვაძლევს, მაშინ მხატვრულ ნაწარმოების საშუალებით ვყვირით: „მე მსურს“. რაკი მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში არც ერთხელ არ განმიცდია ნამდვილი სიხარული სიყვარულისა, მე მსურს ძეგლი დავუდგა ამ ლამაზს ოცნებას: მე ვფიქრობ ტრისტანსა და იზოლდაზე“. ვაგნერის ამ მოსაზრებას ეთანხმება მკვლევართა მოსაზრებანიც.

კონრად ლანგე სწერს: „არ შეიძლება ითქვას, თითქოს ხელოვნების აყვავება ყოველთვის თანა სდევს პოლიტიკურს, სოციალურს და ეთიურს აყვავებას... საშუალო საუკუნოების დასასრულს მხატვრობა მეტად ნაზი, ინტიმური, თითქოს არამატერიალური ხასიათისა იყო. მიუხედავად ამისა, არასოდეს ისე არ ყოფილა გამძვინვარებული გრძნობელობა, ჟინიანობა, ეგოიზმი და მძლავრის უხეირო ძალა, როგორც ამ ეპოქაში“.

ამ მაგალითებს მანდელშტამი უმატებს მაგალითებს რუსეთის ცხოვრებიდან „და ამტკიცებს, რომ რუსული ლიტერატურის აყვავება მეცხრამეტე საუკუნეში ბუნებრივი შედეგია იმ ბნელი რეაქციისა, რომელიც იმ დროს რუსეთში იყო გამეფებული.

თუ ასეთია ხელოვნების ბუნება, თუ იგი ცხოვრების დამატებას წარმოადგენს, მაშინ, რანაირი უნდა იყოს ხელოვნება ისეთს პირობებში, როცა ცხოვრება უფრო სრული იქნება და ადამიანიც უფრო ბედნიერი? სხვანაირად რომ ვსთქვათ, როგორი იქნება ხელოვნება სოციალისტური ცხოვრების პირობებში? ამ კითხვასა სვამს მანდელშტამი რუსეთში 1914 წელს. როცა ქვეყანა ჯერ ისევ ძველი თვითმპყრობელობის ორბიტში იყო მოქცეული და ცდილობს განსჭვრიტოს მომავალი, წარმოიდგინოს მომავალი კონტურები ხელოვნებისა და ამით პარალელურად შეამოწმოს თავისი თეორიის სიმძლავრეც.

მანდელშტამის აზრით, ხელოვნება წინააღმდეგ პროპორციულია ცხოვრებისა. რამდენადაც სუსტია ცხოვრების მიერ გამოწვეული მთაბეჭდილებანი, იმდენად უფრო

მეტად იზრდება მნიშვნელობა ხელოვნებისა, როგორც ემოციათა გამომწვევი საშუალებისა, რომელმაც ცხოვრების დანაკლისი უნდა შეავსოს. აქიდან ლოღიკურის აუცილებლობით გამომდინარეობს დასკვნა, რომ იქ, სადაც ცხოვრება ბედნიერი პირობების წყაროდა ხდება, ხელოვნებას თავისი პირვანდელი ხასიათი უნდა დაეკარგოს და ცხოვრების დამატებად კი არა, მისი ფიქსაციის საშუალებად უნდა გადაიქცეს. ამის მიხედვით უნდა გამოიცვალოს გადმოცემის საშუალებანი და ტეხნიკაც. „ხელოვნება, მოკლებული ფანტაზიას, იძულებული გახდება მხოლოდ იმ დარგებით დაკმაყოფილდეს, რომლებიც ჩვენს დროში ყველაზე უფრო დაბალ და „ხელოვნურ“ დარგებად ითვლება. კაცობრიობა ოცნებაზე მეტად თავის ნამდვილს შთაბეჭდილებებს დააფასებს და ამიტომ ამ შთაბეჭდილებათა ფიქსაციას მოითხოვს.

ჩვენს დროში, ფ. ს ო ლ ო გ უ ბ ი ს სიტყვით, „გული ზღაპარს ეძებს და ალარა ჰსურს ნამდვილი ამბავი“. მომავალში სწორედ წინაალმდეგი იქნება. გული მოისურვებს არა ზღაპარს, არამედ ნამდვილს ამბავს, რადგანაც ნამდვილი ამბავი მის შთაბეჭდილებათა წყაროდ გადაიქცევა... ყველაზე მეტი ფასი მიეცემა ფოტოგრაფიულსა და კინემატოგრაფიულს აპარატს, ყოველგვარ ბელეტრისტიულ ნაწარმოებზე მაღლა დადგება ქრონიკა, გრამაფონის, ან დიქტოფონების მონაწილეობით...“

*

* *

ი. მანდელშტამის ეს სიტყვები მაგონდება ყოველთვის, როცა თვალყურს ვადევნებ იმ ძირითადს გარდატეხას, რომელიც ხელოვნების თითქმის ყველა დარგში სწარმოებს. რა თქმა უნდა, მანდელშტამის თეორია და მისი საბოლოო დასკვნები შეიძლება ბევრისთვის სადავო გახდეს. მაგრამ ამისდამიუხედავად, მისი პროგნოზი მაინც მკვეთი და თამამია. მანდელშტამისთვის სოციალიზმი იმ დროს მხოლოდ პრობლემატიური მომავალი იყო და ამიტომ პროგნოზსაც სათუო ხასიათი ეძლეოდა. ჩვენში

სოციალიზმი პრაქტიკულ საქმიანობის უმთავრესი ღერძია და ამიტომ მისი პროგნოზი უკვე მომქმედი სოციალიზმის პრიზმის ქვეშ შეიძლება გაშუქდეს.

როგორც ზევით მოყვანილი ამონაწერებიდანაც შეგვიძლიან დავასკვნათ, ძველი და ახალი ცხოვრება ერთი მეორის პრინციპიალურსა და დიამეტრალურს წინააღმდეგობას წარმოადგენს. წინააღმდეგ პროპორციულობის პრინციპის მიხედვით, ძველად ხელოვნება ცხოვრების დამატებად უნდა გადაქცეულიყო და ცხოვრების დანაკლისი შეევსო ფანტაზიის საშუალებით შექმნილი ხელოვნების პროდუქციით. უწინ სინამდვილე, მწვავე და ბოროტი სინამდვილე, ერთგვარ განყენებას მოითხოვდა, რადგანაც მხოლოდ განყენების საშუალებით მოხერხდებოდა იმ ცალიერი ადგილის შევსება, რომელიც ადამიანის გულში იქმნებოდა ბნელი სინამდვილის ზედგავლენით. ადამიანი ხელოვნურ ნაწარმოებში ეძებდა იმას, რასაც სინამდვილე მას ვერ აძლევდა. ამგვარს სულიერს განცდათა აღსაძვრელად მხატვრული ხერხებიც თავისებური არსებობდა. დროის შესაფერისი და ადამიანის დაუკმაყოფილებელ სულიერ მოთხოვნილებასთან შეთანხმებული. სევდიანი ჰანგები, უიმედო პესიმიზმი, მწვავე სარკაზმი, უპერსპექტივო გოდება, ინდივიდუალურ განცდათა ჩარჩოებში მოქცევა, ისტორიზმი და მრავალი ამგვარი ელემენტი მხატვრული შემოქმედებისა შეიძლებოდა გამართლებულიყო დროის პირობების მიხედვით და საზოგადოების ფართო წრეების ესთეტიური ტკბობის წყაროდ გადაქცეულიყო. ხელოვნება საზოგადოდ და ლიტერატურა — კერძოდ, თითქოს უპირისპირდებოდა ცხოვრებას. როგორც მეორე რეალობა, იდეაში მყოფი რეალობა. და ყველასთვის, ვისთვისაც ძვირფასი იყო მომავალი, ძვირფასი ხდებოდა ეს იდეაში მყოფი რეალობაც. საზოგადოება ხელოვნებაში ჰპოულობდა იმას, რაც არ იყო, მაგრამ რის განცდაც მას სწყუროდა. გადმოცემის ფორმების სხვადასხვაობას ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არა ჰქონდა. ნატურალიზმი და სიმბოლიზმი, იმპრესიონიზმი და ექსპრესიონიზმი — ყველაფერი ეს მხოლოდ შინაგანი

ნიუანსები იყო მხატვრული შემოქმედებისა, რომელიც მთლიანად „დაკარგული სამოთხის“ ძიებაში იყო.

შეიძლება თუ არა ასეთი ხასიათისა იყოს ხელოვნება ჩვენს დროში, როცა სოციალიზმი მთელი სახელმწიფოებრივი ორგანიზმის პრაქტიკულ საქმიანობის საგნად ხდება? შეიძლება თუ არა ამჟამად ხელოვნება დაუპირისპირდეს ცხოვრებას, როგორც მეორე რეალობა, იდეაში მყოფი რეალობა, როგორც ისეთ განცდათა კომპლექსი, რომელიც რეალური სინამდვილის წვენით არა საზრდოობს? რასაკვირველია, შეიძლება. თეორიულად აქ შეუძლებელი არაფერია. მაგრამ ასეთი ხელოვნება აუცილებლად ანაქრონიზმად გადაიქცევა და იდეოლოგიურად, დღევანდელის თვალსაზრისით, მიუღებელი აღმოჩნდება. გადმოცემის ფორმებსაც ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არ ექნება. ხელოვნების მომენტები ამჟამად განიზომება და შეფასდება არა გადმოცემის ტეხნიკური საშუალებების ევოლიუციით, არამედ იმ პრინციპიალური დამოკიდებულებით, რომელსაც ხელოვნება სინამდვილესთან დაამყარებს.

ხელოვნების მოზღვავებული მრავალფეროვან ფაქტების გასარკვევად საჭიროა, ამ ფაქტებს მეორეხარისხოვანი ნიშნები ჩამოსცილდეს და მსჯელობის საგნად გადაიქცეს ის ძირითადი თვისება, რომელიც ძველსა და ახალს ხელოვნებას ერთმანეთისგან პრინციპიალურად განასხვავებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საკითხი ფორმის შესახებ ისეთივე მეორე-ხარისხოვანი ელემენტია, როგორც საკითხი ფაბულის ავ-კარგიანობისა. არტისტიულ ფორმაში ჩამოსხმული მხატვრული ნაწარმოები, დღევანდელს პირობებში, შეიძლება ისეთივე მიუღებელი აღმოჩნდეს, როგორც ოსტატურად შეკრული ფაბულა. ვინც პერიოდიულს ლიტერატურას თვალყურს ადევნებს, იმას ეს გარემოება მხედველობიდან არ გამოეპარებოდა. პირდაპირ და აშკარად ეს აზრი თითქოს არსად გამოთქმულა, მანდელშტამის საზომით ხელოვნების მოვლენები არავის შეუფასებია, მაგრამ ყოველს დაფასებაში ჩვენ მაინც გვხვდება ერთგვარი, თუ გნებავთ, შეუცნობელი კრიტე-

რიუმი, რომლის წარმოშობაც ადვილი ასახსნელი გახდება მაშინ, როცა ზემოხსენებულ თეორიას გავიხსენებთ.

თანამედროვე ფსიქიკა ველარ ურიგდება ხელოვნებას. როგორც ცხოვრებასთან დაპირისპირებულს, იდეაში მყოფს რეალობას, რადგანაც ასეთი რეალობა ობიექტიურად სოციალიზმის წინააღმდეგ მიმართულ რეალობად გადაიქცეოდა. მომჭმელს სინამდვილეს კი ჰსურს ხელოვნება თავის საზოგადო ამოცანებს დაუკავშიროს. ჩვენ ვიცით, რაც შეადგენს ამ ამოცანების მთავარს ბუნებას. ეს არის სოციალიზმი, არა თეორიული, არა საპერსპექტივო, არამედ მომქმედი, მებრძოლი სოციალიზმი. ეთიუოს სფეროში მის დამახასიათებელ თვისებად უნდა ჩაითვალოს სიხარული შემოქმედებისა და პათოსი მოქმედების. თუ ჩვენ ხელოვნებას ძველებურს, ილიუზიონისტურს მიზნებს დავუსახავთ, მაშინ იგი ბუნებრივად შემოქმედების ამ სიხარულსა და პათოსსაც უნდა დაუპირისპირდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში კი ხელოვნება შემოქმედებისა და პათოსის ალმზრდელად უნდა გახდეს. პირველ შემთხვევაში ხელოვნების მთავარ იარაღად უნდა გადაიქცეს ფანტაზია, მეორე შემთხვევაში მკვეთრი უნარი ფიქსაციისა. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის, ერთის შეხედვით თითქოს გაუგებარი მოვლენა, რომ ერთი და იგივე წრე სრულიად სხვადასხვანაირად აფასებს ორს უდიდეს მწერალის — პუშკინს და დოსტოევსკის. დოსტოევსკი ხშირად გაოცებას იწვევს, მაგრამ კი არ უყვართ; პუშკინი გაოცებასაც იწვევს და უყვართ კიდეც. რატომ? იმიტომ, რომ პუშკინი სიმბოლოა ჯანსაღი სიცოცხლისა და სიხარულის. რომელიც თანამედროვე ეპოქასაც ენათესავება, ენათესავება სწორედ თავისი მჩქეფარე სიხარულით. დოსტოევსკი, გენიოსია, მაგრამ შავ-ბნელი, მოლუშული, ტყვიასავით მძიმე გენიოსი, რომელიც სიცოცხლის ხალისს უკარგავს ადამიანს. დოსტოევსკი არ უყვართ. მე არ გამიკვირდება, თუ გავიგებ, რომ დოსტოევსკი საყვარელ მწერლად გადაიქცა გერმანიაში: როგორც გასაკვირველი არ არის ის, რომ გერმანიაში დაიბადა გეორგ კაიზერი. უბრალო შემთხვევას არ უნდა მიეწეროს ის გარემოება,

რომ იწგლისი წარსული საუკუნის განმავლობაში პესიმისტურად არ იყო განწყობილი და ამერიკა კი დღეს ხალისიან პროდუქციას იძლევა. ამერიკა გათამამებულია და ეს სითამამე მის პროდუქციაშიც მოსჩანს.

*

* *

ფიქსაციის ერთი უძლიერესი საშუალებათაგანია კინო-ხელოვნებაც. ყველაფერი, რაც ზევით საზოგადოდ ხელოვნების შესახებ ითქვა, უფრო მეტის საბუთით შეიძლება ითქვას კინო-ხელოვნების შესახებაც. მანდელშტამის პროგნოზი ისე თვალსაჩინოდ არსად გამხდარა, როგორც ამ დარგში. ფოტოგრაფიულ, კინემატოგრაფიულს, აპარატს, გრამაფონს და დიქტოფონს დააკლდა მხოლოდ რადიო. ომის მძლავრი განვითარების შესახებაც. შეიძლებოდა, მანდელშტამს წარმოდგენაც კი არა ჰქონოდა. გადაავლეთ თვალი დღევანდელს სინამდვილეს და თქვენ დარწმუნდებით, რამდენად დაახლოვებით ჰქონია მას განჭვრეტილი შესაძლებელი მომავალი. კინო-ხელოვნება სინამდვილის ფიქსაციისა და ესთეტიური ტკბობის მძლავრ იარაღადა ხდება. მიუხედავად იმისა, რომ ბევრს იგი არც კი ჰსურს ხელოვნების დარგთა სიაში მოაქციოს.

მანდელშტამის აზრით, „ცხოვრება უკვე თვით არის ექსპრესიული, სიმბოლიური, იდეიური".

მოხერხდება თუ არა ამგვარი რეალიზაცია სინამდვილის ფიქსაციისა, ამაზე არაფერს ვიტყვი, მაგრამ იმას, ვისაც თავისი თავი სოციალიზმის ალმაშენებლად მიაჩნია, სხვანაირად ფიქრი, აზროვნება და შეგრძნობა რომ ვერ შეუძლიან, ეს კი ყოველივე ეჭვს გარეშეა.

„გული ზღაპარს ეძებს და არა ჰსურს ნამდვილი ამბავი". თუ „ნამდვილი ამბავი" მწარეა, მაშინ გულმა ზღაპარში უნდა ჰპოვოს შვება. მაგრამ ვისაც თავისი „ნამდვილი ამბავი" უყვარს, იმას „ზღაპარი" არ შეიძლება უგემურ გასართობად არ მოეჩვენოს...

—:—

დოკუმენტები

ხომლელი.

ცხოვრების მოედანი.

4.

სანამ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში შემიყვანებდენ, ჩემი ბავშობა გავატარე სოფელ ხომლში და, შემდეგ, წყალტუბოში. მეც აქ, ცალკე-ცალკე თავებათ ავწერ ჩემს ბავშობას.

მამაჩემის ეზო-გარემო და სახლ-კარი იყო მოთავსებული ხომლის ზემო ნაწილში, იქ, სადაც უწოდებენ ფანცხოურს. ამ გორაკის — ფანცხოურის შეფენებაზე გადაჭიმული იყო, მალალი მესერით შეკავებული, 14 ქცევა ეზო, დაფარული მალალი, ასწლოვანი, 18 ნიგვზის ხეებით, დაბლარი — ორი თითო ქცევა ვენახითა და ორი მალლარით. ეზო სავსე იყო ყოველგვარი ხილნარით. შუაეზო დათესილი იყო კოლიდარით. ბოსტანიც ეზოშივე იყო და გარეთ ეზოს ეკრა საქონლისათვის ქალტა და სალორე. ეს ეზო შემდეგ, როცა სამივე ძმა გაიყო და ცალკე-ცალკე დასახლდა, ორათ გაიყო: ნახევარი, ესე იგი, 7 ქცევა, ჩრდილოეთის მხარეზე, წილში ერგო მამაჩემს. ნახევარი, ესე იგი, 7 ქცევა, სამხრეთის მხარეზე, ერგო ბიძა-ჩემს — ვასილს. მეორე ბიძას — ალექსის წილში ერგო ფანცხოურისთავი, ჩვენს ეზოზე უფრო მალალი ადგილი — სონოფლა. ისიც 7 ქცევა იყო. ჩვენს ეზოს ეკრა შეფენებაზე ჩვენივე სახარდნე (მერქანი) და ქვითკირის პატარა ეკლესიაც. ჩვენს გარდა, იქით-აქით, გო-

რაკებზე ესახლენ: კიკვიძეები, ხმელიძე და დოლაბერიძე. სულ შორს, მთაში სულაქველიძეც.

ხომლის ქვემო ნაწილი დასახლებული იყო: ნიკო ლოლობერიძით (დავ. კლდიაშვილის ბაბუა) და ლევან ლოლობერიძით. ფანცხავა ბერიკიასშვილები, კოხტელასშვილები, აბრამასშვილები, ბორუაშვილები და სიმონიაშვილები. აგრეთვე იყო წულაია და გუბელაძე. სულ 30 მოსახლე, ანუ კომლი იყო ხომლში. იმ დროს თითო მოსახლე 40 სულისაგან შედგებოდა. ბატონ-ყმობის გადავარდნამ გამოიწვია ოჯახის დაყოფა და დანაწილება. ძმები და ძმები ძველებურათ ერთად ველარ თავსდებოდენ. ყველას უნდოდა პირადი თავისუფლებით დამტკბარიყო და პატრიარქის მორჩილებას ველარ იტანდენ. ამიტომ იყოფოდენ და ახლა ხომლი 150 კომლიც იქნება. იმ დროს კი, როცა 30 კომლი იყო, სოფელი შტატათაც არ იყო დამტკიცებული და წყალტუბოზე იყო მიწერილი. ცალკე ღვდელი მაინც ჰყავდა ხომლს—ბიძაჩემი—ალექსი (უშვილო იყო). მეორე ბიძა — ვასილი მამაჩემის მედავითნეთ იყო გამწესებული წყალტუბოს.

ხომლს შუაზე ყოფს ჯაბალოურის ხევი, რომელმაც დიდი წვიმების დროს გადარევა იცის. ამ ხევს აქით-იქით, გალმა-გამოლმა აკრავს გორაკები. და ამ გორაკებზე მოსახლეების ეზოები და ვენახებია გაშენებული. მოსახლეებს შორს შუკებია გაყვანილი. სოფლის შუაში ციხეა გაშენებული, რომელიც თურმე, ქუთაისს იფარავდა ძველათ უძლიერესი ფეოდალის — ჭილაძის მუქარისაგან. ეს ჭილაძე ისეთი ძლიერი ყოფილა, რო ხალხი დღესაც ამბობს: ჭილაძის ხარი ალმაც ხნავს და დალმაცო. ამ ციხის ძირში, 15 საჟენის სიმაღლეზე მიშხუის უგემრიელესი, ყინულივით ცივი მდინარე, რომელიც მიწაშივე იკარგება და გამოდის წყალტუბოს ერთი გორაკის ძირში — ფაცისთავში, აბანოების ახლოს, აღმოსავლეთით.

ხომლელებს ჭირიცა და ლხინიც საერთო ქონდათ. თუ ვინმე მოკვდებოდა, არჩეული კაცები სოფელს ჩამოუვლიდენ, მოკრეფდენ პურ-ღვინოს, ლობიოს და საერთო ტირილს გადაიხდიდენ. იქ ყველა ოჯახებიდან დაესწრე-

ბოდენ: აზნაურნიც, საღვდელონიც და გლეხებიც. ქონდათ საერთო ერთი დღესასწაული — ალიერტობა და ამაღლობა. ალიერტობა ზამთარში, იანვრის გასულს იცოდენ. ერთ დაბურულ ტყეში, გორაკზე, სადაც ასწლოვანი მუხები იდგა და იქ უხსოვარ დროიდან უთვალავი ფუტკარი იცოდა და მუხების გამოფუღურებული ადგილები სავსე იყო თაფლით. მარა ხელს ვერავინ ახლებდა, რადგან ეს თაფლი, როგორც ის გორაკი წმიდა ადგილათ ითვლებოდა და, როგორც ღვთისა და უფლის ადგილი. კაცის ხელშეუხებელი იყო.

ამ დღეობისთვის სოფელში მოკრეფდენ ფულებს, იყიდიდენ ერთს უშველებელ ღორს, დაკლავდენ და სათემო ლხინს გადაიხდიდენ დიდის დიდებითა და მოწიწებით. თითოული ოჯახი ვალდებული იყო მოეტანა იქ აუარება სანოვაგე--ქათამი, ინდოური, პურები, ხაჭაპურები, ღვინო დიდი დოქებით. ამ დღეს ახლო-მახლო სოფლებიდანაც მოდიოდენ სტუმრები—ნათესავები, მოყვრები—აზნაურნი, თავადნი, გლეხნიც და საღვდელონიც. გაიმართებოდა იანვრის გახურებულს ყინვებსა და თოვლში სმა და ლხინი, ერთმანეთის დალოცვა და სიამ-ტკბილობით მოკითხვა... ღვდელიც დიდის სასოებითა და ლოცვა-კურთხევით გადიხდიდა წირვას და ღვთაებას შეავედრებდა ამ ფსონს. ეს ჩვეულება გადავარდა, მგონია, 1885 წლიდან. ამაღლობა, როგორც სახელწოდება უჩვენებს. საეკლესიო დღესასწაული იყო და, ამგვარი დღესასწაული საქართველოში, ყოველ სოფელში იცოდენ. ამიტომ ამ დღესასწაულს აქ არ ავწერ.

იცოდენ ხომლში კიდევ ერთი დღესასწაული. ზაფხულში. ეს დღესასწაული იყო „სალვთო". ეს ჩვეულებაც საერთო, ასე ვთქვათ, კოლექტიური ხასიათისა იყო და ესწრებოდენ, გარდა ჩემი სოფლელებისა, მათი მოყვრები და ნათესავებიც, ახლო-მახლო სოფლებიდანაც. ჩვენი ეზოს კარზე, მაღალს გორაკზე, ეკლესიის გალავანში, ცაცხვების გრილს ჩრდილში, ბუნების წიაღში, ივლისის თვეში გაიმართებოდა დიდი ფსონი და სვამდენ კუნძის რძესავით ტკბილ თეთრს და სამჭაჭას წითელ ღვინოს

კარგა დაბინდებამდის. მარა, საკვირველია, მთვრალი არავინ იყო... ეს ჩვეულებაც სწორედ იმ დროს გადავარდა, როცა მოისპო ალიერტობა.

ხომლში ნამეტანი მწირი მიწა-წყლიანი ადგილია. ისეთი ნოყიერი, მდიდარი, როგორც რიონის ჭალები, აქ არ არის. უმეტესათ ქვარნალია და თიხა ნარევი მიწაა. აქ პურეულობას, რასაცა თესდენ, უკვე მოგახსენეთ. პატარა, ქართულ სიმიდზე-კი გული მწყდება, რო თელად ვერ აგიწერეთ მისი სიტურფე. ამ სიმიდის ჭადი, თუ გადამლაშება არ მომდის, პურზე გემრიელიც იყო. ყვითელი, კარაქივით ჭადი იცოდა და იმაზე ცივათ მოხარჩული ბურვაკის ხორცი მიგერთმიათ, უკეთეს საჭმელს ვერ ინატრებდით ზამთარში...

მოყავდათ სოფელში სხვადასხვანაირი ლობიო, ცერცვი, სხვადასხვანაირი ბოსტნეულობაც. ღვინო: თეთრი, წითელი, ყვითელი და ალის ფერი. ღვინო, ისეთი მაგარი იყო, რო შეასხამდენ ცეცხლში, სპირტივით ალს გააჩენდა. მარა ღვინოს, ჩემს ბავშობაში, ფასი სრულებით არ ქონდა და არც იყიდებოდა. აგრეთვე ფასი არ ქონდა კვერცხს და ფულის საჭიროება მაშინ არც იყო. ჭინჭი და ქსოვილი, თუ რამე ჭირდებოდა ოჯახს, ოჯახშივე კეთდებოდა. მე მახსოვს დედაჩემს და ბებიას დგიმ-სავარცხელი ქონდათ გაწყობილი და ქსოვდენ ზედ ხამს, აბრეშუმს, შალს და სხვ. მე პატარაობისას ხამის საკვლები მეკვა, შინ მოქსოვილი. ნარმა და მიტკალი გავიცანი შემდეგ, როცა სასწავლებელში ვიყავი, ერთი სიტყვით, იმ დროს, სრული ნატურალური წარმოების ფორმები იყო ჩვენში გაბატონებული და ფულის ტრიალი ცხოვრებაში კიდევ არ დაწყებულიყო...

ბატონ-ყმობის გადავარდნისას, ხომლსა და წყალტუბოში იყვენ კარგი მოშაირეები, შესანიშნავი ზმა რომ იცოდენ, ისეთებიც, მოლექსეებიც, მეზღაპრეებიც. ქაჯებსა, დევებსა და ჭინკებზე ათას რასმე მოყვებოდენ. იყვენ გათქმული მონადირენიც, რომელნიც ზღაპრულ ამბებს მოყვებოდენ. ახლაც ცოცხლად მახსოვს ივანია ფანდურა, შესანიშნავი მონადირე, რომელსაც ქაჯები ემტერებო-

დენ, მარა ვერაფერი დააკლეს. აბა, რამდენი წელიწადია მას შემდეგ, და მე დღესაც გუშინდელი დღესავით მახსოვს სულ წვრილმანი ამბები, რაც მაშინდელს დროს ჩემთვის უამბნიათ. და ახლაც ნათლად წარმომიდგება მაშინდელი ჩემი ბავშობა, ჩემი მაშინდელი სულიერი მდგომარეობა. და ეს არის, ალბათ, იმის მიზეზი, რო ბავშობა ჩემთვის ახლა სასუფეველი და ნეტარებაა და იმის სულიერ მდგომარეობას გულით შევხარი...

აი, მთის ძირში მვარდნილ ამ პატარა სოფელში დავიბადე მე და ჩემი ძმები, ჩვენი ბელეტრისტი დავით კლდიაშვილი და ჩვენი მოღვაწე-მწერალი — ალექსანდრე მიქაბერიძე. აქ გავეცანი მე პირველათ ქვეყანას და დიად ბუნებას, ავმეტყველდი და ავმღერდი. ხუთი წლიდან მახსოვრობაც კარგი შემრჩა და სწორეთ აქიდან ვიწყებ ჩემი პირადი განცდათა მოგონებას. მარა ჩემს პირად ჩაბეჭდილებათა გადმოცემას იმდენ ყურადღებას არ ვაქცევ, რამდენსაც ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ, ამოძრავებულ საზოგადო ცხოვრებას, რომელმაც მიიღო სულ სხვა გვარი მიმართულება, ხასიათი და შინაარსი. მე გავჩნდი ქვეყნათ იმ დროს, როცა ძირ-ბუდიანა შეირყა ძველი, დამყაყებული საფუძველი ამდოვრებული ცხოვრებისა და აკვარჩხალდა ცხოვრების ახალი ზღვა. ყმის მაგიერათ გაჩდა გლეხი, რომელმაც დაიწყო, შედარებით, უფრო თავისუფალი, უფრო დამოუკიდებელი ცხოვრება. ამ თავისუფალი გლეხის ახალშობილ შვილებს ულამაზესი ლექსითაც მიეგება ჩვენი მგოსანი:

„ღმერთს შენი ბედნიერება წინეთ უსახავსო,
სხვებ რა გიჭირს: ხომ შეიტყე, ბატონი არ გყავსო!
გაიზდები, გენაცვალე, თავისუფალიო;
ბატონი ვერ შეგაწუხებს, ვერც გაგტეხს ვალიო;
შენს მტერსა და მოშურნესა დაუდგეს თვალიო;
ჭირისა და ავთვალისგან გიხსნის უფალიო!...“

შრომას რალაც ინსტინქტიურათ ვეტანებოდი, თანავუგძნობდი და ვეწაფებოდი. ყანაში გავრბოდი და თოხს ვკიდებდი ხელს, რომ მუშებს გვერდში ამოვდგომოდი.

მარა მამაჩემი დამიშლიდა:შენ მე გაბრიელ ეპისკოპოზათ მინდა გაგზარდო და აქ თოხს უპაყუნებო! მე ამ სიტყვებით გულდაწყვეტილი შევიქნებოდი... მამაჩემს ავიწყდებოდა, რო რაც უნდა ავ პირობებში იყოს მოქცეული ეს შრომა, ცოცხალ არსებას მაინც სურს ამ მავნებელი პირობებისაგან განთავისუფლება, სურს მწარე და მძიმე ბორკილების დამსხვრევა და გულით ელტვის თავისუფალ შრომას, სადაც ფოლადივით იწრთობა ადამიანის ნიჭი, ენერგია და შემოქმედობაც...

იმ დროს, აკი მოგახსენეთ, ძლიერათ შეიძრა ცხოვრება და მასუკან არც შეჩერებულა იგი. ბატონ-ყმობის დროს უძრავი, მკვდარი იყო ცხოვრება. რაკი ყმამ თავი აიშვა. პირადი განთავისუფლება ელირსა მას, სულ წინ და წინ წავიდა. ამ თავისუფალმა, დამოუკიდებელმა ცხოვრებამ წარმოშვა ფოლადივით მაგარი ადამიანის პირადი ინიციატივა, ტალანტი, დაბადა სრულიათ თავისუფალი ალებ-მიცემობა, ვაჭრობა და წარმოება. და წინანდელი წოდებრივი განსხვავების ადგილს იჭერდა თანდათან, ნელ-ნელა განსხვავება სიმდიდრესა და სიღარიბეს შორის. ნივთიერი ქონება, დოვლათი ერთის ხელიდან მეორეს ხელში გადადიოდა. და ცხოვრებაც, უნდა ვთქვა, უფრო ძნელი და გასაჭირიც შეიქნა. ძველებური მონობის ადგილზე გაჩდა ისევ სრულიათ ახალი ფერის და ხასიათის მონობა, რომლის უშველებელი კრიტიკა ზედ შუაგულში გახურებული ყუმბარასავით ესროლა კაცობრიობას დიადმა მეცნიერმა — კარლ მარქსმა...

ამ ღრმათ და ძლიერათ დამარხულმა ცხოვრების აზრმა იმოქმედა, ალბათ, ჩემზე, ჩემს მღვიძარე სულზე, რო ჩემი ყურადღება და სიმპატიები ყოველთვის და მუდამ დაჩაგრულებისაკენ, პატიოსანი მშრომელებისაკენ იყო და იმათ ცხოვრებას ვუკვირდებოდი ბავშობიდანვე...

ჩემი ბავშობის დროს, სოფელ ხომლში მყავდა სიყრმის მეგობარი, ორი წლით ჩემზე უფროსი გლეხის ვაჟი — ნესტორა. მე და იგი, დილიდან სალამომდე, განუშორებლად ერთად ვთამაშობდით, ერთად დავდიოდით ტყესა და მიდვრებში, წყაროებზე, ყანებსა და ვენახებში.

აუყვებოდით შეფენილ მთებს პატარა ჩვენი ურმით, რომელშიაც შებმული მყავდა ნესტორა და მე-კი პატარა წკნელი ხელში მეჭირა და უკან მივყვებოდი, როგორც ვითომც და პატრონი — მეურმე. შევიდოდით ჩვენს ტევრში (ტყეში), იქ ფიჩხით დავტვირთავდით ურემს, კალათს ავავსებდით წითელი სოკოთი და მხიარულათ ჩამოვრიხინდებოდით ჩვენს ეზოში და გადიასა და ანაიას შეშას და სოკოს მივუტანდით, ან წავიდოდით წალდითა და სასხლავითა სახარდნის ზევით შამბილოურისაკენ, ვეგძელაშიაც (ველგძელაში), იქ ტყეში მოვჭრიდით უშველებელ გარეულ ვაზებს, მოვათრევდით ეზოში და დიდი ნიგვზების ტოტზე ჩამოვაბამდით საქანელას და ვქანაობდით. ხანდახან შევეხვეწებოდით დედაჩემს, ბებიაჩემს. გადიასა და ანაიასაც არ ვივიწყებდით და იმათაც გავაქანებდით. ეს გარემოება ჩვენ ძლიერ გვახარებდა. უფრო ხშირათ ჩვენ ავდიოდით სიმიდის ყანებს ზევით, მთაში. ასეწოდებულ, ჭყუნეიშის მიდვრებზე. დიდი პანტის ძირში, რომლის ზევით, ყინულივით ცივი წყარო მოჩხრიალობს. იქ ხომლელი და ბანოჯელი გოგოები და ბიჭები კრეფდენ წიამპოლას (მარწყვი) და ლოდუას, ავსებდენ კალათებს და მიქონდათ ქუთაისში გასაყიდლათ. ცივ წყაროზე ავრეკდით, შუადლის გულზე, საქონელს წყლის დასალევათ და ჩვენ ყველანი, მუშაობის შემდეგ, შევუდგებოდით საერთო მხიარულ თამაშობას. თუ გნებავთ, ამ თამაშობასაც კოლექტიური ხასიათი ქონდა და საოცრათაც მიყვარდა ეს თამაშობანი. გერბერტ სპენსერი და ვუნდტი დიდ მნიშვნელობას აძლევენ ასეთ თამაშობას ბავშთა აღზრდისათვის... ვთამაშობდით ბურთაობას, გადახტომიას, გაქცევას. ქალაქობიას, ქორობიას. ხელმწიფობიას, გავმართავდით ჭიდაობასაც. ბოლოს, გადავაჯდებოდით თხილის, ან წაბლის ჯოხის ცხენებზე და მხიარულათ დავაჭენებდით აქით-იქით შეფენილ მიდვრებსა და გზებზე.

სალამოს, ბანოჯელი გოგო-ბიჭები თავიანთი საქონლით გაუდგებოდენ გზას ბანოჯისაკენ და ჩვენ-კი, ხომლელები ჩვენი სოფლის ნახირით წამოვიდოდით თავქვე

ჩვენი შინისკენ და ჩვენს ლხენასა და მხიარულობას საზღვარი არ ქონდა. დიდ წვიმებში და თოვლშიაც დაუდგრომელი, შეუჩერებელი ვიყავით. ატყდებოდა გაზაფხულზე წვიმები თუ არა, ჩვენ მაშინვე გარეთ გამოვიდოდით თავშიშველი და, საცა ნაკადულები და მთიდან მოხეთქილი ღელეები გაჩდებოდა, ჩვენ ბოგირებს ვაკეთებდით. ამ ბოგირებზე, მერე, საქონელს გავრეკდით, რო გაგვეშინჯა ჩვენი ნამოქმედარი, თუ რამდენათ მაგარი და ძტკიცე ბოგირები გავაკეთეთ. ზამთარში, როცა ჩვენი ეზო მუხლებამდის თოვლით დაიფარებოდა, მე და ნესტორა ცეცხლს კი არ ვექაქებოდით, იმ წამსვე გამოვრბოდით გარეთ, ეზოში, ვაგუნდავებდით თოვლს და ვბურთაობდით. გავაკეთებდით უშველებელ თოვლის ზვინებს. ზედ ავდიოდით და იქიდან სრიალ-სრიალით ძირს ჩამოვიდოდით. თოვლში, როცა შაშვი, ბოლოშავა და ჩხართვი, დამშეულები, ხუმბლას ეტანებოდენ, ჩვენ ჩვენი შვილდ-ისარით გამოვუდგებოდით. ნიშანში ამოვილებდით და ვესროდით იმათ. იმდენათ სულდაუთქმელი ვიყავით, რო მშივრებს ჭამასაც არ ვაცლიდით და ვაწვალებდით. ისინი კი არ კვდებოდენ. ავაფრენდით და ჩვენც ამით ვსიამოვნებდით. ეს თუ გნებავთ, ეგოიზმია, მარა ბუნებაა და რა ვქნათ. ათას ადგილს, უფრო კი სხლის ფუთრებზე მახეები გვქონდა გაკეთებული ჩიტების დასაჭერათ. სახლის კართანაც, დერეფანში სარეჯგველას გავაკეთებდით და თოვლში დამშეულ ბელურებს ვწყვეტდით. ეს, რასაკვირველია, არ იყო კარგი და ჭკვიანი საქციელი. ჩვენი მხრით, რადგან ბელურებს დიდი სარგებლობა მოაქვთ ჩვენი ქვეყნისთვის. მარა ჩვენ იმ ასაკში ვიყავით, როცა ჭკუას ნაკლები ფასი აქვს. ჩვენ იმას ვეტანებოდით ხარბათ, რაც გვახარებდა, სიამოვნებასა და ნეტარებას მოგვგვრიდა. და სასარგებლო იყო ჩვენი საქციელი, თუ არა, — ამაზე ჩვენ არ ვფიქრობდით...

დედაჩემს ეწველებოდა სამი ძროხა, ბებიას — ერთი. ეს ოთხი ძროხა ოჯახისათვის სრულიად საკმაო იყო. არ გვაკლდა ყველი და ნადუღი, ყველს საყველივროთაც ინახავდენ ხალმებში (დერგი) და ბევრიც გვქონდა. ხმელი

თევზი და ხიზილალა უხდა ეყიდა მამაჩემს ყველიერში ქუთაისში. ახალი თევზი, გუბის წყლის გემრიელი თევზი ბლომათ მოგვდიოდა ძღვნათ ბიძაჩემის — დიმიტრი იოსელიანისაგან ყველიერში, სახარებოთ, საბზობოთ და ფერიცვალებასაც. იმდენი მოგვდიოდა, რო ბიძებსაც და მეზობლებსაც ვუგზავნიდით. დილითაც ქაში გამოულეველი მქონდა. ხილი ხომ ყოველგვარი ჩემს ხელთ იყო: ალუჩა, კახამბალი, უნცროსოული, ალუბალი, წყალქლიავი, შავქლიავი, კორკიმელი (ჭანჭური) სხვადასხვაგვარი და ფერის ვაშლი, რომელთა შორის პირველობდა — სანეფო ვაშლი; სხალიც სხვადასხვა ფერისა და გვარის, ატამი კეზევაძის, ყვითელი, წითელი, თეთრი, თხილი, ჩიტლელვა, ბერძნული ლელვი, ბია (კომში), ყურძენი შავი, ყვითელი, კამური, თეთრი, შაქარბროწეული, ახალი ნიგოზი. ახლა მიდვრის ხილი — მარწყვი, მაყვალი, შინდი, მოცვი, პანტა, ტყის ვაშლი, დათვიხალა, სხმარტლი, წაბლი და, ვინ მოსთვლის, კიდევ რა და რა.

ხუთი წელიწადი რო შემისრულდა, დედაჩემმა დამაწყებინა ხუცურის — დავითნის კითხვა. ნახევარი წლის შემდეგ, მამაჩემმა დამიწერა ქართული ანბანი და წერაც შევუდექი. ქართულ ენის შესწავლით სახელმძღვანელო მაშინ არსად იყო. ვკითხულობდი და ვწერდი უზმათ, მერე საუზმეს გიახლებოდით. ვმეცადინობდი ორი საათი. შემდეგ, სულ თავისუფალი ვიყავი ჩიტივით და ჩემს სიყრმის მეგობართან დავდიოდი მიდვრებსა და ტყეში, მთებსა და წყაროებზე. აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოებაც. ბატონ-ყმობის გაყრის შემდეგ, ერთი ახალგაზრდა, ასე თვრამეტი წლის გიგო კიკვიძე არ მოცილებია ჩვენს ოჯახს. ჩვენსას იყო სულ, სწავლობდა სალმრთო წერილს და მეც საგალობლებს, უფრო-კი ძილის პირებს მაგალობებდა. დედაჩემის გოგოს ანაიას, თუმცა ქმარი არ ყავდა, მარა ორი ვაჟი მაინც გაჩენოდა: თედორია და ექვთიმია. თედორიას ძუძუ ჩემს უფროს დას — მინადორას ეწოვებია და მე ექვთიმიას დედის ძუძუ. ესე-

ნიც ჩვენსას გაიზარდენ და იყვენ ჩვენს ოჯახში, სანამ არ დაკოლ-შვილდენ.

ხომლში, ჩვენს ეზოში, გვედგა დიდი სამზადი სახლი, რომელიც ისლით იყო დახურული და იქ შუაგულ ალაგას მუდამ გაუქრობელი ცეცხლი ენთო. ზამთარში, ამ სახლში, უკანა კარებისაკენ ხარებისა და ძროხების დასაბმელათ ბაგას გააკეთებდენ და იქ ებათ საქონელი ღამეც და დღეც, თუ თოვლი იყო. მამაჩემის ცხენი, ან ჯორისათვის დასაბამი ადგილიც იქ იყო გაკეთებული. ეზოშივე ჩაწკაპული იყო: ხულა, ბელელი, სასიმიდე, ნალია. უკან სიმიდის ჩალა, ზამთარში საქონლის გამოსაკვებავათ დიდ-დიდ ზვინებად იყო ცაში აყვანილი. ეზოს დასავლეთისაკენ ბოსტანი იყო გაშენებული და, შემდეგ, დაბლა ვენახის თავში მოთავსებული იყო მარანი, სადაც იდგა ორი საწნახელი: ერთი დიდი, რომლიდანაც შვიდი საპალნე (10 ჩაფი) ღვინო ამოდიოდა და მეორე — უფრო პატარა, რომლიდანაც სამი საპალნე ამოდიოდა. ეს საწნახლები თელი წლის განმავლობაში თავდახურული იყო გძელი და ფართე ფიცრის სუფრებით, რომელზედაც ელაგა თორმეტი ხელის წისქვილი. ამ ხელის წისქვილებს ჩემს დროში არა ხმარობდენ. ალბათ, ეს წარსულის ნაშთი იყო. იქვე იდგა ორი ღომის ქვის საცეხველი: ერთი დედაჩემისა და ერთიც ბებიასი.

მარანთანვე იყო მოწყობილი მეორა-ტაფა, სადაც საწნახელიდან ამოღებულს ყურძნის ჭაჭას დაახარხინებდენ და მაჭარს სულერთიანა დააწნებდენ, რო ჭაჭას წვენი არ გაყოლოდა. იქვე შორი-ახლოს მიწაში იყო ჩაყრილი ჭურები (ქვევრები), სხვადასხვა ზომისა: ერთი საპალნის, ორის, სამისა, ოთხისა. იყო ზედა ვენახში კიდევ დიდი ჭური — ორმოცისა (ალბათ, ორმოცი ჩაფიანი), ზედა დობილოში იყო სამოცისა.

ეზოში, აღმოსავლეთის მხარეზე, გაკეთებული იყო მალი და ვრცელი ფაცხა, წნელით შელობილი და, მერე, სილა-კირით თეთრათ შელესილი შიგნითაც და გარეთაც. ამ ფაცხას ქონდა ფიცრის იატაკი და ჭერიც ფიცრის. კუთხეში ბუხარი ქონდა გაკეთებული. ორი პატარა ფან-

ჯარაც ქონდა. ერთი ჩრდილოეთისკენ, ერთიც სამხრეთისკენ. კარები ქონდა დასავლეთისკენ. შიგნით ფაცხაში, თავიდან ბოლომდი, ტახტი იყო გაკეთებული და ზედ გძელი და ბეწვებიანი ნოხი იყო გადაფარებული. ამ ტახტზე იყო დიდ-დიდი მუთაქები და ბალიშები. ბებიაჩემს — ტასიას აქ უყვარდა დაჯდომა და წოლაც. ბევრჯერ გვერდით მომიჯენდა და წიგნი წამიკითხეო, მეტყოდა.

აი, ამ ფაცხაში მოუსვენებია გურეშებიდან რომ მონავალა იმერეთის უკანასკნელ მეფეს—სოლომონ II, როცა იგი სწვევია თავის კარის მწიროველს — დეკანოზს სვიმონ ფანცხავას. აქ ხლებია მეფეს სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი თავის შვილებით: გრიგოლითა და დავით მიტროპოლიტით, სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, ბოქაულთ უხუცესი ვახუშტი წერეთელი, წულუკიძე ოტია და სეხნია. მოურავი ბერი ლორთქიფანიძე და სხვა მაშინდელი დიდი კაცები. მეორეჯერ ყოფილა—პაატა ლოლობერიძე, რომელიც სადილობის დროს მეფეს ადგა თავზე და ღვინოს უსხამდა. ღვინის დასხმის დროს, იგი ძალიან დაიღუნებოდა და უკანალი უჩანდა. ეს უხერხულობა შენიშნა. თურმე მას დეკანოზმა სვიმონმა და ჩუმათ უთხრა: ძალიან ნუ დაიკუზებიო. სვიმონ დეკანოზი თავის ხელმწიფეს საკუთარი ღვინით გამასპინძლებია და მეფესაც ძალიან. თურმე, მისწონებოდა იმისი ღვინო.

ასე არ მოქცეულა გერმანე ეპისკოპოზი (საწულიკიძოელი აზნაური გოგოლაშვილი). იგი, თურმე, სტუმრათ ეწვია მამაჩემს და თავის სიძეს — ბიძაჩემს — ალექსის ხომლში. მარა სადილზე მას ჩვენი ღვინო არ მიუთმევია. ივასთან დაქონდა კახური წითელი ღვინო ბოთლებით და კრებულმაც იგი მიართვეს მას სადილზე...

ახლანდელ მკითხველს გაუკვირდება ამ ფაცხის ამბავი. ასეთს მდიდარს დეკანოზს, როგორც სვიმონი ყოფილა, ფაცხა როგორ ედგაო. მარა ეს გაკვირვება სექმისა და გარემოების ჩაუხედველობას ნიშნავს. იმ დროს, რომელსაც ჩემი საუბარი შეეხება. ამაზე უკეთესი სახლი თავადაზნაურობაშიაც არ იყო. იმერეთის ოდები წარმოადგენდენ ქვის პალატზე წამომდგარ ხის სახლებს, როძელთაც

არც ბუხარი, არც ფანჯარა არ გააჩდათ. დიდი საქმე იყო, თუ წინგამოსასვლელი პარმაღი იატაკმოგებული იყო და ზედ რიკული ქონდა გაკეთებული. პირველი შენობა მთელს იმერეთში მეფის სასახლე იყო, რომელზეც ხალხს ლექსიც ქონდა შეთხზული:

ნეტა, რა არი მისთანა,
ამომავალი მზისთანა.
ფეხი რო წყალში უდგია,
იმ ოქროს ჩარდახისთანა.

ეს სასახლე მდგარა ქუთაისში. სწორეთ იმ ადგილზე. სადაც კლასიკური გიმნაზია იყო გაშენებული. სასახლის საძირკველი, მართლაც, მდინარე რიონის ნაპირზე იყო ჩადგმული და დილის მზის სხივებით ლაპლაპებდა იქაურობა...

1866 წელს, მამაჩემმა, ალბათ, გაბრიელ ეპისკოპოზის ჩაგონებით, წყალტუბოში გამოიწყო ქვითკირის ეკლესიის აშენება. წინანდელი ხის ეკლესია, რომელიც აფხაძეების კარზე, გორაკზე იყო გაშენებული, ძალიან დაძველებული იყო და ხალხსაც ვეღ იტევდა. ახალი ეკლესია აშენდა გორეის (გორების) თავზე, რომელიც არწივივით გადასცქერის მთელ იმ მხრის არე-მარეს. სოფელმა აირჩია კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეთ მამაჩემი იყო და შეუდგენ საქმეს. ვინ ასწერს ახლა ამას კალმით, თუ რაოდენი ქვა, სილა, კირი. წყალი და სხვა რამეები(ც დაჭირდა ეკლესიის აშენებას. გაუტოგდენ მაქსიმე ბერძენს (გვარი არ მახსოვს). და, მართლა(ც, აშენდა ეკლესია ძალიან მაღალი, ფართე და ნათელიც. სწორედ შესაფერი დიდი და მდიდარი მრევლისა, სადაც 400 კომლი ითვლებოდა გლეხი და აზნაური.

ამ დიდმა, მაშინდელმა საქვეყნო საქმემ მოითხოვა სოფელ ხომლიდან მამა ჩემის აყრა და ჩვენც სულ ოჯახიდან გადავსახლდით წყალტუბოში. აქვე ეკლესიის გა-

დალმა დავაკებაზე, სადაც იდგა სოფლის თვითმართველობის კანცელარია და შორი-ახლოს ორი დუქანიც ჭონდა გამართული ორს იოსელიანს, დადგმული იქნა ორთვალიანი ხის დიდი სახლი, სამზარეულოთი. შამოიღობა მესრით ეზო და დავბარგდით იქ მთელი ოჯახი. ჩვენ ოჯახს მაშინ შეადგენდა: მამა და დედა, ჩემი უფროსი დაი — მინადორა, მე და ჩემი ძმა — ევსელინი (იაკობი დაიბადა წყალტუბოს), დედაჩემის გოგო — ანაია, მისი ვაჟები — თედორე და ექვთიმე, ივანე გურული (წიგნის სასწავლებლათ იყო ჩვენსა), დიმიტრი აფხაძე (ხუცურს სწავლობდა) და ერთი მოჯამაგირე — ფილიპე ნიქაბერიძე, შემდეგში წყალტუბოს ნიჭიერი მამასახლისი. ხომლში, ჩვენს ოჯახში დარჩა ბებიაჩემი — ანასტასია, გადია და ორი მოჯამაგირე ყავდათ მიჩენილი. მამაჩემი ყოველ კვირას ღამის ცხენით მივიდოდა (ოთხი ვერსტი იყო) ხომლში და მთელი კვირის სამუშაოს განკარგულებას მიცემდა მოჯამაგირეებს. ორშაბათს დილას, ჩვენ ამდგარიც არ ვიქნებოდით, მამაჩემი წყალტუბოს გაჩნდებოდა. იგი მუდამ თვალს ადევნებდა ეკლესიის მუშაობას, გაკვეთილსაც აძლევდა იქვე, მის მიერ გამართულს სასწავლებელში, სადაც მე ვსწავლობდი, იოსელიანის ყმაწვილები, წყალტუბოს გლეხთაგანი — კინწურაშვილები, აფხაძეები, ბერაძეები და სხვ. რომლიდანაც იყო ერთი მოწაფე — ლოლობერიძე.

ამასთანავე, მამა იყო მაშინ თანაშემწე კეთილ მოწესის — რაჟდენ გიგაურის, რომელიც იყო მოძღვარი ქუთ. მთავარ-ანგელოზის ტაძრისა, კლასიკური გიმნაზიისა და სასულიერო სასწავლებლის საღვთო რჯულის მასწავლებელიც. და მთელი ოლქის მართველობის მძიმე და პასუხსაგები საქმეები სულ მამა ჩემს აწვა კისერზე. ახლა მიკვირს, როგორ ადიოდა ეს ერთი კაცი ამდენ სამუშაოს, რომელიც დღე და ღამ განუწყვეტელ მღვიძარებას და დიდ სიფხიზლეს თხოულობდა... კვირაობით, ნაწირვებს, თუ როდისმე შეისვენებდა, სტუმრობაც იცოდა, პურმარილზე დაპატიჟებაც უყვარდა...

თითოული შეძლებული და შუა შეძლების გლეხი მაშინ იხდიდა დრამას, კრებულის შესანახავათ: ერთ ჩაფს შუმ ღვინოს, ორ ფუთს სიმიდს და ერთ ურემ შეშას. აქიდან სამი წილი მოძღვრის იყო. ორ წილს ორი მედავითნე შუაზე იყოფდა, მეორე მედავითნე მამაჩემს ყავდა. მიხეილ კინწურაშვილი, საშინელი ხუმარა კაცი. იყო ორი მნათე. ორივე შეძლებული ოჯახის შვილები — გლეხი — ანდრია აფხაძე და მეორე — სიმონ ჯიქია. ანდრია აფხაძეს ყავდა ხუთი დევივით ვაჟი. ერთი ვაჟი — დიმიტრი მამაჩემს ყავდა მიბარებული და საეკლესიო წიგნებს ასწავლიდა. შემდეგში, ეს დიმიტრი გაბრიელ ეპისკოპოსმა მედავითნეთ გაამწესა სოფელ გუბის წყალზე. ამ მედავითნემ დიმიტრიმ თვისი ვაჟი გაზარდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში და იგი, მერე, იქედან სამხედრო სამსახურში შევიდა და დაწინაურდა.

სიმონ ჯიქიასაც ხუთი ვაჟკაცი შვილი ყავდა გაუყოფელი. ორივე მნათეს თვისი საკუთარი მშვენიერი წყარო ჭონდათ, ეზოს გადმოლმა. მე ამ წყაროებზე დამყავდა ხოლმე მამაჩემის ცხენი ყოველთვის წყლის დასალევათ. გადავჯდებოდი უბელოთ, მივაჭენებდი წყაროსთან და ვასმევდი ცივს წყალს, დილით ადრე. ეს ჩემთვის დილის სასარგებლო გასეირნებაც იყო და ვსიამოვნებდი. წყაროზედვე ვიბანდი ხელ-პირს, და მერე, საუზმის შემდეგ, წავიდოდი იქვე, ეკლესიის ფართე, დიდ გალავანში მამაჩემის მიერ გამართულს სასწავლებელში, საცა ვსწავლობდით სადილობამდი.

მამაჩემმა შემაკვრევინა რვეული და შიგ ჩამიწერა რუსული ანბანი და პატარა რუსულ-ქართული ლექსიკონიც გამიკეთა. დღეში უნდა დამესწავლა ათი რუსული სიტყვა და ქართულადაც უნდა მცოდნოდა მათი მნიშვნელობა. მამამ მასწავლა: ჩხიკვს რუსულათ „Сойка“ ქვიაო. შემდეგში, როცა დავბძენდი და ჩემთან პეტროვო-რაზუმოვის აკადემიაში კურს დასრულებული აგრონომები მსახურებდენ, იმერეთის სოფელში ხშირად შეხვდებოდით ჩხიკვს და ვკითხავდი იმათ: აბა, რუსულათ, რა ჰქვია ამ ფრინველს-მეთქი. მარა ისინი ვერ მეტყოდენ. მგონია,

არც ჩვენ დავით ჩუბინაშვილს აქვს თავის ლექსიკონში ეს სიტყვა შეტანილი. საიდან ქონდა მამაჩემს რუსულად ჩხიკვის სახელი გაგონილი? ახლაც მიკვირს.

ძალიან დახელოვნებული ვიყავი სალმთო წერილის კითხვაში. შაბათობით, წირვაზე, სამოციქულოს მე მაკითხებდა მამაჩემი. ამ დროს, მე მერვე წელიწადში ვიყავი გადამდგარი და სახელიც გამივარდა სოფლად. მშობლები, როცა ახალ შეძენილის მონათვლა უნდოდათ, მე მთხოვდენ შვილის მონათვლას. მარა მე ძალიან ფარზე ვდგებოდი. მამაჩემისაგან მჭირდა ახსნილი, რო ნათლულს მამა მოუკვდეს, ნათლიამ უნდა უპატრონოს იმას და მამასავით გაზარდოსო, თორე წაწყდებაო. მე ეს სიტყვები ყოველთვის მახსოვდა და ბავშის მონათვლას ვერა ვბედავდი. ისე კი მამაჩემსაც და დედაჩემსაც შვიდ-შვიდი ნათლული ყავდათ თითოეულათ. მე ახლაც ისე ვკვდები, რომ ერთი ნათლულიც არა მყავს...

მამაჩემის სასწავლებელში იყო მიწვეული ერთი ჩვენებური მასწავლებელიც, სახელდობ, კონსტანტინე ლოლობერიძე (კვადატია), რომელიც ქუთ. სასწავლებლიდან იყო გამოსული. იმას ყავდა შამოყვანილი მამაჩემის სასწავლებელში თვისი უმცროსი ძმა, ჩემზე უფრო ბევრათ უხნესი — ნევოია (ნოე). ვერ სწავლობდა კარგათ ეს ნევოია. ერთხელ, იმისი უფროსი ძმა — მასწავლებელი ისე გაბრაზდა, რომ ჩემი თვალის წინ. ბროწეულის წკნელით გააროძგვინა ამხანაგს. მე მაშინვე გულ-გახეთქილი და ატირებული კარში გამოვარდი, გავიქეცი და დედაჩემს უამბე (მამა არ იყო შინ) ყოველივე დაწვრილებით შეშინებულმა. დედა მომეფერა, დამამშვიდა და როცა გაკვეთილები გათავდა, მან დაიბარა მასწავლებელი კვადატია და გადაწყვეტით უთხრა, რომ შენ მასწავლებლობას თავი უნდა გაანებო, რადგან ჩემი ვაჟი შენთან ალარ ივლის სასწავლებლათო.

მამაჩემი რო სახლში მოვიდა, მე თვალცრემლიანი მოვუყევი მას ნევოიას გაროზგვის ამბავი და გადაწყვეტილათაც ვუთხარი, რო კლასში არ წავალ, სანამ კვადატია იქნება მასწავლებელი-მეთქი.

— ერთი კვირა მადროვე, შვილო, სანამ ქუთაისიდან მასწავლებელს მოვიყვანდეო.

და მართლაც, ის კვადატია ლოლობერიძე მამასახლისს აუყვანია სოფლის მწერლათ და ჩვენ-კი მოგვიყვანა ახალი მასწავლებელი წივწივაძე.

სოფელ წყალტუბოში მე მყავდენ დამეგობრებული იოსელიანის ვაჟები: ონისიმე, ალექსანდრე და კოსტა. ესენი სამივე ჩემზე უფროსები იყვენ. მარა მე ვეროც ერთი ჭიდაობაში ვერ მეროდა. ამათი მშობლები ეკლესიის ახლოს ესახლენ და მუდამ ნასადილევს ჩემთან იყვნენ. ერთად ვთამაშობდით და ვჭიდაობდით. მხოლოდ კარგა გამიძალდებოდა და იქნებოდა ისეთი შემთხვევაც, რო სრულიად ვერ დავძლევდი და გავზავდებოდით. ერთ ზაფხულში, ეს კოსტა თავის დედულს — ჭომას — აბუ-ლაძეებში წავიდა და იქიდან დაბრუნდა ისეთი გასუქებული, ჩაკურატებული და მაგარი, რომ იგი მე ველარ წავაქციე, მერე.

წვიმაში, ეკლესიის გალავნის გადაღმა, გორაკის დაქანებაზე ნიალვრებს თხრილები ჭონდა გაკეთებული. ჩვენ ამ თხრილებზე ერთად ვაკეთებდით ბოგირებს, ვაყრიდით ზეიდან ქვიშას და ატხაძეების კამბეჩებს გავდევნიდით ზედ, რო გაგვეშინჯა სიმაგრე ჩვენი ხიდებისა.

ბევრჯერ წავსულვართ ერთად აბანოებისკენ, ანკესებითა და ჭიებით, რო თევზები დაგვეჭირა მდინარე წყალტუბოში. ერთხელ, მახსოვს, საბზობით პატარა მდინარე— მეჩხერში წავიდენ ჩვენი მოჯამაგირე — ფილიპე, ივანე გურული და მეც გავყევი იმათ, კიბოების დასაჭერად. დილით, ცისკარი არ იყო ამოსული, ავდექით და წავედით. ისინი იჭერდენ კიბოებს და მე არა. მეშინოდა გველის. გამეგონა რო კიბოს დასაჭერათ ხელს შეყოფ წყალში, შეიძლება, გველი გამოიყვანო და ამას, აბა, როგორ გავბედავდი. თუმცა ახსნილი მქონდა, წყალში გველი არ იკბინებაო და რო გიკბინოს კიდეც, შხამი ამას არ აქვს და არაფერი დაგიშავდებაო. წყალში ჩასვლის წინ, გველი თავის შხამს, იქვე ქვაზე სტოვებს, გამიგონია. მე მაინც ვშიშობდი, ხელში გველის დაკავებას...

იმ დღესვე 2 დიდი კალათი ავავსეთ კიბოებით, გველიც არ შეგხვდერია და, რასაკვირველია, დიდათ გახარებული დავბრუნდით შინ. დედაჩემმა იცოდა, შემწვარი კიბოს გემრიელათ გაკეთება, ნიგვზის ზეთში. გააკეთა დედამ ეს კიბო და ბზობას დაპატიჟეს კიბოზე ჩემი ბიძა (დედის ძმა) დიმიტრი, პეტრე იოსელიანი, შემდეგში იმერეთის თავად-აზნაურობის მარშლის (ნესტორ წერეთლის) მდივანი, იმისი ძმა — ბუჯა იოსელიანი და სხვ.

წყალტუბოს აბანოებს იმ დროს სამკურნალოთ არავინ ეკარებოდა და უპატრონოთ იყო მიტოვებული. ეკარებოდა კი არა, წყალტუბოელი რო დაიწყევლებოდა, ასე იტყოდა: შენს ეზოში ღმერთმა აბანო ამოიყვანოსო. ეს იყო იმ დროს უშველებელი წყევლა რადგან აბანო, მართლაც, ყოვლად უსარგებლო იყო. იყო თფილი წყალი, მაგრამ რად გინდა, შიგ ყანას ვერ მოიყვანდი, ვენახს ვერ გააშენებდი, ბოსტანს ვერ გააკეთებდი და, ვის, რა ოხრათ უნდოდა...

მარა. აი, მოხდა სასწაული. წყალტუბოს ეკლესიიდან ქუთაისამდი გაჭრეს გზა ფართო, აქით-იქით თხრილებიც ამოიღეს და ქუთაისიდან ნელ-ნელა დაიწყეს წყალტუბოს აბანოებზე სიარული და მკურნალობა — გაზაფხულზე, და ნამარიობევს — 15 აგვისტოდან. ზაფხულში, აბანოს პირებს კაცი ვერ მიეკარებოდა, ისეთი დიდი ალხები იცოდა და ციებ-ცხელებაც აუტანელი. მე პატარაობისას გავბედე აბანოში ბანაობა, გავწევი ფიცარზე, ბაყაყურათ ვიცურე და თავი შევიქციე. მარა ამ ჩემს თავის შექცევას, ჩემი ციებაც მოყვა...

რასაკვირველია, აბანოს რო მუშტარი გაუჩდა, გადასახადიც დაადვეს ჩემმა ბიძებმა (აბანო ამათი იყო). მაშინვე ბუჯა იოსელიანმა და გიორგი მალალმა (იოსელიანი) ჩემი ბიძებიდან აბანოს წილი იყიდეს და, რასაკვირველია, ხელიც გაითფეს. როცა წყალტუბოს მზომელები მივიდენ, დედაჩემმა წყალტუბოს აბანოებზე დავა განაცხადა. მამაჩემი კი უგუნებოდ უყურებდა ამ საქმეს.

– რა ჩემი საქმეა აბანო, მე ტრაპეზის კაცი ვარ, შვილები გავზარდო, იმათ ვასწავლო, ავამალლო გძნობა-

გონებით, განა ამას შეედრება რამეო. და დედა ჩემს უშლიდა, ალარ გაყოლოდა ამ საქმეს. საშინელი უანგარო კაცი იყო მამაჩემი...

ხილი და ნებივრობა წყალტუბოშიაც არ მაკლდა. ჩემი დედული წყალტუბოში იყო, ეკლესიის გადალმა — გორაკზე, სადაც აუარება ხილი იყო და დიდებული წყარო კოდა. აბა, რას გავუშვებდი, ხშირად ავირბენდი იქაცა და ვნებივრობდი...

დასრულდა წყალტუბოს ეკლესიის აშენებაც, შიგნით მხატვრობითა და ყოველის სამკაულობით მორთვაც და ამის საკურთხებლათ მობძანდა თვით ეპისკოპოზი — გაბრიელი. ეს იყო დიადი დღესასწაული მთელს ჩვენს მხარეზე. სოფელ ჩუნეშიდან ცხენებით ლამაზად მორთულნი გამოვიდენ თავადი ლორთქიფანიძენი თავიანთ კნეინებითა და მხლებლებით, სოფელი ქვილიშორიდან, გალმა წყალტუბოდან, გვიშტიბიდან და გუბის წყლიდან იოსელიანები, ჩვენი სოფლიდან ლოლობერიძეები. გლეხები ხომ ყოველ კვირას თავს ჯარათ იყრიდენ თავიანთი მამასახლისის კანცელარიაზე. მობძანდა ეპისკოპოზი — გაბრიელი თავისი კრებულითა და არხიდიაკონით — შავლაშვილით (შავლიევი), რომელსაც შვენიერი ბარიტონი ხმა ჭონდა. ამ უშველებელ ტაძარში გრგვინვასავით ჭეხდა არხიდიაკონის ძლიერი ხმა და კანდელაკების მწყობრ გალობას გადაყავდა ადამიანის გრძნობა-გონება სულ სხვა მხარეს და სხვა ქვეყანაში. წირვის შემდეგ, გაბრიელ ეპისკოპოზმა შესანიშნავი სიტყვა უთხრა წყალტუბელებს და დიდი ქებით მოიხსენია იგინი.

— არსად, მთელს ჩემს ეპარქიაში, სოფლად ამისთანა ეკლესია არ მაქვსო. და ეს დღემდე არ დამავიწყდება ჩემს სიცოცხლეში.

— : —

ბიბლიოგრაფიას

პროფ. ი. აბულაძე — რუსულ-ქართული ლექსიკონი, ნაწ. I.

დიდი მოლოდინის შემდეგ ჩვენ უკვე ხელთა გვაქვს პროფ. ი. აბულაძის მიერ შედგენილი რუსულ-ქართული ლექსიკონის პირველი ნაწილი. მართალია პატივცემული ი. აბულაძე, როცა ლექსიკონის წინასიტყვაობაში ამბობს, რომ „რუსულ-ქართულ ლექსიკონის გამოცემა ნამდვილ დეზიდერატად იქცა". მართლაც, ამ ოთხმოცდა ერთი წლის წინად გამოცემული დ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონი ამ ყამად არ იმოგება, საკმაოდ მოძველებულიცაა და მრავალი ნაკლის გამო არც გამოსადეგია და ამიტომ ბუნებრივად ყველა წერა-კითხვის მცოდნე ქართველს რუსულ-ქართული ლექსიკონის საჭიროება მწვავე წყურვილად გადაექცა. ამით აიხსნება, რომ ლექსიკონის გამოცემას მოუთმენლად მოველოდით და თვით ი. აბულაძის სახელიც საკმაო საწინდრად მოგვეჩხდა, რომ მისი ნაშრომი ამ დიდი ხნის მწვავე წყურვილს მოგვიკლავდა.

გაგვიმართლა თუ არა იმედი ი. აბულაძის ლექსიკონმა?

სამწუხაროდ, გულახდილად უნდა ვალიაროთ, რომ ლექსიკონმა მოლოდინი სრულიად არ გაგვიმართლა და დღესაც იმ „გატეხილ როტთან ვდგევართ", სადაც აქამდის გიდგ)ქით.

უწინარეს ყოვლისა, როგორი ლექსიკონი გვესაჭიროებოდა და გვესაჭიროება? ჩვენ გვესაჭიროება ისეთი რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომელშიც თითოეული რუსული სიტყვა მისი ქართული შესატყვისით იქნება ახსნილი, თუ ლექსიკონში ეს პირობა დაცული არ არის, მაშინ ჩვენ, რაც განებავსთ, იმას მივიღებთ. მაგრამ არა რუსულ-ქართულ ლექსიკონს ამ სიტყვისა და ცნების ნამდვილი შინაარსით.

ლექსიკონი ხომ გევრნაირია და ერთი მეორისაგან იმით განირჩევა, თუ საფუძვლად რა პრინციპი უდევს, რა პრინციპზედ არის აგებული და დალაგებული მასალა. ამის მიხედვით ჩვენ ვასხვავებთ ლექსიკონებს გეოგრაფიულს — გეოგრაფიული სიტყვებისა და ტერმინების ახსნითა და განმარტებით, ბიოგრაფიულს, ტეხნიკურს, მითოლოგიურს და სხ., ხოლო როცა ლექსიკონი ყველა ამ საფუძველზედ არის აგებული, როცა ის ენის მთელს ცოცხალ ლექსიკას — თავისთავადსა თუ ნასესხებს — შეიცავს, ასეთს ლექსიკონს ენციკლოპედიური ეწოდება.

რას წარმოადგენს ამ თვალსაზრისით ი. აბულაძის ლექსიკონი? ის თითქო ყველაფერია და ნამდვილად კი არაფერი არ არის, ვი-

ნაადან მასში ყველაფერი დომხალივითაა არეული: აქ თქვენ იპოვით ცოველნაირი ლექსიკონის ელემენტებს—ბიოგრაფიულის, გეოგრაფიულის, ტეხნიკურის, ენციკლოპედიურის და სხ., ხოლო რაც შეეხება საკუთრად რუსულ-ქართული ლექსიკონის მასალას, ე. ი. რუსული სიტყვების მათი ქართული შესატყვისებით ახსნას, ამ მხრივ ი. აბულაძის ლექსიკონი ახალს თითქმის არაფერს წარმოადგენს — იგი დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის განმეორებაა იმავე ნაკლოთა და შეცდომებით — და ეს ნაწილიც ისეა გათქვეფილი ლექსიკონში, რომ მეტის-მეტად აძნელებს მის ხმარებას.

708 გვერდიანი დიდტანიანი წიგნის (ეს მხოლოდ პირველი ნაწილია ლექსიკონისა) ვეებერთელა ნაწილი უცხო სიტყვებსა და ტერმინებს უჭირავს, თუმცა მრავლის უმრავლესი სიტყვა და ტერმინი ცოდნის სხვადასხვა დარგისა შემდგენელს სრულიად გამორჩენია. ლექსიკონში არ მოუთავსებია და ამიტომ, ენციკლოპედიურობასაც რომ თავი დაგვანებოთ, ცოდნის არც ერთი დარგის ტერმინოლოგია საკმაო მოცულობით მოცემული არ არის.

მერე როგორ არის განმარტებული ტერმინები?

რუსული სიტყვის გვერდით იგივე სიტყვა ქართული ასოებით არის დასტამბული და შემდეგ შემდგენელი თვით სიტყვის განმარტებას ჩვიდლევს ქართულად. სანიმუშოდ რამდენიმე ტერმინი ავიღოთ სხვადასხვა დარგიდან, რათა მკითხველმა დაინახოს, თუ რა ღირსებისაა ტერმინების განმარტება.

1) „დიდი ავარია, ანუ საზოგადო (?): წინასწარ გათვალისწინებული ზარალი, რომელიც მოსდის გემს გინა საქონელს თვით გემისა, ხელხისა და საქონლის გადასარჩენად, — მაგ. თუ გემი საშიშ მდგომარეობაშია და აუცილებელია საქონლის გადაყრა ზღვაში, ან ეკიპრეები თავს დაესხნენ და თავ-დაცვის დროს ზარალი ნახეს (ვინ? მეკობრეებმა?-ა.). ასეთს შემთხვევაში დამცველთა დაჭრილდოვება, დაჭრილთა მორჩენა და სხვა ხარჯები ნაწილდება ყველას თავზე, **ვინც გემზე იყვნენ, ე. ი. როგორც გემის პატრონზე, ისე საქონლის პატრონებზე**“. უწინარეს ყოვლისა განმარტება თავისი შინაარსით სრულიად არ არის დამაკმაყოფილებელი. მაგრამ ამის გამოაშკარავება შორს წაგვიყვანდა, — საქმაოა ამ განმარტებაში ერთი კუთხიაზი აღვნიშნოთ: თუ გემის პატრონი და საქონლის პატრონი ავარიის დროს გემზედ არ იყვნენ, მაგალითად ბათომში ან ტფილისში დარჩნენ, პასუხისმგებლობისაგან ისინი თავისუფალნი ყოფილან...

2) „ავანსი — ბე. ან ფულის, გინა საქონლის სესხად მიცემა: მოგება. რომელიც მიიღება ყიდვა-გაყიდვიდან“. სრული გაუგებრობა! ავანსი და ბე თავისი ბუნებით სულ სხვადასხვა ცნებაა და ურთიერთისაგან იმით განსხვავდება, რომ ავანსი ხვედრი ფულის ანგარიშში წინასწარ გაცემული თანხაა და გამცემს უნდა დაუბრუნდეს. თუ სავაჭრო ოპერაცია არ განხორციელდა. ბე კი ხელშეკრულების უზრუნველყოფის საშუალებაა. რომელ შემთხვევაში წარ-

მოადგენს ავანსი „ყიდვა-გაყიდვიდან მიღებულ მოგებას“, ეს გამოცანაა და გამოცანადვე რჩება.

3) კონტოკორენტი—ასე უწოდებენ კურანტულ სიას, რომელიც შეიცავს მოვაჭრე პირთა შეკითხვებს“. იგივე გაუგებრობაა. კონტოკორენტი არის განსხვავებული ხასიათის მიმდინარე ანგარიში ორ პირსა, საწარმოსა ან დაწესებულებას შორის და ჩვეულებრივი მიმდინარე ანგარიშისაგან იმით განსხვავდება, რომ კონტოკორენტით შეიძლება ორივე მხარე ერთდროულად აღმოჩნდეს დავალიანებული.

4) „Конфискую — ვასხვისებ“. გასხვისება ნიშნავს მესაკუთრის მიერ საკუთარი ქონების სხვისთის მიყიდვას, ჩუქებას და კონფისკაცია კი ხელისუფლების ორგანოს მიერ მესაკუთრისაგან ქონების ჩამორთმევაა.

5) „ალიბი“-თ ნაგულისხმევია ბრალდებულობის დამამტკიცებელი საბუთი, რომელიც დაფუძნებულია იმ მოსაზრებაზე, რომ ბრალდებული იმ მომენტში, როდესაც დანაშაულის ჩადენას ადგილი ჰქონდა, არ იმყოფებოდა დანაშაულობის ადგილზე და, მაშასადამე, არ შეეძლო მისი ჩადენა“,— მაშასადამე, „ალიბი“, პირუკუღმა. უბრალოების და უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთი ყოფილა და არა ბრალდებულობისა.

6) Дальнейшие усовершенствования — შემდგომი წარმოებანი“ (?!).

ამნაირივეა განმარტება სიტყვებისა: აბისინია, ავალი, აჟიო, აჟიოტაჟი, ავიზი, აკრედიტივი, ბალახონი, ბალდა, ბარიკადა, ბარანტა, სესხი,, ჰიმენეი, კოდის ჭა, ილიუზია, გალუცინაცია და მრავალი სხვა — ყველას ალბუსხვა არც საჭიროა და შეუძლებელიც არის საბიბლიოგრაფიო შენიშვნაში.

საგრძნობლად მოიკოჭლებს ლექსიკონის ქართულიც, რაც განსაკუთრებით განსაცვიფრებელია ი. აბულაძის ნაშრომში.

მაგალითები:

ა) ...„ავსტრო-ჰუნგრეთის ახლად აშენებული **საბჭოთა რესპუბლიკა,** რომელმაც შექმნა ახალი ცხოვრება და შესძლო აუარებელ მტერთან გამკლავება, მალე დაექვემდებარა სოციალ-დემოკრატიის გავლენას და **გასცა თავისი ნორჩი საბჭოთა რესპუბლიკა“.** გამოდის, რომ ავსტრო-ჰუნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკას გაუცია თავისი ნორჩი საბჭოთა რესპუბლიკა...

ბ) ...„ზამშა... მიდის ხელთათმანების დამზადებაზე“ (идет на изготовление перчаток).

გ) „ქორწინებრივი კავშირი, რომელიც... სრულიად არ ჰსაჭიროებს (?!) საეკლესიო წესების დაცვას“ (გვ. 406).

არ არის ქართულად ნაწარმოები სიტყვები: გენიალური, გენერალური, ინტეგრალური, ინტელექტუალური, ინსტრუმენტალური, კომფორტაბელური, კონფიდენციალური, კომუნალური და მრავალი სხვა.

როცა რუსულ სიტყვას ქართულად რამდენიმე შესატყვისი აქვს, ლექსიკონში რუსული სიტყვის გვერდით ამ შესატყვისების მარტოდენ აღნიშვნა საკმაო არ არის, არამედ თითოეულის ცალკე განმარტებაა საჭირო, თუ რომელ შესატყვისს რა მნიშვნელობა აქვს და სად და რა მნიშვნელობით იხმარება. ი. აბულაძის ლექსიკონში საკმაოდ და ჯეროვანად არც ეს პირობაა დაცული, უამისობა კი ლექსიკონის ერთ-ერთი უდიდესი ნაკლია.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ნაკლი ლექსიკონისა ის არის, რომ ზმნებს კონსტრუქცია არა აქვს დართული. ქართული ენის აწინდელი „კრიზისი“ და ავადობა მარტოდენ სიტყვების დამახინჯებით, ქართული ტერმინოლოგიის უგულვებელყოფით, ბარბარიზმებით და საჭოთირო სიტყვების შემოღებით არ ხასიათდება, — უარესი და უსაშინელესი სენი გაუკუღმართებული და დამახინჯებული კონსტრუქცია არის და ამიტომ ლექსიკონში ზმნებს კონსტრუქცია უთუოდ უნდა ჰქონდეს დართული, რათა მტკიცედ იქნეს დადგენილი, თუ ზმნას როგორ და რა სახით უკავშირდება წინადადების სხვა ნაწილები.

ამით გავათავოთ. ი. აბულაძის ლექსიკონის ყველა ნაკლის და შეცდომის აღნუსხვას თითქმის ამ ლექსიკონის ოდენა წიგნი დასჭირდებოდა, საბიბლიოგრაფიო შენიშვნად კი ნათქვამიც კმარა. ი. აბულაძის ნაშრომიდგან განდევნილი უნდა იქმნეს მთელი ის მასალა, რაც მხოლოდ ბალასტს წარმოადგენს და რასაც სხვა ლექსიკონებში უნდა ჰქონდეს ადგილი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ან საგანგებო დამატებებში, ხოლო რაც ამ ოპერაციას გადაურჩება, ის სულ ახლად უნდა იქმნეს დამუშავებული, დალაგებული და შევსებულ-შესწორებული, მაგრამ ვინ ღა და როდის ღა მოესწრება ამას.

გიდევს წინ ეს ვეებერთელა წიგნი, ჰფურცლავ ხან ალმა, ხან დალმა და გულმოწყლული ჰფიქრობ, რომ ამდენი შრომა, ენერგია, ნივთიერი საშუალება სულ ფუჭად წყალშია გადაყრილი!

არიფი.

—:—

ძ ი რ ი თ ა დ ი

◆ ი. გრიშაშვილის ახალი წიგნი. რედაქციამ მიიღო პოეტ ი. გრიშაშვილის ცოტელი მონოგრაფია „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა“. გამოცემა სახელგამის. წიგნი მდიდრადაა გამოცემული და დასურათებული. შეიცავს მეტად სინტერესო მასალას ძველი ტფილისისა და მისი ხელოსან-ხალხური პოეტების ვრცელ დასურათებას: დაწვრილებითი რეცენზია—შემდეგ ნომერში.

◆ ს. ლორთქიფანიძის წიგნი. ზაკკნიგამ გამოსცა ცნობილ ბელეტრისტის ნ. ლორთქიფანიძის მოთხრობათა კრებული „ნანგრევთა სურნელება“ (წიგნში მოთავსებულია ხუთი მოთხრობა), შეიცავს 284 გვერდს და ღირს 2 მ. 25 კაპ.

ქართველ მწერლების ავტობიოგრაფიები.

საქართველოს გაერთიანებულ მწერალთა საბჭომ გადაწყვიტა შეკრიბოს და დაბეჭდოს ქართულ და რუსულ ენაზე ქართველ მწერლების ავტობიოგრაფიები.

ავტობიოგრაფიებს უნდა ჰქონდეს დართული პორტრეტები და გამოცემული წიგნების სია და არ უნდა აღემატებოდეს ჩვეულებრივ ფორმატის ორ გვერდს.

ხელნაწერები 1 მარტამდის უნდა გაიგზავნოს ხელოვნების სასტუდიაში ან „ქართულ მწერლობის“ რედაქციაში ტიციან ტაბიძის სახელზე.

რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ:

წერილი საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ყრილობის შესახებ დაიბეჭდება შემდეგ ნომერში სრულიად საქართველოს მწერალთა ყრილობასთან დაკავშირებით.

◆ **დადგენილება საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.** ლიტერატურული შრომის დარგში მომუშავეებისა, მხატვრებისა, მოქანდაკეებისა, მათი შვილებისა და აგრეთვე სამეცნიერო დარგში მომუშავეთა შვილების სასწავლებლებში მიღების სფეროში მუშათა შვილებთან გათანასწორების შესახებ.

ლიტერატურული შრომის დარგში მომუშავეებისა, მხატვრებისა, მოქანდაკეებისა, მათი შვილებისა და სამეცნიერო დარგში მომუშავეთა შვილებისათვის განათლების მიღების გასაადვილებლად— საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ლიტერატურული შრომის დარგში მომუშავეებს, რომლებისათვისაც ლიტერატურული შრომა უმთავრესს საარსებო წყაროს შეადგენს, მხატვრებს, მოქანდაკეებს, მათ შვილებს და აგრეთვე სამეცნიერო დარგში მომუშავეთა შვილებს მიენიჭოს სასწავლებელში შესვლისათვის ყველა ის უპირატესობა, რაც მუშების შვილებს აქვთ.

ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

ს. პ. ჯ უ ღ ე ლ ი.

ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი

პ. მ ე გ რ ე ლ ი შ ვ ი ლ ი.

1927 წ. დეკემბრის 5.
თბილისი — სასახლე.

წერილი რედაქციის მიმართ.

გასულ წელს თქვენს ჟურნალში № 5 მოვათავსე წერილი „მემარცხენეობა ქართულ ლიტერატურაში“. ამ წერილის მიზანი იყო დამემტკიცებია, რომ მასალები რომელიც გამოქვეყნდა ჟურ. — „მემარცხენეობის“ № 1-ში, არ არის მემარცხენე ლიტერატურის პრაქტიკა.

თქვენი ჟურნალის შემდეგ ნომერში ბ. ჟღენტმა დაბეჭდა „პასუხი“ და ეს პასუხი ოფიციალურმა პრესამ ასე შეაფასა: „მიუტევებლად მიგვაჩნია ფუტურისტ ბესო ჟღენტის ბავშური და პასკვილური წერილის მოთავსება ჩვენის ფიქრით, ისეთ სერიოზულ ორგანოში, როგორიცაა ქართველ მწერალთა ორგანო“.

ამავე დროს ჟღენტი ჩემს წინააღმდეგ ლაპარაკობს H_2SO_4-ის ორგანიზაციის სახელით, მაგრამ როგორც გამოირკვა ორგანიზაციას არ დაუვალებია მისთვის საპასუხო წერილის დაწერა და მით

უმეტეს მოგონილი „ფაქტების“ გამოქვეყნება. ამ რიგად ულენტს რედაქცია შეცდომაში შეუყვანია მწერლისათვის შეუფერებელ ლიტერატურულ ხერხით.

ყოველივე ზემოხსენებულის მიხედვით საჭიროთ ვთვლიდი საბოლოო პასუხის გაცემას, მაგრამ რედაქცია შეუძლებლად სცნობს კამათის გაგრძელებას. იძულებული ვარ მრავალ შემკითხველთა საპასუხოდ „ქართულ მწერლობის“ საშუალებით ჯერ-ჯერობით განვაცხადო მხოლოდ შემდეგი: ცილისწამებისა, ტყუილისა და პროვოკაციული ხასიათის ცნობებისათვის ულენტი გამოვიწვიე ამხანაგურ სასამართლოში და ჩემი საბოლოო პასუხიც მის ასეთ უპასუხისმგებლო გამოსვლაზე იქნება სასამართლოს დადგენილება. [1])

ბენო გორდეზიანი.

—:—

---

[1]) **რედაქციისაგან:** როგორც ამხ. გორდეზიანს მოეხსენება ამხ. ულენტის წერილის დაბეჭდვაში ინიციატივა რედაქციას არ ეკუთვნის.

თანამედროვე ქართული მწერლობა

სანდრო შანშიაშვილი

დრამები

ჰერეთის გმირები
სპარტაკ ლატავრა

ბერდო ზმანია
უგვირგვინო მეფენი
როდამ

სახელგამი. 1927. გვ. 421. ფასი 3 მანეთი.

△

ლირიკა

ტომი პირველი (1905—1925) გვ. 220. ფასი 1 მ. 50 კ.
ტომი მეორე ფასი 2 მანეთი.

ეპოსი

—*—

ახალი წიგნი.

რუსთაველის ბეჭედი

პოემა

სახელგამი. 1928. გვ.

სახელგამის ყველა წიგნის მაღაზიებში

წელიწადი მეხუთე

ყოველთვიური

სალიტერატურო, სამხატვრო და სამეცნიერო

ჟურნალი

მნათობი

ჟურნალში მონაწილეობენ ქართული მწერლობის და მეცნიერების საუკეთესო ძალები

რედაქტორი მიხ. კახიანი

მიიღება ხელის მოწერა

სახელგამის ქვეშ წიგნის მაღაზიაში

წლიურად 12 მ. სამი თვით 3 მ. 50 კ.
ექვსი თვ. 6 მ. ცალ. ნომ. 1 მ. 50 კ.

ჟურ. რედაქცია

ტფილისი. ვოლოდარსკის ქ. № 11. გაზ. „ახალი სოფლის“ ბინა.

მთავარი კანტ.

ტფილისი სახელგამი. პერიოდ სექტორი.

წელიწადი მეორე

პროლეტკულტი

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ყოველთვიური ორგანო

ბ. ბუაჩიძის, შ. რადიანის, ვ. ლუარსამიძის, ალ. მაშაშვილის, დ. რონდელის და ი. ვაჟელის რედაქციით.

მიიღება ხელის მოწერა

წელიწადში 4 მ. სამი თვით 1 მ. 20 კ.
ექვსი თვით 2 მ. 50 კ. ცალკე ნომ. 50 კ.

რედაქცია

ტფილისი ივ. მაჩაბელის ქ. № 13. ხელოვნების სასახლე.

კანტორა

ტფილისი სახელგამი პერიოდ სექტორი.

თანამედროვე ქართული მწერლობა

გამოვიდა

არიფიონი

კრებული პირველი

შინაარსი:

სანდრო შანშიაშვილი — ორი გალადა (ლექსი).
შალვა დადიანი — ათე (მოთხრობა)
კონსტანტინე ჯიჯინაძე — პრეისტორია, ორგბი, გზები (ლექსები)
მიხეილ ჯავახიშვილი — დამპატიჟე (მოთხრობა)
ვასო გორგაძე — მარელისი (ლექსი)
დავით სულიაშვილი — კედელი (მოთხრობა)
ილო მოსაშვილი — უღელტეხილზე (ლექსი)
ლევან მეტრეველი — გოლშევიკი (მოთხრობა)
მიხეილ მრევლიშვილი — სემიდა (მოთხრობა)
გასილ მელიქიშვილი — მკერდშეგოლილი მერცხალი (მოთხრობა)
ლეო ქიაჩელი — თავადის ქალი მაია (მოთხრობა)
იოსებ ტატიშვილი — უსათაურო (მოთხრობა)
კონსტანტინე ჯიჯინაძე — ვეფხის-ტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია
კონსტანტინე კაკანელი — მიმოქცევის იდეა.
კლატონი — კრიტონი (თარგმ. ბერძნულით — **პეტრე ქავთარაძის** მიერ).
გერონტი ქიქოძე — არიფიონი ჰერეთში

მორიგე რედაქტორები: **გერონტი ქიქოძე**
ვასო გორგაძე

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა, პლეხან. პრ. № 91.

24/I—28 მთავარლ. № 161. შეკვ. № 499. დაიბეჭდა 1100.

თანამედროვე ქართული მწერლობა

მიხეილ ჯავახიშვილი

კვაჭი კვაჭანტირაძე.

რომანი. 1925 გვ. 478. ფასი 2—75 კ.

△

პატარა დედაკაცი.

მოთხრობები. სახელგამი 1926. გვ. 255. ფასი 1—50 კ.

△

ორი განაჩენი.

მოთხრობები. სახელგამი. 1927. გვ. 210. ფასი 1—20 კ.

△

თეთრი საყელო.

რომანი. 1926. გვ. 189. ფასი 1—30 კ.

△

ჯაყოს ხიზნები

რომანი. გამ-ბა „შრომა“ 1926. 210. ფასი 1—50 კ.

△

მ ზ ა დ დ ე ბ ა

არსენა მარაბდელი—რომანი
წითელი ჯავშანი — რომანი

სახელგამის ყველა წიგნის მაღაზიებში

თანამედროვე ქართული მწერლობა

ალიო

მაჩაჩვილი

◀ლექსები▶

სახელგამი 1926. ფასი 1 - 20 კ.

ბენიტო ბუაჩიძე

პატარა და

თანამედროვეობა

1927 წ. გვ. 348 ფასი 1 მ. 50 კ.

სახელგამის ყველა წიგნის მაღაზიებში

თანამედროვე ქართული მწერლობა

ვალ. გაფრინდაშვილი

ლექსები

სახელგამი 1927. გვ. 220. ფასი 1 — 50 კ.

კაროლ იაშვილი



ფერადი ბუშტები

სახელგამი. 1927. ფასი 20 კ.

სახელგამის უველა წიგნის მაღაზიებში

თანამედროვე ქართული მწერლობა

ნიკო ლორთქიფანიძე

თხზულებანი. ტომი პირველი — სახელგ. 1927
გვ. 304 ფასი 2 მ. 50 კ.

მრისხანე ბატონი. 1927 წ. გამ. „შრომა“.

ნანგრევთა სურნელება გამ. „ზ. კნ.“ ფ. 2 მ. 50 კ.

ჟამთა სიავე. გამ-ბა „შრომა“ 1927. გვ. 142 ფ. 80 კ.

თხზულებანი. ტომი მეორე — (იბეჭდება)

ტარიელ გოლუა

რომანი

ლეო ქიაჩელის

სახელგამი. 1927. გვ. 200. ფასი 90 კ.

სახელგამის ძველა წიგნის მაღაზიებში

თანამედროვე ქართული მწერლობა

პ. ლორთქიფანიძე

ლიმილი

ლექსები სახელგამი ფასი 1—20 კ.

▲

ხავსი

რომანი სახელგამი ფასი 1 მანეთი.

▲

პირველის შემდეგ

ლექსები ფასი 80 კ.

▲

ფოტოგრაფი

მოთხრობა ფასი 15 კ.

▲

სტენკა რაზინ

პოემა. ფასი 25 კ.

სახელგამის ყველა წიგნის მაღაზიებში

გრიგოლ რობაქიძე

დრამები

ლონდა

მალშტრემ

ლამარა

სახელგამი 1926 წ. 1 მ. 50 კ.

გველის პერანგი

რომანი. 1927. გვ. 378. ფასი 2 მანეთი.

იგნჯდეგა

ფალესტრა

რომანი

სახელგამის ყველა წიგნის მაღაზიებში

თანამედროვე ქართული მწერლობა

შალვა დადიანი

პ ი ე ს ე ბ ი

ე ლ ვ ი ა ე შ ი
როს ნაღიმობდენ
შენი ჭირიმე
მოულოდნელი შემთხვევა
გუშინდელნი
ვ ა რ ა ე ი
გ ე გ ე ჯ კ ო რ ი

სახელგამი. 1923. გვ. 382. ფასი 3 მ. 50 კ.

▲

უბედური რუსი

რ ო მ ა ნ ი

გამომცემლობა „ქართული წიგნი“ ფასი 2 მ.

სახელგამის ყველა წიგნის მაღაზიებში

თანამედროვე ქართული მწერლობა

ნიკოლო მიწიშვილი

„წმინდანიანი“

ლექსები მეორე გამოცემა. 1926 წ. ფ. 50 კ.

△

„შავი ვარსკვლავი“

პოემა. მეორე გამოცემა. 1926 წ. ფ. 50 კ.

△

„თებერვალი“

გამომცემლობა “შრომა“. 1927 წ. ფ. 50 კ.

△

„გარდაცვალება“

პოემა. 1926 წ. ფ. 50 კ.

△

„საზოგადოებრივი საკითხები“

წერილები. 1927 წ. ფ. 70 კ.

△

იგეჭდება

„ეპოქია“

სახელგამის ქვეშ წიგნის მაღაზიებში